განათლება გლობალური მოქალაქეობისთვის

მასწავლებელთა
პროფესიული
განვითარების
ეროვნული
ცენტრის გამოცემა

№2(5), 2024

ISSN 2720-8605

განათლებისა და
მეცნიერების სამინისტრო

სსიპ მასწავლებელთა
პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრი

განათლება გლობალური მოქალაქეობისთვის

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემა

№2(5), 2024

სარედაქციო კოლეგია:

ნათია გორგაძე
ბექა მინდიაშვილი
დავით წულაძე
ვლადიმერ სვანაძე
მაია ბლიაძე
ლევან სებისკვერაძე
ქეთევან ქობალია

მთავარი რედაქტორი
ნინო გვარამაძე

კორექტორი
ნინო უჩანეიშვილი

დიზაინერი
ბესიკ დანელია

საკონტაქტო ინფორმაცია:

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

მისამართი:

თბილისი,
ზურაბ ანჯაფარიძის I შესახვევი N6,
ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და ჟურნალის რედკოლეგიის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი

ISSN 2720-8605

WWW.TPDC.GE

რედაქციისგან

ნინო გვარამაძე

გთავაზობთ ჟურნალ „განათლება გლობალური მოქალაქეობისთვის“ 2024 წლის მეორე ნომერს. მასში წარმოდგენილი სტატიები ეხება ენისა და მოქალაქეობის, მდგრადი განვითარების, სამშვიდობო განათლების, კეთილდღეობისა და ჯანმრთელობის, საინფორმაციო ტექნოლოგიების საკითხებს.

დღეს, როდესაც აქტიური მოქალაქის აღზრდა განათლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზანია, საინტერესოა იმ ხელშემწყობი პირობების გამოვლენა და შესწავლა, რომლებიც განაპირობებენ ამ მიზნის მიღწევას. ენისა და მოქალაქეობის კავშირს ეხება სტატია, რომელშიც ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს საგანმანათლებლო კონტექსტზე და მასწავლებლის როლზე მოქალაქის ფორმირებაში.

სამშვიდობო განათლება მიჩნეულია მდგრადი მშვიდობის მიღწევის ერთ-ერთ მძლავრ იარაღად. ჩვენს დროში მან განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა, მიუხედავად იმისა, რომ სამშვიდობო განათლების იდეა ახალი არ არის და სათავეს მე-17 საუკუნიდან იღებს. ვფიქრობთ, მკითხველისთვის არ იქნება ინტერესმოკლებული საქართველოში არსებული მისი პერსპექტივების გაცნობა.

მდგრადი განვითარება საზოგადოების ცხოვრებისა და მოღვაწეობის ყველა სფეროს ეხება. თითოეულ მოქალაქეს, საწარმოს თუ ქვეყანას დიდი პასუხისმგებლობა აკისრია მისი მიზნების მიღწევაში. ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრას ემსახურება ახალი მიდგომები, ხედვები და ქმედებები. ტანსაცმლის წარმოების ახალ ტენდენციას გვაცნობს ავტორი და მდგრადი მოდის არჩევას სთავაზობს მკითხველს.

საინტერესო ინფორმაციას ნახავს მკითხველი მშვიდობის პარკების თაობაზე, რომლებიც ემსახურება მსოფლიოს ქვეყნებს შორის თანამშრომლობას, საერთო ინტერესებისთვის ერთობლივი ქმედებას და მდგრადი მშვიდობის დამყარებას.

ჟურნალის წინა ნომერში მკითხველი გაეცნო ჯანმრთელობის ხელშემწყობი სკოლების ქსელს. ამ სტატიის გაგრძელებაში კი საუბარია ჯანმრთელობის წიგნიერებაზე, რომლის განვითარება დამოკიდებულია მთელი რიგი სასიცოცხლო უნარების განვითარებაზე. სტატიაში მოყვანილია აქტივობების მაგალითები მასწავლებლებისთვის.

კიბერუსაფრთხოება მიჩნეულია გლობალიზაციის ერთ-ერთ მთავარ საფრთხედ უახლოესი 10 წლისთვის. ამიტომ ჟურნალის ყველა ნომერში შეხვდებით სტატიებს ამ თემაზე. წინამდებარე ნომერშიც გთავაზობთ ორ სტატიას, რომელთაგან ერთში მოცემულია რეკომენდაციები, თუ როგორი პაროლები უნდა შექმნას მომხმარებელმა, რომ არ გახდეს კიბერშეტევის მსხვერპლი, ხოლო მეორეში მკითხველი გაეცნობა ახალ, საფრთხის შემცველ პროგრამულ უზრუნველყოფას და რეკომენდაციებს მისგან თავის დასაცავად.

ვიმედოვნებთ, რომ ჟურნალის ეს ნომერი დააინტერესებს მკითხველს.

მინაარსი

მოქალაქეობა

ნათია გიორგაძე
2 ენა და მოქალაქეობა, როგორც განათლების ერთიანი მოდელი

საგანმანათლებლო განათლება

სოფიკო ლობჟანიძე, ლია ტვილდიანი
16 სამშვიდობო განათლების გამოწვევები და პერსპექტივები საქართველოში
პირველი ნაწილი

მდგრადი მანეიმლობა

მაია ბლიაძე
23 ტენდენცია, რომელიც პლანეტას იცავს – როგორ ავირჩიოთ მდგრადი მოდა

მაია ბლიაძე
36 საერთაშორისო მშვიდობის პარკები

ჯანსაღი ცხოვრების წესი

ქეთევან ქობალია
44 ჯანმრთელობის ხელშემწყობი სკოლები
დასასრული

საინფორმაციო ტექნოლოგიები

ვლადიმერ სვანაძე
55 ძლიერი პაროლის მნიშვნელობა და შესაბამისი რეკომენდაციები

დავით წულაძე
60 კიბერუსაფრთხოების გამოწვევა: რანსომვეარი

ნათია მოხმაკე
განათლების საკითხების მკვლევარი

ენა და მოქალაქეობა, როგორც განათლების ეროვნული მოდელი

ხაზისხიან ენობრივ განათლებაზე ნეღომის უზრუნველყოფა, განსაკუთრებით უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში, ნიების განმავლობაში რჩება მამონველად.

1. შესავალი

იმ ფონზე, როდესაც სამყარო სულ უფრო მეტად არის ურთიერთდაკავშირებული, და როდესაც სამოქალაქო განათლება გასცდა კონკრეტული საგნის ფარგლებში სწავლა-სწავლების ზღვრებს, ენასა და მოქალაქეობას შორის კავშირი უფრო და უფრო მეტად ხდება ყურადღების საგანი როგორც კვლევის, ასევე პრაქტიკულად დანერგვის თვალსაზრისითაც, განსაკუთრებით კი განვითარების მიმართულებების კომპლექსურობის და განსხვავებულობის გათვალისწინებით.

მოცემული სტატია მიზნად ისახავს, გამოავლინოს და გამოყოს ის უხილავი თუ ხილული მაკავშირებელი ძაფები, რომლებიც ენობრივ გაწაფულობას, კულტურულ გააზრებასა და აქტიურ მოქალაქეობას შორის არსებობს. სტატიაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საგანმანათლებლო კონტექსტს და ეფუძნება ღრმა რწმენას მასწავლებლების საკვანძო როლის შესახებ მოქალაქეთა ფორმირების საქმეში. შესაბამისად, ჩვენი მიზანია მკითხველის დარწმუნება იმაში, თუ როგორ არის შესაძლებელი ენისა და სამოქალაქო განათლების ეფექტური ინტეგრირებით მიკუთვნებულობის ზრდა, მრავალფეროვნების წახალისება და მოსწავლეების მომზადება აქტიური მონაწილეობისათვის ქვეყნის განვითარების პროცესში.

მოქალაქეობის კონცეფცია სცდება მხოლოდ სამართლებრივ სტატუსს. მოქალაქეობას უფრო და უფრო მეტად ვაიგივებთ იდენტობის, უფლებებისა და პასუხისმგებლობების აღქმასთან საზოგადოებაში. ენა, როგორც ადამიანებს

შორის კომუნიკაციისა და კულტურული გაცვლების ფუნდამენტური ასპექტი, მნიშვნელოვან როლს თამაშობს მოქალაქეობის ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ელემენტების ფორმირებაში. საქართველოს მსგავს მრავალფეროვან საზოგადოებებში, სადაც საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფები განსხვავებულ ენებზე აქტიურად საუბრობენ, ენისა და მოქალაქეობის ურთიერთკავშირი კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება (Tabatadze and Gorgadze, 2018).

ამ სტატიაში შევეცდებით განვმარტოთ ენისა და მოქალაქეობის კავშირების შესახებ არსებული თეორიები, წარმოვადგინოთ სხვადასხვა ქვეყნის კონტექსტი და აღვწეროთ რელევანტური საერთაშორისო გამოცდილებიდან საუკეთესო პრაქტიკები. ამასთან, ვისაუბრებთ იმ ინსტრუმენტების შესახებ, რომლებიც განსაკუთრებით ეფექტურად გამოიყენება ენობრივად კომპეტენტური და აქტიურად ჩართული მოქალაქეების ფორმირებისათვის.

შესაბამისად, განვიხილავთ ისეთ საკითხებს, როგორებიცაა:

- ენისა და მოქალაქეობის ურთიერთკავშირის თეორიული საფუძვლები;
- ენობრივი პოლიტიკისა და სამოქალაქო განათლების არსებული მდგომარეობა საქართველოში;
- ენისა და სამოქალაქო განათლების ინტეგრირების საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკა;
- სკოლებისა და უნივერსიტეტების როლი ენობრივი უნარებისა და სამოქალაქო ჩართულობის განვითარებაში;
- სწავლების პრაქტიკული მეთოდები და სტრატეგიები საკლასო ოთახში გამოსაყენებლად.

ამგვარად, ვეცდებით, მკაფიოდ წარმოვაჩინოთ, თუ როგორ შეიძლება ენობრივი განათლების გამოყენება აქტიური მოქალაქეობის ხელშეწყობის, მრავალფეროვნების დაფასებისა და მოსწავლეების მომზადებისთვის, როგორც ადგილობრივ, ისე გლობალურ საზოგადოებებში პროაქტიური ჩართულობის მისაღწევად.

> სამოქალაქო კომპეტენციებისა და ენის ინტეგრირებული სწავლების ნახმატება ღიღნილად დამოკიდებულია კარგად მომზადებულ მასწავლებლებზე.

2. ენისა და მოქალაქეობის ურთიერთკავშირი

ენისა და მოქალაქეობის ურთიერთკავშირი მრავალმხრივია და ფუნქციონალურად ძალიან მჭიდროდ არის დაკავშირებული. ენა არა მხოლოდ კომუნიკაციის საშუალებაა, არამედ კულტურის, იდენტობისა და სოციალური ნორმების მატარებელიცაა. მოქალაქეობის კონტექსტში ენა რამდენიმე მნიშვნელოვან როლს ასრულებს: ა) იდენტობის ფორმირებისა და სოციალური ერთიანობის;

ბ) უფლებებზე წვდომისა და მონაწილეობის; გ) ინტერკულტურული კომპეტენციისა და გლობალური მოქალაქეობის; დ) ლინგვისტური უფლებებისა და ინკლუზიური მოქალაქეობის; ე) კრიტიკული ენობრივი ცნობიერების. ისინი განათლებისთვის მნიშვნელოვანი შედეგობრივი მონაცემის ფორმებით წარმოჩინდება.

მოკლედ განვიხილოთ თითოეული მათგანი:

იდენტობის ფორმირება და სოციალური ერთიანობა

ენა ინდივიდუალური და კოლექტიური იდენტობის ფუნდამენტური კომპონენტია. ის აყალიბებს იმას, თუ როგორ აღიქვამენ ინდივიდები საკუთარ თავს და თავიანთ ადგილს საზოგადოებაში. როგორც კიმლიკა და პატენი (2003) თვლიან, ენა ხშირად ეროვნული ან ეთნიკური იდენტობის მარკერია, რომელიც მოქმედებს კონკრეტულ საზოგადოებასა თუ ერთიანი კუთვნილების განცდაზე (Kymlicka & Patten, 2003). საგანმანათლებლო კონტექსტში ეს ნიშნავს, რომ ენის სწავლება სცდება უბრალოდ ახალი უნარების შეძენისა თუ განმტკიცების ამოცანას და მოიცავს კულტურული ღირებულებებისა და სოციალური ნორმების გადაცემას, რაც მნიშვნელოვანია მოქალაქეობისთვის.

უფლებებზე წვდომა და მონაწილეობა

საზოგადოებაში დომინანტური ენის (ენების) ცოდნის დონე მეტწილად განსაზღვრავს ინდივიდის უნარს, სრულად განახორციელოს საკუთარი მოქალაქეობრივი უფლებები და მიიღოს მონაწილეობა სამოქალაქო ცხოვრებაში. ეს უფლება კი მოიცავს საჯარო სერვისებზე წვდომას, სამართლებრივი უფლებების გამოყენებას, საკუთარი პასუხისმგებლობების გათავისებას, დემოკრატიულ პროცესებში მონაწილეობასა და საჯარო დისკურსში ჩართვას (Hogan-Brun, 2006). საგანმანათლებლო ინსტიტუციებისათვის ეს ხაზს უსვამს იმის მნიშვნელობას, თუ როგორ უნდა განავითაროს ყველა მოსწავლემ, მათი ლინგვისტური წარმომავლობის მიუხედავად, აქტიური მოქალაქეობისთვის საჭირო ენობრივი უნარები.

ინტერკულტურული კომპეტენცია და გლობალური მოქალაქეობა

მზარდი გლობალიზაციის პირობებში, ენის სწავლა ხელს უწყობს ინტერკულტურული კომპეტენციის განვითარებას, რომელიც, თავის მხრივ, გლობალური მოქალაქეობის მთავარ კომპონენტს წარმოადგენს. ბირამი და სხვები (2002) ხაზს უსვამენ, რომ ენის სწავლების მიზანი უნდა იყოს „ინტერკულტურული მოსაუბრეების“ განვითარება, რომლებსაც შესწევს კულტურულ საზღვრებს შორის ნავიგაციის უნარი, შეუძლიათ სოციალური პრაქტიკების რელევანტური ინტერპრეტაცია და სხვადასხვა პერსპექტივის გათავისება (Byram, Gribkova & Starkey, 2002). ენის სწავლების ეს ასპექტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთ მრავალფეროვან საზოგადოებებში, როგორიც საქართველოა, სადაც ინტერკულტურული გააზრება გადამწყვეტია სოციალური ერთიანობისთვის.

ლინგვისტური უფლებები და ინკლუზიური მოქალაქეობა

ლინგვისტური უფლებების აღიარება ინკლუზიური მოქალაქეობის მნიშვნელოვანი ასპექტია. მრავალეროვან საზოგადოებებში პოლიტიკას, რომელიც აღიარებს და მხარს უჭერს ენობრივ მრავალფეროვნებას, შეუძლია ხელი შეუწყოს მოქალაქეობის მეტად ინკლუზიურ კონცეფციას (May, 2012). შესაბამისად, განმანათლებლებისა და პედაგოგებისათვის ეს ნიშნავს უმცირესობების წარმომადგენელი მოსწავლეების ლინ-

გვისტური უფლებების გაცნობიერებას და პატივისცემას ფართო სამოქალაქო საზოგადოებაში ინტეგრაციის უზრუნველყოფასთან ერთად.

კრიტიკული ენობრივი ცნობიერება

ენის განათლება, რომელიც ხელს უწყობს მოქალაქეობას, ასევე უნდა ავითარებდეს კრიტიკულ ენობრივ ცნობიერებას. ეს კი გულისხმობს იმის გაცნობიერებას, თუ როგორ შეიძლება ენის გამოყენება ძალაუფლების განსახორციელებლად, იდენტობების კონსტრუირებისთვის და სოციალური უთანასწორობების შესანარჩუნებლად ან ამ მიმართულებით ცვლილებების, როგორც გამოწვევის მისაღებად (Fairclough, 1992). ამ ცნობიერების განვითარებას შეუძლია გააძლიეროს მოსწავლეები და მოანდომოს, გახდნენ უფრო კრიტიკულად მოაზროვნენი და აქტიურად ჩართული მოქალაქეები.

განათლებისთვის მნიშვნელოვანი შედეგები

ენისა და მოქალაქეობის კავშირების გააზრება და გათავისება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი შედეგების მომტანია განათლების სფეროსათვის, არაერთი მიმართულებით იშლება და შესაბამისად, უმნიშვნელოვანეს კვალს ტოვებს.

ამისათვის კი მრავალთაგან რამდენიმე, განსაკუთრებით საყურადღებოს, გამოყოფაა შესაძლებელი; ენის სწავლების ინტეგრირება სამოქალაქო განათლებასთან ხაზს უსვამს არა მხოლოდ ლინგვისტური კომპეტენციების ზრდის აუცილებლობას, არამედ ასევე ამახვილებს სათანადო ყურადღებას კულტურული ცნობიერების ამაღლებასა და სამოქალაქო ჩართულობაზე. მრავალენოვანი პედაგოგიკის დანერგვა მრავალფეროვან საკლასო ოთახებში საშუალებას აძლევს მასწავლებელს, გამოავლინოს საკუთარი ხედვა, სათანადოდ შეაფასოს და გამოიყენოს მოსწავლეებთან მუშაობისას ლინგვისტური რესურსები და, ამავდროულად, ხელი შეუწყოს სახელმწიფო ენის ჯეროვანი ცოდნის მიღებას. ავთენტური მასალის გამოყენება ენის სწავლებაში და რეალური, ცხოვრებისეული სცენარების მოსწავლეთათვის გაზიარება ეხმარება მათ ენის სწავლის სამოქალაქო მონაწილეობასთან უკეთ დაკავშირებაში. კრიტიკული აზროვნების განვითარებაზე ორიენტირებული ენის გაკვეთილები უნდა ეფუძნებოდეს იმგვარ აქტივობებს, რომლებიც ხელს უწყობს კრიტიკულ აზროვნებას საზოგადოებაში ენის გამოყენების, მედიაწიგნიერებისა და ინტერკულტურული კომუნიკაციის შესახებ. საზოგადოების ჩართულობამ, რომელიც გულისხმობს მოსწავლეების წახალისებას საკუთარ ადგილობრივ საზოგადოებებში აქტიურ ურთიერთქმედებას ენაზე დაფუძნებული პროექტების მეშვეობით, შეიძლება გააძლიეროს კავშირი ენობრივ უნარებსა და აქტიურ მოქალაქეობას შორის.

ენისა და მოქალაქეობის ამ კავშირების აღიარებითა და გამოყენებით, პედაგოგებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ მოსწავლეების მო-

> მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა, თუ რომრ შეიძლება სკოლებმა და უნივერსიტეტებმა საქართველოში მაქსიმალურად ეფექტურად დაკავშირონ ენის სწავლება სამოქალაქო განათლებასთან.

მავლისათვის მომზადებაში, დაეხმარონ მათ, გახდნენ ლინგვისტურად კომპეტენტური, კულტურულად გათვითცნობიერებული და აქტიურად ჩართული მოქალაქეები.

3. ენობრივი პოლიტიკა და მოქალაქეობა საქართველოში

საქართველო, თავისი მდიდარი ლინგვისტური ლანდშაფტითა და ისტორიული კონტექსტით, წარმოადგენს უნიკალურ შემთხვევას ენობრივი პოლიტიკისა და მოქალაქეობის ურთიერთკავშირის შესასწავლად. მოკლედ გადავავლოთ თვალი საქართველოში არსებულ ენობრივ პოლიტიკას, მის გავლენას მოქალაქეობაზე და მნიშვნელობას განათლებისთვის.

საქართველოს ენობრივი პოლიტიკის ჩამოყალიბება ქვეყნის კომპლექსური ისტორიის გავლენის ფარგლებში მიმდინარეობდა, რომლის ახლო წარსული მოიცავს საბჭოთა მმართველობისა და დამოუკიდებლობის მოპოვების პერიოდებს. ქვეყნის ლინგვისტური მრავალფეროვნება – ქართულით, როგორც სახელმწიფო ენით და უმცირესობათა ენებით – საჭიროებს პოლიტიკის გულდასმით განხილვას ეროვნული ერთიანობისა და ლინგვისტური უფლებების პატივისცემის დასაბალანსებლად (Korth, Stepanian & Muskhelishvili, 2005).

საქართველოს არსებული ენობრივი პოლიტიკა ძირითადად რეგულირდება კონსტიტუციითა და კანონით სახელმწიფო ენის შესახებ. რეგულირებაში კი ძირითადი ასპექტებია „ოფიციალური ენის სტატუსი“: ქართული დადგენილია, როგორც სახელმწიფოს ოფიციალური ენა, ხოლო აფხაზურს ასევე აქვს ოფიციალური სტატუსი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფარგლებში (საქართველოს კონსტიტუცია, 1995);

„უმცირესობათა ენების დაცვა“: ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის ხელშეწყობასთან ერთად, საქართველოში რატიფიცირებულია რეგიონული ან უმცირესობათა ენების ევროპული ქარტია, რაც ადასტურებს უმცირესობათა ენების დაცვისა და ხელშეწყობის მიმართ ვალდებულებას (European Council, 2014); ენის სტატუსი განათლებაში რეგულირდება განათლების შესახებ კანონმდებლობით და უზრუნველყოფს უმცირესობათა ენებზე განათლების მიღების უფლებას; ამავდროულად, ქართული ენის სწავლების უზრუნველყოფით (საქართველოს პარლამენტი, 2005). ამავდროულად, საქართველოს კანონმდებლობა სხვადასხვა კანონითა თუ კანონქვემდებარე აქტებით არეგულირებს სხვადასხვა სფეროში ენობრივ პოლიტიკას, მათ შორის – სახელმწიფო ენების – ქართულისა და აფხაზურის (ოფიციალური ენების), საქართველოში განსახლებული დიდი და მცირერიცხოვანი ეთნიკური ჯგუფების ენების, ასევე – ქართველური ენებისა და უცხოური ენების ფუნქციონირების საკითხებს (სამოქალაქო ინტეგრაციის და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი, 2023).

ევროპული ენის პრიორიტეტი, რომელიც ეფუძნება მოქალაქეობის კომპონენტს, ნაკლოებად ეხება, რომელიც აუსებს რომრის ენობრივ უნარებს, ასევე ინტეგრირებულად კომპეტენციებს.

საქართველოს ენობრივი პოლიტიკის ჩარჩოს მნიშვნელოვანი გავლენა და შედეგი აქვს მოქალაქეობის კონტექსტში, რომელიც მოიცავს ინტეგრაციასა და მონაწილეობას, რომლის ფარგლებში ქართული ენის ცოდნა მიიჩნევა გადამწყვეტად სამოქალაქო ცხოვრებაში სრული ჩართულობისთვის, უმაღლესი განათლებისა და დასაქმების შესაძლებლობებისთვის. ეს ხაზს უსვამს ენის როლს მოქალაქეობის პრაქტიკაში (Gabunia, 2014); ლინგვისტური უფლებებით და ინკლუზიური მოქალაქეობით სარგებლობას, რაც უმცირესობათა ენების აღიარებისა და დაცვის საშუალებით ხელს უწყობს საქართველოს მოქალაქეობის უფრო ინკლუზიური კონცეფციის ფორმირებას, აღიარებს რა ქვეყნის ლინგვისტურ მრავალფეროვნებას; იდენტობისა და კუთვნილების კონცეფციების განვითარებას, სადაც ქართულის, როგორც გამაერთიანებელი ფაქტორის ხელშეწყობა მიზნად ისახავს საერთო ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბებას, მრავალფეროვანი ლინგვისტური მემკვიდრეობის პატივისცემით.

მიუხედავად ქვეყნის პროგრესული პოლიტიკის ჩარჩოსა და ხედვებისა, განხორციელების პროცესი მთელი რიგი გამოწვევებით ხასიათდება. ხარისხიან ენობრივ განათლებაზე წვდომის უზრუნველყოფა, განსაკუთრებით უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში, წლების განმავლობაში რჩება გამოწვევად (Tabatadze, 2017). ბალანსი, რომელიც სახელმწიფო და უმცირესობათა ენებს შორის უნდა იქნეს დაცული და რომელიც ქართული ენის სწავლის ხელშეწყობას უმცირესობათა ენების შენარჩუნების პარალელურად გულისხმობს და არა ენებს შორის პრიორიტეტების გამოყოფას, კვლავ მნიშვნელოვან პრობლემატურ საკითხად რჩება განათლების პოლიტიკის განხორციელების ხედვებისა და კონცეფციების, საზოგადოებრივი დამოკიდებულებებისა და ცნობიერების დონეზე. კვლავ მნიშვნელოვან პრობლემებთან ასოცირდება მასწავლებელთა გაზრდის, მომზადებისა და გადამზადების, დასაქმების, შენარჩუნებისა და დაწინაურების საკითხები, რაც გამოწვეულია კვალიფიციური კადრების დეფიციტით, მასწავლებელთა განათლების არსებით საჭიროებაზე დაფუძნებისათვის არასაკმარისი მზაობით, არსებული კადრების პროფესიული მომზადების არასაკმარისად ეფექტური სისტემების არსებობისა და მასწავლებელთა პროფესიაში შესვლისა და გამოსვლის არათანმიმდევრული პოლიტიკიდან გამომდინარე. ეს თვალსაჩინოა, როგორც სახელმწიფო და ქართველური ენების, ასევე – ეთნიკური უმცირესობებისა და მცირე ერების მშობლიური და უცხოური ენის მასწავლებლებთან მიმართებით (სამოქალაქო ინტეგრაციის და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი, 2023).

მეორე მხრივ, საქართველოს ენობრივ პოლიტიკაში არსებული სივრცეები იძლევა ქმედითი ნაბიჯების გადადგმის საშუალებას ენობრივი პედაგოგიკის განვითარებისათვის, რაც მრავალენოვანია განათლების მიდგომების ინტეგრირებით და ხელშეწყობით, კულტურულად პასუხისმგებელი სწავლებისათვის მომზადებით, სამოქალაქო განათლებაში ენობრივი ელემენტების ინტეგრაციისათვის სწორი სტრატეგიების განსაზღვრით, მიზნობრივი და მუდმივი პროფესიული განვითარების უზრუნველყოფით, საკლასო ოთახში მრავალფეროვანი მიდგომებისა და მრავალენოვნების დანერგვის განგრძობითი ხელშეწყობისა და შეფასების, ისევე, როგორც სკოლების ადგილობრივ თემებთან პროაქტიული თანამშრომლობით უნდა მივაღწიოთ.

არსებულ საერთაშორისო პრაქტიკაზე დაფუძნებით და საქართველოში არსებული სიტუაციის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, რომ ენობრივი პოლიტიკის განვითარებას განათლებაში მეტი ყურადღება მიექცეს მოქალაქეობრიობასთან მიმართებით. ამ მხრივ, განსაკუთრებით მნიშვნელოვან ასპექტებად იკვეთება შემდეგი მიმართულებები:

- პოლიტიკის შეფასება – პოლიტიკის განხორციელებისა და მისი გავლენის რეგულარული შეფასება მოქალაქეობის პრაქტიკაზე;
- ინოვაციური პედაგოგიკის წახალისება – იმ მიდგომების განვითარება, რომლებიც ეფექტურად ახდენს ენის სწავლის სამოქალაქო განათლებასთან ინტეგრირებას;
- ტექნოლოგიების ინტეგრირება – ტექნოლოგიების გამოყენება ენის სწავლის გასაუმჯობესებლად და ენობრივ რესურსებზე თანაბარი წვდომის უზრუნველსაყოფად მთელი ქვეყნის მასშტაბით;
- სექტორთაშორისი თანამშრომლობა – განათლების, სამოქალაქო საზოგადოებისა და სამთავრობო სექტორებს შორის თანამშრომლობის წახალისება ენობრივი განათლების უფრო ფართო მოქალაქეობრივ მიზნებთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

4. ენისა და სამოქალაქო მანათლების საერთაშორისო პრაქტიკები

დროსთან ერთად, მსოფლიოში დაგროვდა ენისა და მოქალაქეობის კავშირების განათლებაში ასახვის მრავალფეროვანი პრაქტიკები, რომლებმაც, მნიშვნელოვანი შედეგების მიღების უნარიდან გამომდინარე, მაღალი შეფასება დაიმსახურა. ამასთან, ქვემოთ აღწერილი რამდენიმე პრაქტიკა კარგად ეხმიანება საქართველოს კონტექსტსა და გამოცდილებას, ხოლო ზოგი მაგალითის გამოცდა ქართულ საგანმანათლებლო სივრცეშიც დაწყებულია. მთლიანობაში, ქვემოთ მოყვანილი პრაქტიკები მიმართულია, როგორც ენობრივი ცოდნის გააქტიურების, ასევე აქტიური მოქალაქეობის შემეცნებისა და გათავისების ამოცანებზე, რომლებიც კულტურული მრავალფეროვნების აღიარების საშუალებით ხდება შესაძლებელი.

სამოქალაქო განათლება ენის სწავლის მეშვეობით

არაერთი ქვეყნის მაგალითმა აჩვენა, რაოდენ მაღალია ენის გაკვეთილების პოტენციალი სამოქალაქო განათლების მიღებისათვის. კანადაში სამოქალაქო განათლების ჩარჩო ინტეგრირებულია მეორე ენის სასწავლო გეგმაში. მოსწავლეები სწავლობენ კანადის მოქალაქეობაზე, დემოკრატიასა და მრავალფეროვნებაზე, ენობრივი კომპეტენციების განვითარებასთან ერთად (Citizenship Education Research Network, 2018). მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მიმდინარეობს დაწყებითი განათლების საფეხურზე საზოგადოებრივი მიმართულების საგნების სწავლება ენისა და საგნის ინტეგრირებით, ამ ტიპის სწავლების ფოკუსი ეთნიკური უმცირესობების ენაზე ფუნქციონირებადი სკოლებია. თუმცა, საქართველოს მისწრაფებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი იქნებოდა მსგავსი პრაქტიკების ქართულენოვან სკოლებში დანერგვაც და უცხო ენის – ინგლისურის – გაძლიერება სამოქალაქო განათლების სწავლების საშუალებით.

ციფრული ინსტრუმენტები ენისა და სამოქალაქო განათლებისთვის

ტექნოლოგიების ინტეგრირებამ ენის სწავლასა და სამოქალაქო განათლებაში პოზიტიური შედეგი მოიტანა არაერთი ქვეყნის მაგალითზე. ესტონეთის ელექტრონული მოქალაქეობის პროგრამა და ციფრული მოქალაქეობის ინიციატივები ინტეგრირებულია ენის სწავლებასთან, რაც ხელს უწყობს, როგორც ციფრულ წიგნიერებას, ასევე სამოქალაქო ჩართულობას (Tammpuu & Masso, 2018).

სერვისის მიწოდებით სწავლა (Service learning) და საზოგადოების ჩართულობა

ენის სწავლის კომბინირება საზოგადოების სამსახურთან ეფექტური გზა აღმოჩნდა საერთაშორისო საგანმანათლებლო სისტემებში. ამერიკის შეერთებულ შტატებში, ბევრ სკოლაში დანერგილია სწავლების მეთოდი, რომელიც გულისხმობს მოსწავლეების ავთენტურ, ადგილობრივ თემისათვის მნიშვნელოვან საქმიანობაში, მომსახურებაში ჩართვას, რაც საკლასო ოთახსა და ადგილობრივ საზოგადოებას შორის კავშირებს აძლიერებს. მოსწავლეებს ეძლევათ დრო, გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებულ გამოცდილებაზე რეფლექსიისათვის. ამ ტიპის პროგრამებით მოსწავლეები, რომელთათვისაც სახელმწიფო ენა არა მშობლიური, არამედ მეორე ენაა, ამყარებენ კავშირებს საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და საინიციატივო ჯგუფებთან, რაც ხელს უწყობს ენობრივი უნარების განვითარებას, სამოქალაქო პასუხისმგებლობის გაძლიერებასა და ინტერკულტურული ცნობიერების ამაღლებას (Bippus & Eslami, 2013).

მასწავლებელთა მომზადება ენისა და სამოქალაქო განათლების ინტეგრირებული სწავლებისათვის

სამოქალაქო კომპეტენციებისა და ენის ინტეგრირებული სწავლების წარმატება დიდწილად დამოკიდებულია კარგად მომზადებულ მასწავლებლებზე. ფინეთის მასწავლებელთა საგანმანათლებლო პროგრამები ყურადღებას ამახვილებს მასწავლებლებზე, როგორც აქტიურ მოქალაქეებზე და ამზადებს მათ სამოქალაქო განათლების ინტეგრირებისათვის სასწავლო გეგმებში, მათ შორის – ენის გაკვეთილებზეც (Raiker & Rautiainen, 2020).

ენისა და სამოქალაქო კომპეტენციების შეფასება

ინოვაციური შეფასების მეთოდების საშუალებით, არაერთ ქვეყანაში მიმდინარეობს, როგორც ენობრივი ცოდნის, ასევე სამოქალაქო კომპეტენციების შეფასება. ევროპის საბჭოს ლინგვისტური ინტეგრაციის პროექტმა (LIAM) შეიმუშავა შეფასების ინსტრუმენტები, რომლებიც ითვალისწინებს, როგორც ენის უნარებს, ასევე სოციოკულტურულ ცოდნას, რომელიც საჭიროა აქტიური მოქალაქეობისთვის (Beacco et al., 2017).

მრავალფეროვნების ხელშეწყობა ენის სწავლების მეშვეობით

არაერთ ქვეყანაში ენის სწავლება გამოიყენება, როგორც ინსტრუმენტი მრავალფეროვნების წასახალისებლად და მიმღებლობის გასაზრდელად. ავსტრალიის ინტერკულტურული ენის სწავლა- სწავლების მიდგომა ყურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ როგორ აყალიბებს ენა კულტურასა და იდენტობას, ხელს უწყობს მრავალფეროვნების პატივისცემას ენის სწავლებაში (Liddicoat & Scarino, 2013).

მიუხედავად იმისა, რომ მოცემული საერთაშორისო პრაქტიკები ყურადსაღები გამოცდილების ძალიან მცირე ნაწილს წარმოადგენს, მათი მოკლე დახასიათებაც კი აჩვენებს იმ პოტენციალს, რომელიც არსებობს სხვადასხვა კრეატიული მიდგომის ქართულ კონტექსტში ადაპტირების თვალსაზრისით. სკოლებს აქვთ შესაძლებლობა, დატესტონ და მოირგონ ენისა და სამოქალაქო განათლების ინტეგრირებული მოდელები ადგილობრივი კულტურისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით.

5. სკოლის როლი ენისა და მოქალაქეობის განვითარების პროცესში

ფორმალური განათლების ინსტიტუციები გადამწყვეტ როლს თამაშობენ მაღალი ენობრივი კომპეტენციის მქონე, აქტიური მოქალაქეების ჩამოყალიბებაში. შესაბამისად, მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა, თუ როგორ შეიძლება სკოლებმა და უნივერსიტეტებმა საქართველოში მაქსიმალურად ეფექტურად დააკავში-

რონ ენის სწავლება სამოქალაქო განათლებასთან, რაც შესაძლებელია არსებულ თეორიული ჩარჩოების გაცნობით და შესაბამისობის მიხედვით, მათ პრაქტიკულ გამოყენებაზე.

სკოლები გვევლინება საზოგადოების მინიატურულ მოდელებად, სადაც მოსწავლეები არა მხოლოდ აკადემიურ საგნებს სწავლობენ, არამედ სოციალურ ნორმებს, სამოქალაქო ღირებულებებსა და მოქალაქეობრივ უნარებს ეუფლებიან (Osler & Starkey, 2006). ენისა და სამოქალაქო განათლების კონტექსტში, სკოლებს აქვთ უზარმაზარი პოტენციალი ინკლუზიური ენობრივი პრაქტიკების მოდელირებისათვის; ინკლუზიური ენის გამოყენებით და მრავალენოვნების ხელშეწყობით, სკოლები აჩვენებენ ენობრივი მრავალფეროვნების ღირებულებას საზოგადოებაში.

მონაწილეობითი გარემოს შექმნა სკოლებში შესაძლებელია მოსწავლეების დემოკრატიულ გადაწყვეტილებებში ჩართულობითა და სამოქალაქო მონაწილეობის წახალისებით ენობრივად მრავალფეროვან გარემოში.

ინტერკულტურული კომპეტენციის განვითარება, რაც ენის სწავლებისა და კულტურული აქტივობების მეშვეობით არის შესაძლებელი, მოსწავლეებს კულტურული განსხვავებების აღქმისა და ადაპტირებისათვის ამზადებს.

სასწავლო გეგმაში მიზნობრივი საკითხების ინტეგრაცია

ენისა და სამოქალაქო განათლების ეფექტური ინტეგრაცია მოითხოვს კარგად გაწერილ სასწავლო გეგმას, რომელიც აკავშირებს ენობრივ უნარებს სამოქალაქო ცოდნასა და კომპეტენციებთან. მაგალითად, „საზოგადოებრივ ჩართულობაზე“ ფოკუსირებული ერთეული შეიძლება მოიცავდეს სიტყვებს ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ, სამოქალაქო ტექსტების წაკითხვის უნარების გაუმჯობესებას და სასაუბრო აქტივობებს, რომლებიც მიმართულია საზოგადოებრივ საკითხებზე. ევროპული პორტფოლიო ენის მასწავლებლებისთვის (EPOSTL) უზრუნველყოფს ჩარჩოს, რომელიც აერთიანებს კულტურულ და სამოქალაქო ელემენტებს ენის მასწავლებლების განათლებაში (Newby et al., 2007) და შეიძლება ადაპტირებული იქნას საქართველოს კონტექსტში.

ენა მთელ სასწავლო გეგმაში

მიუხედავად იმისა, რომ ენის გაკვეთილები ძალიან მნიშვნელოვანია, ენის უნარების განმტკიცება სხვადასხვა საგანში ხელს უწყობს, როგორც ენობრივი კომპეტენციის, ასევე სამოქალაქო ცოდნის გაღრმავებას. სკოლაში ისეთი ენობრივი პოლიტიკის დანერგვით, რომელიც მოუწოდებს ყველა მასწავლებელს, ყურადღება გაამახვილონ სამიზნე ენის გამოყენებაზე საკუთარ საგნებში, აუმჯობესებს ენის გამოყენების გამდიდრებულ კონტექსტუალიზაციას და მის თავისუფალ გამოყენებას, რაც განსაკუთრებით საინტერესოდ ვლინდება სამოქალაქო კონცეფციებისა და ტერმინოლოგიების შემთხვევაში. ესტონეთის განათლების სისტემაში საგნის და საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლები სპეციალურად ემზადებიან ენის განვითარების მხარდასაჭერად, განსაკუთრებით – უმცირესობათა ენობრივი ფონის მქონე მოსწავლეებისთვის, რათა ენა არ გახდეს სამოქალაქო განათლების ბარიერი (Mehisto & Asser, 2007).

სკოლისგარეშე აქტივობები

სკოლისგარეშე აქტივობები მოსწავლეებს აძლევს ღირებულ შესაძლებლობებს, რომ რეალურ სამოქალაქო კონტექსტში გამოიყენონ თავიანთი ენობრივი უნარები. ორგანიზებული კლუბები, ღონისძიებები და პროექტები, რომლებიც აერთიანებს ენის პრაქტიკას და სამოქალაქო ჩართულობას, როგორიცაა

მრავალენოვანი დებატების კლუბები, საზოგადოებრივი სერვისის პროექტები ან პარლამენტის იმიტაცია, მოსწავლეების მრავალმხრივი განვითარების არაჩვეულებრივ საშუალებას წარმოადგენს. ევროპული ახალგაზრდული პარლამენტის პროგრამა, რომელიც მოქმედებს მრავალ ქვეყანაში და ქართველ მოსწავლეებსა და სტუდენტებსაც აერთიანებს, აძლევს ახალგაზრდებს საშუალებას, განიხილონ აქტუალური საკითხები მრავალენოვან გარემოში, რაც აუმჯობესებს როგორც ენობრივ, ასევე სამოქალაქო უნარებს (European Youth Parliament, 2021).

ციფრული მოქალაქეობა და ენის სწავლება

სწრაფად და დინამიკურად განვითარებად ციფრულ სამყაროში განათლებამ უნდა მოამზადოს მოსწავლეები მაღალი პასუხისმგებლობის მქონე ციფრულ მოქალაქეებად, ენობრივი უნარების პარალელურ განვითარებასთან ერთად. ციფრული მოქალაქეობის კონცეფციების ინტეგრირება ენის გაკვეთილებში მოსწავლეებს ამზადებს ეფექტური კომუნიკაციის უზრუნველსაყოფად და შეფასებისათვის და აკისრებს პასუხისმგებლობას ონლაინ სივრცეში ინტერაქციის პროცესში. eTwinning პროგრამა, რომელიც აკავშირებს სკოლებს ევროპაში, საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, პრაქტიკულად განავითარონ ენობრივი უნარები სამოქალაქო თემებზე თანამშრომლობით პროექტებზე მუშაობის პარალელურად (European Commission, 2021).

შეფასება და შეფასების მეთოდები

ენისა და სამოქალაქო განათლების ინტეგრირებისას, მნიშვნელოვანია შესაფერისი შეფასების მეთოდების შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს, როგორც ენობრივი კომპეტენციის, ასევე სამოქალაქო უნარების შეფასების ეფექტურობას. მოსწავლეების პორტფოლიოზე დაფუძნებული შეფასების დანერგვა, მოსწავლეებს საშუალებას მისცემს, წარმოადგინონ ენის განვითარებისა და სამოქალაქო კონცეფციების გააზრების დინამიკა პროექტებისა და რეფლექსიების მეშვეობით. ევროპული ენის პორტფოლიო, რომელიც მოიცავს მოქალაქეობის კომპონენტს, წარმოადგენს მოდელს, რომელიც აფასებს როგორც ენობრივ უნარებს, ასევე ინტერკულტურულ კომპეტენციებს (Little & Perclová, 2001).

პარტნიორობა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან

უნივერსიტეტებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ სკოლების ძალისხმევის მხარდაჭერაში ენისა და სამოქალაქო განათლების ინტეგრირებისათვის. სკოლებსა და უნივერსიტეტებს შორის პარტნიორობის ჩამოყალიბება კვლევის, სასწავლო გეგმის განვითარების და მოსწავლეთა მენტორობის პროგრამების ჩასატარებლად, ენასა და მოქალაქეობის თემებზე ფოკუსით, მოამზადებს მოსწავლეებს ღირსეულ სტუდენტებად და შესაბამისად, გაზრდის უნივერსიტეტებში მაღალი აკადემიური მოსწრებისა და სამოქალაქო შეგნების სტუდენტების შედინებას. ლიდსის უნივერსიტეტში (დიდი ბრიტანეთი) „ენისა და მოქალაქეობის“ კვლევითი ჯგუფი თანამშრომლობს ადგილობრივ სკოლებთან, რათა განავითარონ ინოვაციური მიდგომები ენისა და სამოქალაქო განათლების ინტეგრაციისთვის (University of Leeds, 2021).

საზოგადოების ჩართულობა

სასწავლო პროგრამის შინაარსის დაკავშირება საზოგადოებასთან ამყარებს ენისა და სამოქალაქო განათლების რეალურ მნიშვნელობას. შესაბამისად, საზოგადოების ღონისძიებების ორგანიზება, როგორი-

ცაა მრავალენოვანი საჯარო შეხვედრები თუ კულტურული ფესტივალები, სადაც მოსწავლეებს შეუძლიათ გამოიყენონ ენობრივი კომპეტენციები სამოქალაქო საკითხებთან დაკავშირებული თემების განხილვისას, აძლიერებს თვითრწმენას და ავითარებს პრაქტიკას მრავალფეროვან გარემოში აქტიური მოქალაქეობისათვის. ესტონეთის „ღია სკოლის“ ინიციატივა წაახალისებს სკოლებს, გახდნენ საზოგადოებრივი ცენტრები, სადაც ენის კურსები და სამოქალაქო განათლების პროგრამები მიმდინარეობს როგორც მოსწავლეებისათვის, ისე ზრდასრულთათვის (Estonian Ministry of Education and Research, 2020).

6. პრაქტიკული სტრატეგიები პედაგოგებისათვის

ქვემოთ მოცემულია პრაქტიკული, განხორციელებადი სტრატეგიები, რომლებიც პედაგოგებს შეუძლიათ საკლასო ოთახებში განახორციელონ ენის სწავლებისა და სამოქალაქო განათლების ეფექტურად ინტეგრირებისათვის. ამ სტრატეგიების ადაპტირება ადვილად განხორციელებადია სხვადასხვა სასწავლო საფეხურისა და ენობრივი ცოდნის შესაბამისად.

მრავალენოვანი საკლასო გარემო – საკლასო სივრცე, რომელიც გამოხატავს ენობრივ მრავალფეროვნებას და ხელს უწყობს ენის ცნობიერების განვითარებას.

„კვირის ენის“ კუთხის დანერგვით, ხაზგასმით აღინიშნება საქართველოში არსებული ეთნიკური თუ უცხო ენის პატივისცემა. მოსწავლეების წახალისება, გაუზიარონ ერთმანეთთან მისალმებები ან მარტივი ფრაზები საკუთარ მშობლიურ ენებზე, მნიშვნელოვნად ზრდის მათ თვითშეფასებას და მიმღებლობას.

კვლევები ადასტურებენ, რომ მრავალენოვანი საკლასო გარემო ზრდის ენობრივ ცნობიერებას და ხელს უწყობს ენობრივი მრავალფეროვნებისადმი დადებით დამოკიდებულებებს (Cenoz & Gorter, 2017).

კრიტიკული მედიაწიგნიერების ინტეგრირება ენის სწავლებასთან ხელს უწყობს ინფორმირებული მოქალაქეობის განვითარებას. სტრატეგია შეიძლება მოიცავდეს ადგილობრივ ენაზე გამოცემულ გაზეთებში ახალი ამბების შესახებ სტატიების ან სოციალური მედიის პოსტების განხილვას. ენის სწავლება, რომელიც გამოხატავს შეთანხმებას, შეუთანხმებლობას და სკეპტიციზმს, ფაქტების შემოწმების სავარჯიშოები ადგილობრივ ენაზე არსებული რესურსების გამოყენებით, სასწავლო პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილი გახდება. კონკრეტული აქტივობის მაგალითად შეიძლება მოვიტანოთ „სათაურების ანალიზი“, რაც გულისხმობს მოსწავლეებისათვის სტატიების თუ ბლოგების სათაურების გადაცემას სამიზნე ენაზე და შესაძლო მიკერძოების, ტონის თუ ნაგულისხმევი საინფორმაციო გზავნილების ამოცნობას.

ციფრული მოთხრობების შექმნა, რაც გულისხმობს ნარატივების შექმნას, რომლებიც იკვლევს მოქალაქეობის თემებს და, ამავდროულად, ავარჯიშებს ენობრივ უნარებს.

კონკრეტული სტრატეგია შეიძლება გულისხმობდეს მოსწავლეების მიერ მოკლე ვიდეოების შექმნას საკუთარი ოჯახის ისტორიაზე ან კულტურულ ტრადიციებზე. ინტერვიუების ჩაწერას საზოგადოების საინტერესო წევრებთან, სადაც აქცენტები აზრთან ერთად, მკაფიო გამოთქმაზე, შესაბამისი ლექსიკის გამოყენებასა და თანმიმდევრული ნარატივის შექმნაზე გაკეთდება.

სიმულაციები და როლური თამაშები ენის პრაქტიკისთვის სამოქალაქო კონტექსტებში. ნაცნობი და საინტერესო სტრატეგიაა „გაეროს მოდელი საკლასო ოთახში“, სადაც მოსწავლეები ინიშნებიან სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებად და მათთვის გაწეული ენობრივი დახმარების საშუალებით მონაწილეობას იღებენ დებატებსა და რეზოლუციების მიღებაში. აქცენტი კეთდება დიპლომატიურ ენასა და ფორმალური რიტორიკის მორგებაზე უმცროსკლასელი მოსწავლეების შემთხვევაში. საინტერესო სიმულაცია შეიძლება გახდეს ქალაქის საჯარო შეხვედრა, სადაც განიხილება ადგილობრივი საკითხები, როგორებიცაა სათამაშო მოედნების გარემონტება ან სკოლის წესების შემუშავება.

ენის გაცვლითი პარტნიორობის პროგრამები

ეს აქტივობა მნიშვნელოვანია ინტერკულტურული ცნობიერების გასაძლიერებლად და გულისხმობს პარტნიორობის დამყარებას სხვადასხვა რეგიონისა თუ ქვეყნის სკოლებთან.

რეგულარული ვიდეო ზარები ან წერილობითი გაცვლები სტრუქტურირებული დავალებების საშუალებით, რომლებიც ადგილობრივი სამოქალაქო პრაქტიკებისა და კულტურული ტრადიციების შედარებაზე იქნება ორიენტირებული საინტერესო და სასარგებლო სავარჯიშოს წარმოადგენს მოსწავლეებისათვის. მნიშვნელოვანია, რომ ყველა ენის მატარებელი მოსწავლე იღებდეს სარგებელს ასეთი გაცვლების საშუალებით.

სამოქალაქო ლექსიკის ჟურნალი

მასწავლებლის დახმარებით, მოსწავლეებს შეუძლიათ შექმნან პირადი სამოქალაქო ლექსიკის რესურსი, რომელსაც ისინი რეგულარულად გამოიყენებენ სამოქალაქო საკითხებთან დაკავშირებული სიტყვებისა და ტერმინოლოგიის ჩასაწერად. ჟურნალი ასევე მოიცავს განმარტებებს, როგორიცაა, მაგალითად წინადადებები ამ სიტყვების გამოყენებით და ვიზუალური დახმარებები. მნიშვნელოვანია, ამ ლექსიკის რეგულარულად განხილვა საკლასო დისკუსიების და სხვა აქტივობების მსვლელობისას. ლექსიკის ჟურნალი ციფრულიც შეიძლება იყოს.

საზოგადოებრივი ინტერვიუები, რომელთაც მოსწავლეების მცირე ჯგუფები ჩაატარებენ ადგილობრივ საზოგადოებასთან, აუმჯობესებს ენის უნარების პრაქტიკაში გამყარებას. სტრატეგია შეიძლება გულისხმობდეს „ადგილობრივი გმირების პროექტსაც“, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეები ირჩევენ და ინტერვიუს უტარებენ საზოგადოების სხვადასხვა წევრს, რომლებიც მოქალაქეობის კარგ მაგალითებს აძლევენ მოზარდებს. შესაბამისად, მოსწავლეები ამზადებენ კითხვებს, ატარებენ ინტერვიუებს და ქმნიან ანგარიშებს. მათი აღმოჩენების გაზიარება კი საკლასო პრეზენტაციებით ან ბლოგით არის შესაძლებელი. ენის ფოკუსი კითხვების ფორმულირების, აქტიური მოსმენის და ციტატების გადმოცემის უნარების ვარჯიშზეა ორიენტირებული.

დებატებისა და დისკუსიის ტექნიკები გულისხმობს ენობრივი სტრუქტურების და ლექსიკის შესწავლას კონსტრუქციული დებატებისთვის და სამოქალაქო საკითხების განხილვისთვის. შესაბამისად, მასწავლებელი წარმოადგენს საჭირო ფრაზებს მოსაზრებების გამოთქმისა და დასაბუთებისთვის, თავაზიანი შეთანხმებისა/შეუთანხმებლობისთვის და განმარტებების მოთხოვნისთვის. ამისათვის კლასში გამოიყოფა სტრუქტურირებული დებატის ფორმატები, როგორიცაა „ოთხი კუთხე“ ან „სოკრატეს სემინარები“. მნიშვნე-

ლოვანია, მოსწავლეებისათვის შესაბამისი ენობრივი დახმარების გაწევა მათი ენობრივი კომპეტენციების გათვალისწინებით.

რეფლექსიური წერა, ენის სწავლებასთან ინტეგრირებული აქტივობაა, რომელიც მოსწავლის კავშირს აძლიერებს პირად სამოქალაქო გამოცდილებებთან. სტრატეგია: „მოქალაქეობის ჟურნალი“ წარმოადგენს ყოველკვირეულ ჩანაწერებს, რომლებიც ასახავს სამოქალაქო გამოცდილებას ან მიმდინარე მოვლენებს, ასევე კითხვებს, რომლებიც ხელს უწყობს კრიტიკულ აზროვნებას მოქალაქეობისა და ენის გამოყენების შესახებ. თანაკლასელების გამოხმაურების სესიები ამ სავარჯიშოს მნიშვნელოვანი ნაწილია, სადაც ყურადღება გამახვილებულია შინაარსის აღქმაზე და ენობრივ სიზუსტეზე.

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ენისა და სამოქალაქო განათლების ინტეგრაცია მნიშვნელოვან ფორმატს წარმოადგენს განათლების მომავლის ფორმირებისთვის. ენობრივი კომპეტენციისა და სამოქალაქო ჩართულობის ხელშეწყობით, პედაგოგებს შეუძლიათ მოსწავლეები აღჭურვონ სათანადო ინსტრუმენტებით, რათა ისინი ეფექტურად ჩაერთონ ადგილობრივი თუგლობალური საზოგადოების ცხოვრებაში. საქართველოს მრავალფეროვანი ენობრივი გარემო, რესურსების შეზღუდვებისა და განათლების პოლიტიკის ცვლილებების გამოწვევების ფონზეც კი, მნიშვნელოვან შესაძლებლობებს აჩენს ინოვაციებისათვის. მრავალენოვანი პედაგოგიკის დანერგვით, მასწავლებელთა განვითარების გამდიდრებული პროგრამებითა და საზოგადოებრივ სწავლებაზე დაფუძნებული სწავლების გზით, არსებობს შესაძლებლობა მძლავრი კონცეპტუალური ჩარჩოს შექმნისათვის, რომელიც აფასებს პიროვნულ იდენტობას და კულტურულ მრავალფეროვნებას. სამომავლოდ, კვლევაზე ორიენტირებული მიდგომები, სექტორებსშორისი თანამშრომლობა და სასწავლო გეგმის მუდმივი გაუმჯობესება აუცილებელი წინაპირობა გახდება ენისა და მოქალაქეობის ინტეგრირებული განათლების პოტენციალის სრულად რეალიზაციისთვის, რაც მომდევნო თაობებს მოამზადებს გლობალურ სამყაროში წარმატებული ორიენტირების და საკუთარი, მნიშვნელოვანი წვლილის შეტანისათვის.

ბიბლიოგრაფია

1. Bae-Dimitriadis, M. (2020). Transnational youth art: Identity, citizenship, and belonging. Teachers College Press.
2. Beacco, J. C., Krumm, H. J., Little, D., & Thalgott, P. (Eds.). (2017). The Linguistic Integration of Adult Migrants: Some Lessons from Research. De Gruyter Mouton.
3. Beckett, G. H., & Miller, P. C. (Eds.). (2006). Project-based second and foreign language education: Past, present, and future. Information Age Publishing.
4. Bippus, S. L., & Eslami, Z. R. (2013). Adult ESOL students and service-learning: Voices, experiences, and perspectives. TESOL Journal, 4(3), 587-597.
5. Bovill, C. (2020). Co-creation in learning and teaching: The case for a whole-class approach in higher education. Higher Education, 79(6), 1023-1037.
6. Byram, M., & Wagner, M. (2018). Making a difference: Language teaching for intercultural and international dialogue. Foreign Language Annals, 51(1), 140-151.
7. Byram, M., Gribkova, B., & Starkey, H. (2002). Developing the intercultural dimension in language teaching: A practical introduction for teachers. Council of Europe.
8. Cenoz, J., & Gorter, D. (2017). Minority languages and sustainable translanguaging: Threat or opportunity? Journal of Multilingual and Multicultural Development, 38(10), 901-912.
9. Chkuaseli, K., Sanikidze, T., & Kitiashvili, A. (2021). Digital education in Georgia: Challenges and opportunities. European Scientific Journal, 17(4), 51-67.
10. Citizenship Education Research Network. (2018). Citizenship Education in Ontario: Canadian and World Studies, Grades 9-10.
11. Constitution of Georgia. (1995).
12. Council of Europe. (2014). European Charter for Regional or Minority Languages: Application of the charter in Georgia.
13. Council of Europe. (2015). Teaching controversial issues: Professional development pack for teachers. Council of Europe Publishing.

14. Council of Europe. (2018). Pestalozzi Programme.
15. Council of Europe. (2020). Reference Framework of Competences for Democratic Culture. Council of Europe Publishing.
16. Coyle, D., Hood, P., & Marsh, D. (2010). Content and Language Integrated Learning. Cambridge University Press.
17. Deardorff, D. K. (2020). Manual for developing intercultural competencies: Story circles. UNESCO Publishing.
18. DuFour, R., & DuFour, R. (2013). Learning by doing: A handbook for Professional Learning Communities at Work TM. Solution Tree Press.
19. Epstein, J. L. (2018). School, family, and community partnerships: Preparing educators and improving schools. Routledge.
20. Estonian Ministry of Education and Research. (2020). Open School Initiative.
21. European Commission. (2021). eTwinning: The community for schools in Europe.
22. European Youth Parliament. (2021). About EYP.
23. Fairclough, N. (1992). Critical language awareness. Longman.
24. Gabruashvili, M. (2019). Education policy formation in Georgia: The case of the concept of teacher profession and its development. International Journal of Educational Research Review, 4(2), 141-151.
25. Gabunia, Kakha. (2014). THE LANGUAGE SITUATION IN CONTEMPORARY GEORGIA 2. CAUCASIAN AND NON-CAUCASIAN LANGUAGES. INTERNATIONAL JOURNAL OF MULTILINGUAL EDUCATION. II. 1-21. 10.22333/ijme.2014.4001.
26. García, O., & Wei, L. (2014). Translanguaging: Language, bilingualism and education. Palgrave Macmillan.
27. Gorgadze, N. (2016). Rethinking integration policy—Dual ethnic and cultural identity. International Journal of Multilingual Education, 7, 6-31.
28. Gruenewald, D. A., & Smith, G. A. (Eds.). (2014). Place-based education in the global age: Local diversity. Routledge.
29. Hogan-Brun, G. (2006). At the interface of language ideology and practice: The public discourse surrounding the 2004 education reform in Latvia. Language Policy, 5(3), 315-335.
30. Kalandarishvili, T. (2018). Parental involvement in Georgian schools: Bridging the gap between policy and practice. International Journal of Educational Research Review, 3(3), 87-96.
31. Klein, J. T. (2020). Sustainability and collaboration: Crossdisciplinary and cross-sector horizons. Sustainability, 12(4), 1515.
32. Korth, B., Stepanian, A., & Muskhelishvili, M. (2005). Language policy in Georgia with a focus on the education system. CIMERA.
33. Kymlicka, W., & Patten, A. (Eds.). (2003). Language rights and political theory. Oxford University Press.
34. Lan, Y. J. (2020). Immersion, interaction and experience-oriented learning: Bringing virtual reality into FL learning. Language Learning & Technology, 24(1), 1-15.
35. Lasagabaster, D., & Ruiz de Zarobe, Y. (Eds.). (2010). CLIL in Spain: Implementation, results and teacher training. Cambridge Scholars Publishing.
36. Liddicoat, A. J., & Scarino, A. (2013). Intercultural Language Teaching and Learning. John Wiley & Sons.
37. Little, D. (2012). The Common European Framework of Reference for Languages, the European Language Portfolio, and language learning in higher education. Language Learning in Higher Education, 1(1), 1-21.
38. Little, D., & Perclová, R. (2001). European Language Portfolio: Guide for Teachers and Teacher Trainers. Council of Europe.
39. May, S. (2012). Language and minority rights: Ethnicity, nationalism and the politics of language (2nd ed.). Routledge.
40. Mehisto, P., & Asser, H. (2007). Stakeholder perspectives: CLIL programme management in Estonia. International Journal of Bilingual Education and Bilingualism, 10(5), 683-701.
41. Newby, D., Allan, R., Fenner, A. B., Jones, B., Komorowska, H., & Soghikyan, K. (2007). European Portfolio for Student Teachers of Languages: A reflection tool for language teacher education. Council of Europe.
42. Osler, A., & Starkey, H. (2006). Education for democratic citizenship: A review of research, policy and practice 1995–2005. Research Papers in Education, 21(4), 433-466.
43. Osler, A., & Starkey, H. (2018). Extending the theory and practice of education for cosmopolitan citizenship. Educational Review, 70(1), 31-40.
44. Panadero, E., & Alonso-Tapia, J. (2013). Self-assessment: Theoretical and practical connotations. When it happens, how is it acquired and what to do to develop it in our students. Electronic Journal of Research in Educational Psychology, 11(2), 551-576.
45. Parliament of Georgia. (2005). Law of Georgia on General Education. [Link to official source]
46. Priestley, M., Biesta, G., & Robinson, S. (2015). Teacher agency: An ecological approach. Bloomsbury Academic.
47. Raiker, A., & Rautiainen, M. (Eds.). (2020). Educating for Democracy in England and Finland: Principles and Culture. Routledge.
48. Richardson, J., & Milovidov, E. (2019). Digital citizenship education handbook. Council of Europe.
49. სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერ-თოებების ცენტრი (2023) ენობრივი პოლიტიკა საქართველოში: სიტუაციის ანალიზი და კვლევის შედეგები, თბილისი
50. Shute, V. J., & Rahimi, S. (2017). Review of computer based assessment for learning in elementary and secondary education. Journal of Computer Assisted Learning, 33(1), 1-19.
51. Tabatadze, S. (2015). Teachers' approaches to multicultural education in Georgian classrooms. Journal for Multicultural Education, 9(4), 248-262.
52. Tabatadze, S. (2017). Minority education in Georgia: Is it delivering what is expected? Multilingual Education, 7(1), 1-17.
53. Tabatadze, S., & Gorgadze, N. (2018). Selective intercultural sensitivity to different sources of cultural identity: Study of intercultural sensitivity of students in Georgia. Journal for Multicultural Education, 12(1), 35-49.
54. Tammpuu, P., & Masso, A. (2018). 'Welcome to the virtual state': Estonian e-residency and the digitalised state as a commodity. European Journal of Cultural Studies, 21(5), 543-560.
55. University of Leeds. (2021). Language for Citizenship Research Group.
56. VanLehn, K. (2011). The relative effectiveness of human tutoring, intelligent tutoring systems, and other tutoring systems. Educational Psychologist, 46(4), 197-221.
57. Weber, J. J., & Horner, K. (2012). Introducing Multilingualism: A Social Approach. Routledge.
58. Wiley, D., & Hilton III, J. L. (2018). Defining OER-enabled pedagogy. The International Review of Research in Open and Distributed Learning, 19(4).

სოფიკო ლოჭკანიძე
პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი,
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ექსპერტ-კონსულტანტი,
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ლია ბერიძიანი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

სამშვიდობო განათლების გამოწვევები და პერსპექტივები საქართველოში

პირველი ნაწილი

> **იოჰან გალთუნგმა მშვიდობის კონცეფცია ნეგატიურ და პოზიტიურ მშვიდობად დაყო.**

1. სამშვიდობო განათლების არსი

„ვინაიდან ომები ადამიანთა გონებაში იქმნება, ადამიანთა გონებაა სწორედ ის ადგილი, რომელშიც უნდა აშენდეს მშვიდობა“.
Constitution of UNESCO 1945

მშვიდობის მშენებლობის მძლავრი იარაღი სამშვიდობო განათლებაა. სამშვიდობო განათლება არის იმ ცოდნის, უნარების, დამოკიდებულებებისა და ღირებულებების ხელშეწყობის პროცესი, რომელიც ბავშვებს, ახალგაზრდებს და მოზარდებს საშუალებას მისცემს თავიდან აიცილონ კონფლიქტები და ძალადობა, შეძლონ კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტა და მშვიდობისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, იქნება ეს ინტრაპერსონალურ, ინტერპერსონალურ, ჯგუფთაშორის, ეროვნულ თუ საერთაშორისო დონეზე (Peace Education in UNICEF 1999) სამშვიდობო განათლება ეს არის პრაქტიკა, რომელიც გულისხმობს ადამიანთა ცხოვრებაში სხვადასხვა მანკიერების (უსამართლობა, უთანასწორობა, ცრურწმენა, შეუწყნარებლობა, ადამიანის უფლებების დარღვევა, გარემოს განადგურება, ძალადობრივი კონფლიქტი, ომი) შემცირებას, რათა სამყაროში დამყარდეს მშვიდობა (Bar-Tal 2002).

სამშვიდობო განათლება ხელს უნდა უწყობდეს გრძელვადიანი, მდგრადი მშვიდობის დამყარებას. მშვიდობის კვლევის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა იოჰან გალთუნგმა მშვიდობის კონცეფცია ნეგატიურ და პოზიტიურ მშვიდობად

დაჰყო (Galtung, 1969). მან ნეგატიური მშვიდობა უწოდა ვითარებას, როდესაც სახეზეა ომის და ძალადობის არარსებობა მხოლოდ მოცემულ მომენტში და არ არსებობს გრძელვადიან მომავალში მდგრადობის პერსპექტივა. მაშინ, როცა პოზიტიურ მშვიდობას ის განმარტავს როგორც ჰუმანური საზოგადოების გაერთიანებას, რაშიც გულისხმობს კაცობრიობის მუდმივ, თანმიმდევრულ სვლას მდგრადი, გრძელვადიანი მშვიდობის კულტურის მშენებლობისკენ. ამ პროცესში განათლების ზრდა მშვიდობის შესახებ, მათ შორის ადამიანების ურთიერთგაგებისა და ურთიერთპატივისცემის გაუმჯობესება, საერთაშორისო და ადგილობრივი კონფლიქტების მოლაპარაკებებით/არაძალადობრივი გზებით გადაწყვეტა და ა.შ განიხილება მთავარ ინსტრუმენტად. პოზიტიური, გრძელვადიანი და მდგრადი მშვიდობის დამყარებაში ფუნდამენტური როლი სწორედ სამშვიდობო განათლებას ენიჭება.

სამშვიდობო განათლების მნიშვნელობაზე ჯერ კიდევ მე-17 საუკუნის ჩეხი თეორეტიკოსი და განმანათლებელი იან ამოს კომენიუს (1592-1670) საუბრობს, რომელიც მიიჩნევდა, რომ სხვების ღირებულებების გააზრება და გაზიარება, მიგვიყვანს განსხვავებულობით გამოწვეული კონფლიქტების დაძლევასთან (I. Harris, History of Peace Education 2008). კომენიუსის ეს მიდგომა მეტყველებს, რომ ჯერ კიდევ მე-17 საუკუნეში სამშვიდობო განათლებას ჰქონდა წამყვანი როლი მშვიდობის მშენებლობის პროცესში და თანამედროვე სამყაროშიც კვლავ მშვიდობის დამყარების მთავარ ინსტრუმენტად სამშვიდობო განათლება რჩება, რადგან ის არის ადამიანების ცნობიერების ტრანსფორმაციის შესაძლებლობა და ადამიანებს უვითარებს გლობალური აზროვნების, ადამიანის უფლებების პატივისცემის, კონფლიქტებისა და ძალადობის მშვიდობიანად გადაწყვეტის უნარებს. (Reardon 2015). მართალია პოზიტიური მშვიდობის მიღწევის ეს გზა უფრო გრძელვადიანია, თუმცა მეტად ოპტიმისტური.

2. საერთაშორისო განათლება განათლების პოლიტიკის საერთაშორისო დოკუმენტებში

თანამედროვე მსოფლიოში არსებული არაერთი გამოწვევის ფონზე, სამშვიდობო განათლების ხელშეწყობა განათლების ყველა საფეხურზე განათლების პოლიტიკის შემქმნელი არაერთი საერთაშორისო ორგანიზაციის მთავარი პრიორიტეტია.

სამშვიდობო განათლების გლობალური კამპანიის ფარგლებში შემუშავებული ჰააგის მიმართვა (1999) ითვალისწინებს, რომ მხოლოდ მშვიდობის სისტემური სწავლებით არის შესაძლებელი მოქალაქეებმა შეძლონ გლობალური პრობლემების გაცნობიერება, კულტურული მრავალფეროვნებისა და სხვათა უფლებების აღიარება და პატივისცემა. ამასთან, შეიძინონ დაპირისპირებების მშვიდობიანად მოგვარების კომპეტენციები (Hague Appeal for Peace Global Campaign for Peace Education 1999). ამავე ინიციატივას ეხმიანება სამშვიდობო განათლების მასწავლებლის გზამკვლევი, რომელიც იუნესკოს მიერ 2001 წელს შეიმუშავა (UNESCO 2001).

სამშვიდობო განათლება, თავისი კომპლექსური ბუნებიდან გამომდინარე თემების ფართო სპექტრს ფარავს – ძალადობის სხვადასხვა ფორმის თავიდან აცილებიდან სოციალური სამართლიანობისა და გარემოს მდგრადობის მიღწევამდე. შესაბამისად, მისი გაძლიერებული სწავლება, განათლების სხვადასხვა საფეხურზე, მხარდაჭერილია მრავალი საერთაშორისო ორგანიზაციის მარეგულირებელი დოკუმენტით. სამშვიდობო განათლების ქოლგის ქვეშ ერთიანდება ისეთი თემები, როგორიცაა: კონფლიქტების გადაწყვეტის განათლება (Conflict Resolution Education (CRE)), გლობალური განათლება (Global Education (GE)), ადა-

მიანის უფლებების განათლება (Human Right Education (HRE)), მდგრადი განვითარების განათლება(Education for Sustainable Development (ESD)), გლობალური მოქალაქეობის განათლება (Global Citizenship Education (GCED)), განიარაღების შესახებ განათლება (Disarmament Education) და ა.შ.

სამშვიდობო განათლების მიმართულებით გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (UNESCO) მიზნად ისახავს ყველა ასაკის მოსწავლეში იმ უნარების გაძლიერებას, რომელთა დახმარებითაც ისინი გახდებიან უფრო აქტიური მოქალაქეები და მთავარი აქტორები მშვიდობიანი, ინკლუზიური, ტოლერანტული და უსაფრთხო საზოგადოებების მშენებლობაში, როგორც ადგილობრივ, ისე გლობალურ დონეზე (UNESCO).

სამშვიდობო განათლების მიმართულებების სწავლების მნიშვნელობას ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურზე ეხმაურება ევროპის საბჭოს დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების სარეკომენდაციო ჩარჩოც (Europe, Recommended Framework of Competencies for Democratic Culture 2016).

გაეროს 2030 მდგრადი განვითარების მიზნებითაც განსაზღვრულია სამშვიდობო განათლების საჭიროება. მისი მეოთხე მიზანი ითვალისწინებს, რომ აუცილებელია თითოეული მოსწავლის დონეზე კულტურული მრავალფეროვნების, მშვიდობისა და არაძალადობრივი კულტურის მნიშვნელობის გააზრების, მათი აღიარებისა და გლობალურ მოქალაქედ ჩამოყალიბების ხელშეწყობა (UN, Sustainable Development Goals 2015). აღნიშნული მიზნის მიღწევის ინდიკატორებია: გლობალური მოქალაქეობის განათლების და განათლების მდგრადი განვითარებისთვის ინტეგრირება ოთხ სფეროში: განათლების ეროვნული პოლიტიკის დოკუმენტებში, სასწავლო გეგმებში, მასწავლებლის განათლებასა და მოსწავლეთა შეფასებაში. გაეროს მდგრადი განვითარების მე-16 მიზანი კი უშუალოდ უკავშირდება მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ფორმირებას, რომლის განხორციელებაშიც მნიშვნელოვანი როლი უკავია სამშვიდობო განათლების მიმართულებებს და მის ფარგლებში შეძენილ კომპეტენციებს.

3. სამშვიდობო განათლება და მისი ადგილი საჯაროდ საქართველოს განათლების სისტემაში

საქართველო, როგორც ზემოთ ნახსენები საერთაშორისო ორგანიზაციების წევრი სახელმწიფო, იზიარებს მათ ხედვებს და იღებს ვალდებულებას, რომ აღნიშნული მიმართულებები ასახოს, როგორც განათლების პოლიტიკის მარეგულირებელ დოკუმენტებში, ასევე ხელი შეუწყოს მათ ინტეგრირებას სასწავლო პროცესში. შესაბამისად, სამშვიდობო განათლების ელემენტებს ვხვდებით საქართველოს ზოგადი განათლების პოლიტიკის დოკუმენტებში. ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებში ვკითხულობთ: საქართველოს ზოგადი განათლების სისტემა უზრუნველყოფს ისეთი მოქალაქის აღზრდას, რომელსაც გაცნობიერებული აქვს „მდგრადი განვითარებისა და სამშვიდობო თანაცხოვრების პოლიტიკის ფუნდამენტური პრინციპების შესაბამისად მოქმედება“ (ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები 2024).

თანასწორობის, ინკლუზიურობის და მრავალფეროვნების საკითხები, განათლებისა და მეცნიერების 2022-2030 წლების სტრატეგიაში მთავარ გამოწვევად სახელდება. აღნიშნულის გათვალისწინებით, თანასწორობისა და ინკლუზიურობის შესახებ ყოვლისმომცველი პოლიტიკის შექმნას მოიაზრებს სწორედ მეორე მიზანი. რითიც შესაძლებელი იქნება ყველას, განურჩევლად რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური, ენობრივი თუ სოციალურ-ეკონომიკური წარმომავლობისა და საჭიროებისა, ჰქონდეს წვდომა მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო სერვისებთან. სტრატეგიაში გათვალისწინებულია, როგორც მოსწავლე-

ების, ასევე მასწავლებლებისა და საგანმანათლებლო სპეციალიზებული და არასპეციალიზებული პერსონალის გაძლიერება შესაბამისი კომპეტენციებით (სტრატეგია 2022-2030). დოკუმენტი აქცენტს აკეთებს ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე გენდერული განათლების ხელშეწყობაზეც. საბოლოოდ ყოველივე ეს ემსახურება იმას, რომ საქართველოში მცხოვრებ ყველა პირს შეეძლოს საკუთარი იდენტობის დაცვა და გლობალურ საზოგადოებაში სრულფასოვანი ინტეგრაცია.

სამშვიდობო განათლების მიმართულებები ასახულია ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევის მთავარ დოკუმენტში – ეროვნულ სასწავლო გეგმაში, განსაკუთრებით მკაფიოდ არის გაწერილი საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ სტანდარტში, როგორც დაწყებით, ასევე საბაზო და საშუალო საფეხურზე.

> სამშვიდობო განათლება, თავისი კომპლექსური განებიჭენ გამომჭინარე თემების ფართო სპექტრს ფარავს.

გარდა საერთაშორისო და ეროვნული დოკუმენტებით განსაზღვრული ვალდებულებებისა, პირველ რიგში, საქართველოში არსებული მრავალფეროვანი სოციალურ-პოლიტიკური კონტექსტი განსაზღვრავს სამშვიდობო განათლების, როგორც ქვეყანაში მშვიდობის კულტურის მშენებლობის ინსტრუმენტის აუცილებლობას. დარგობრივ ლიტერატურაში სამშვიდობო განათლების დადებითი როლი განსაკუთრებით აღიარებულია მულტიკულტურულ და კონფლიქტების გამოცდილების მქონე ქვეყნებში, ამ ქვეყნებს შორის არის საქართველო. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოუგვარებელი ეთნოპოლიტიკური კონფლიქტი საქართველოს პოლიტიკური ისტორიის მთავარი დღის წესრიგია ბოლო 30 წლის განმავლობაში. რაც შეეხება ქვეყნის ეთნიკურ და რელიგიურ მრავალფეროვნებას, 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის თანახმად, საქართველოში, რაოდენობრივად ყურადსაღები, გამოკვეთილი 10 ეროვნების მცხოვრებია, მათ შორის 6.3 % აზერბაიჯანელები, 4.5% კი სომხები. ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნება ბოლო ათი წლის განმავლობაში არაერთხელ გახდა ეთნიკურ-რელიგიურ ნიადაგზე კონფლიქტისა და დაპირისპირების წინაპირობა სხვადასხვა რეგიონში.

2022 წელს რუსეთის შეჭრამ უკრაინაში კიდევ უფრო აქტუალური გახადა სამშვიდობო განათლების დანერგვის საჭიროება, როგორც გლობალურ დონეზე, ასევე საქართველოსთვის. ქვეყანაში 20000-ზე მეტი იძულებით გადაადგილებული პირია უკრაინიდან, მათგან დაახლოებით 1500 სკოლის მოსწავლეა. ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა მათი ინტეგრაცია საზოგადოებაში და კონფლიქტით გამოწვეული ტრავმის შედეგების შემცირება. სამშვიდობო განათლებას და მისი ელემენტების ფორმალურ და არაფორმალურ ინტეგრირებას სასწავლო გეგმაში განსაკუთრებული როლი აქვს ინტეგრაციის პროცესების სწორად მართვაში.

თანასწორობის, ინკლუზიურობის და მრავალფეროვნების საკითხები, განათლებისა და მეცნიერების 2022-2030 წლების სტრატეგიაში მოკვეთა მაგონდებოდა სახელდება.

სამშვიდობო განათლების გამოწვევები

იმისათვის, რომ შეფასებულიყო საქართველოს საგანმანათლებლო სფეროში სამშვიდობო განათლების მიმართულებით არსებული მდგომარეობა, გამოყენებულ იქნა კვლევის შერეული მეთოდები.

თვისებრივი კვლევის ფარგლებში გაანალიზდა სამაგიდე კვლევის მონაცემები:

- განათლების პოლიტიკის მარეგულირებელი საერთაშორისო და ეროვნული დოკუმენტები, რაზეც წინა ქვეთავში მოკლედ ვისაუბრეთ
- სამშვიდობო განათლებასთან დაკავშირებული პროექტები
  ჩატარდა ინტერვიუები
- სამოქალაქო განათლების ექსპერტებთან, მასწავლებლებთან და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან.

რაოდენობრივი გამოკითხვა განხორციელდა მასწავლებლის მომზადების პროგრამების სტუდენტებთან/მომავალ მასწავლებლებთან.

წარმოგიდგენთ კვლევის ძირითად მიგნებებს:

- ექსპერტების მოსაზრებით, სამშვიდობო განათლება მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია ყოველდღიური მშვიდობის მშენებლობისთვის და მდგრადი, გრძელვადიანი მშვიდობის შენარჩუნებისთვის. ზოგადი განათლების მარეგულირებელი დოკუმენტები ითვალისწინებს მასთან დაკავშირებულ ელემენტებს, თუმცა, გლობალური პროცესებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია პროგრამების სამშვიდობო განათლების თემებით მეტად გაჯერება, რაც ასახული იქნება ეროვნული სასწავლო გეგმის განახლებულ რედაქციაში.
- ექსპერტები თანხმდებიან, რომ სამშვიდობო განათლების გაძლიერებისათვის მნიშვნელოვანია ყველა საგნისა და მასწავლებლის, განსაკუთრებით კი მოქალაქეობის მასწავლებლის როლი და კომპეტენცია.
- მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუებიდან გამოიკვეთა, რომ სამშვიდობო განათლების სწავლებას მხოლოდ მოქალაქეობის მასწავლებლის მოვალეობად მიიჩნევენ. ისინი ერიდებიან პასუხისმგებლობა აიღონ საკუთარ თავზე. მოქალაქეობის მასწავლებლები იაზრებენ ამ პასუხისმგებლობას, თუმცა, აშინებთ „მშვიდობის სწავლება“, რადგან მიიჩნევენ, რომ ეს ძალიან სენსიტიური საკითხია და საკმარისი კომპეტენცია ამ მიმართულებით არ აქვთ. რესპონდენტ მასწავლებელთა აზრით, საგანმანათლებლო პროგრამები თუ გაჯერდება სამშვიდობო განათლების საკითხებით, მათ

დასჭირდებათ მხარდაჭერა როგორც პროფესიული განვითარების აქტივობებით, ასევე შესაბამისი რესურსებით მომარაგება.

- მასწავლებლის მომზადების საუნივერსიტეტო პროგრამის ანალიზმა გვიჩვენა, რომ სამშვიდობო განათლების საკითხები გვხვდება მოქალაქეობის სწავლების კურსში, თუმცა ძალიან ფრაგმენტულად. ექსპერტების მოსაზრებით, აუცილებელია მასწავლებელთა მომზადების საუნივერსიტეტო პროგრამებში სამშვიდობო განათლების საკითხები შეთავაზებული იყოს არა მხოლოდ მოქალაქეობის მომავალი მასწავლებლებისთვის, არამედ სამშვიდობო განათლება განხილული იყოს როგორც გამჭოლი კომპეტენცია ყველა საგნისა და საფეხურის მასწავლებლისთვის.
- რესპონდენტებთან გასაუბრების შედეგად ხაზი გაესვა, რომ სამშვიდობო განათლების პროცესში მნიშვნელოვანია საზოგადოების სხვადასხვა რგოლის – სკოლის, თემის, უნივერსიტეტის, არასამთავრობო სექტორის თანამშრომლობა მშვიდობის მშენებლობისა და სამშვიდობო განათლების ღირებულებებისა და ცნობიერების ასამაღლებლად.
- სტუდენტთა პასუხებიდან ირკვევა, რომ რესპონდენტთა უმრავლესობას ესმის სამშვიდობო განათლების თითოეული მიმართულების (ინტერკულტურული განათლება, გლობალური მოქალაქეობა, ადამიანის უფლებათა განათლება, კონფლიქტების მოგვარების განათლება) არსი ტერმინოლოგიურ დონეზე, თუმცა საკუთარ, როგორც მოქალაქის როლზე მშვიდობის მშენებლობის პროცესში მხოლოდ მცირე ნაწილი საუბრობს.
- კითხვაზე, თუ როგორ ისურვებდნენ საუნივერსიტეტო კურსების გაძლიერებას სამშვიდობო განათლების მიმართულებით, სტუდენტების უმრავლესობა პასუხობს, რომ აქვთ სურვილი გაეცნონ სახელმწიფოს და თითოეული მოქალაქის როლს მშვიდობის მშენებლობაში. ამავდროულად, მათთვის, როგორც მომავალი მასწავლებლებისთვის მნიშვნელოვანია იყვნენ ამ ცოდნისა და ღირებულებების გამავრცელებლები, რისთვისაც უნდა განივითარონ სამშვიდობო განათლების სწავლების კომპეტენცია. სტუდენტთა ნაწილი გვთავაზობს არაფორმალური აქტივობების გაძლიერებას სამშვიდობო განათლების მიმართულებით.

სამშვიდობო განათლების პერსპექტივები

საქართველოში სასკოლო და საუნივერსიტეტო დონეზე სამშვიდობო განათლების გამოწვევების დაძ-ლევის საპასუხოდ დაიგეგმა და 2023 წლიდან სტარტი აიღო ერაზმუს +-ის კურიკულუმების განვითარების პროექტმა – კურიკულუმის რეფორმა სამშვიდობო განათლების მხარდაჭერისთვის საქართველოში, უკრაინასა და მოლდოვაში (PeaceEdu), რომელშიც გარდა ამ სამი ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სამშვიდობო განათლების სფეროში მოღვაწე არასამთავრობო ორგანიზაციებისა, ჩართულია ტამპერეს და ჰელსინკის (ფინეთი), ინსბრუკის (ავსტრია) და ჰილდერშაიმის (გერმანიის) უნი-ვერსიტეტების სამშვიდობო და მულტიკულტურული განათლების ცენტრები.

ThePeaceEdu პროექტმა ძირითად მიზნად დაისახა, ხელი შეუწყოს მშვიდობის მდგრად პრაქტიკას მულტიდისციპლინური სამშვიდობო განათლების დანერგვით ევროკავშირის სამი კანდიდატი ქვეყნის საგანმანათლებლო სივრცეში, რაც მიიღწევა საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების შეჯერებითა და ადგილობრივ კონტექსტთან მორგებით.

PeaceEdu პროექტის ფოკუსი არის ინსტრუმენტების შემუშავება პარტნიორი ქვეყნების საგანმანათლებლო სისტემებში გამოწვევების შესამსუბუქებლად, კერძოდ:

- საუნივერსიტეტო სასწავლო გეგმებში მშვიდობის მშენებლობისა და სამშვიდობო განათლების სწავლების სასწავლო კურსების ინტეგრირება
- არსებული მასწავლებლებისთვის პროფესიული განვითარების აქტივობების შეთავაზება;
- სამშვიდობო განათლების სწავლების მეთოდოლოგიური რესურსების შემუშავება;
- საზოგადოების ცნობიერების ამაღლება მშვიდობისა და მშვიდობის მშენებლობის მნიშვნელობის შესახებ;
- თემებში მდგრადობის გაზრდა და პროექტის შედეგების ფართო საზოგადოებისთვის გავრცელება ახალ-გაზრდებზე ფოკუსირებით, კერძოდ ახალგაზრდული სამშვიდობო კლუბების დაარსებით.

სტატიის მეორე ნაწილში შემოგთავაზებთ სამშვიდობო განათლების სწავლების სტრატეგიებს, რომლებიც შემუშავებული და გამოცდილი იქნება PeaceEdu პროექტის ფარგლებში.

ბიბლიოგრაფია

1. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები
2. განათლებისა და მეცნიერების სტრატეგია 2022-2030
3. ეროვნული სასწავლო გეგმა
4. Bar-Tal. 2002. "The Elusive Nature of Peace Education." *In Peace Education : The Concept, Principles, and Practices Around the World*, by Gavriel Salomon & Baruch Nevo, 27-37. Mahwah, New Jersey, London: Taylor & Francis Group.
5. Galtung, Johan. 1969. "Violence, Peace, and Peace Research." *Journal of Peace Research* 167-191.
6. Galtung, Johan. 1990. "Cultural Violence." *Journal of Peace Research* 291-305.
7. Reardon, Betty A. 1999. *Peace Education: A Reviewand Projectio*. Peace Education Reports, Malmo: Malmo University.
8. Betty A Reardon & Dale T. Snauwaert. 2015. Betty *A. Reardon: A Pioneer in Education for Peace and Human Rights*. New York: Springer .
9. 1945. *"Constitution of UNESCO."*
10. 1999. *"Peace Education in UNICEF."*
11. Europe, Council of. 2016. *"Recommended Framework of Competencies for Democratic Culture."*

ტენდენცია, რომელიც ვლანდას იცავს - „რომის პვიჩიოთ მდგრადი მოდა“

მარია ბლიაკე
გეოგრაფიის დოქტორი, მასწავლებლთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გეოგრაფიის ექსპერტ-კონსულტანტი, ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი

ახალი ტანსაცმლის ყიდვისას, როგორც წესი, ყურადღებას ვაქცევთ ფასს, მაგრამ ხშირად არც კი გვახსოვს, რომ ყოველი კაბის, შარვლისა თუ ქურთუკის უკან ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი დგას, რომელიც ადამიანების უმეტესობისთვის შეუმჩნეველი რჩება და ეს ფაქტი გარემოს დაზიანებაა.

ამიტომაც, ბოლო წლებში ჩვენ სულ უფრო და უფრო ხშირად გვესმის და ვიყენებთ ისეთ ტერმინებს, როგორიცაა ეკოლოგიურად სუფთა მოდა, მდგრადი მოდა, ეთიკური მოდა, მწვანე მოდა, წრიული მოდა. იქმნება შთაბეჭდილება, რომ თანამედროვე მოდის ინდუსტრია არა მხოლოდ ტრენდებზეა ორიენტირებული, არამედ მდგრად განვითარებაზეც. ეს შემთხვევით არ ხდება. თანამედროვე საზოგადოებაში გარემოსდაცვით საკითხებზე არა მხოლოდ გარემოსდამცველები და ეკოაქტივისტები საუბრობენ, არამედ მოდის ინფლუენსერები (გავლენიანი ადამიანები) და ბავშვებიც კი. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ უნდა გვესმოდეს ენა, რომლითაც თანამედროვე ბრენდები ურთიერთობენ.

> ნათელია, რომ მდგრადი მოდა იმაზე უფრო მეტ საკითხსა და სფეროს ეხმიანება, ვიდრე მხოლოდ ტექსტილი ან ჰარდუქტია.

რა არის მდგრადი მოდა და რათომ არის ის მნიშვნელოვანი?

ტერმინს „მდგრადი მოდა“ ჩვენ უფრო და უფრო ხშირად ვიყენებთ, რადგან უფრო მეტად ვხვდებით, რა სერიოზული გავლენა აქვს მომხმარებელთა არჩევანს გარემოზე. მაგრამ რას ნიშნავს რეალურად „მდგრადი მოდა“?

„მდგრადი მოდის“ ცნება ასოცირდება ტერმინთან „მდგრადი განვითარება“, რომელიც პირველად 1987 წელს გაეროს გარემოს დაცვის მსოფლიო კომისიის

ანგარიშში „ჩვენი საერთო მომავალი“ იქნა გამოყენებული. მასში აღწერილი იყო ადამიანის განვითარების ის მოდელი, რომელშიც მიმდინარე თაობების სასიცოცხლო მოთხოვნილებების დაკმაყოფილება მომავალი თაობებისთვის ასეთი შესაძლებლობების ჩამორთმევის გარეშე ხდება.

2004 წელს გაეროს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა მოხსენებაში „ვინ ზრუნავს გამარჯვებაზე?“ მდგრადი ბიზნესის ESG პრინციპები ჩამოაყალიბა: E (ინგლ. Environmental, გარემო) – პასუხისმგებლობითი დამოკიდებულება გარემოს მიმართ; S (ინგლ.Social, საზოგადოება) – მაღალი სოციალური პასუხისმგებლობა; G (ინგლ. Governance, მმართველობა, მართვა) – მაღალი ხარისხის კორპორატიული მმართველობა.

მდგრადი განვითარების კონცეფცია

ინდუსტრიის პარალელურად, 1990-იანი წლების დასაწყისიდან ვითარდებოდა კვლევები მდგრადი მოდის ირგვლივ, ამ სფეროს ახლა აქვს საკუთარი ისტორია, დინამიკა, პოლიტიკა, პრაქტიკა, ქვემოძრაობები და ანალიტიკური და კრიტიკული ენის ევოლუცია.

მდგრადი მოდა იმ პროდუქტებს, პროცესებს, საქმიანობას და მონაწილეებს (პოლიტიკოსები, ბრენდები, მომხმარებლები) მოიცავს, რომელთა მიზანი ნახშირბადნეიტრალური მოდის ინდუსტრიის დანერგვაა და რომელიც თანასწორობაზე, სოციალურ სამართლიანობაზე, ცხოველთა კეთილდღეობასა და ეკოლოგიურ ერთიანობაზეა დაფუძნებული. ნათელია, რომ მდგრადი მოდა იმაზე უფრო მეტ საკითხსა და სფეროს აერთიანებს, ვიდრე მხოლოდ ტექსტილი ან პროდუქტია. ესაა მთელი პროცესი, რომელშიც პროდუქტის წარმოება, მოხმარება და განკარგვა ხდება – ვინ, რა, როგორ, როდის, სად? – პროდუქტით სარგებლობის ვადიდან ნაგავსაყრელზე მოხვედრამდე. მდგრადი მოდის მიზანია ებრძოლოს ნახშირბადის დიდ ნაკვალევს – ჰაერისა და წყლის დაბინძურებასა და გლობალური კლიმატის ცვლილებას, რომელიც სწრაფმა მოდამ შექმნა.

მდგრადი მოდა არის ტანსაცმელი და აქსესუარები, რომლებიც იწარმოება, იყიდება, გამოიყენება ეკოლოგიური და სოციალური პასუხისმგებლობის გზით. მდგრადი მოდის წარმოება ხელს უწყობს ადგილობრივი, ბიოდეგრადირებადი ქსოვილებისა და მასალების გამოყენებას, რომლებსაც აქვთ მცირე ან საერთოდ არ აქვთ მავნე ზემოქმედება გარემოზე და ეს ქსოვილები შეიძლება საბოლოოდ ეკოსისტემას დაუბრუნდნენ.

მდგრადი მოდის ერთ-ერთი მთავარი მტერი სწრაფი მოდაა. ის ისეთ იაფფასიან ქსოვილებს (პოლიესტერი, ნეილონი, სპანდექსი) იყენებს, რომლებიც სწრაფად კარგავენ გარეგნობას და ფორმას და, ასევე, ხელოვნურად იწარმოება. ეს მასალა საშუალებას იძლევა დავაკმაყოფილოთ ადამიანების მოთხოვნილებები მოდური ტრენდების მიმართ, მაგრამ ისინი მხოლოდ ერთი სეზონის განმავლობაშია ვარგისი და შემდეგ გადასაგდები ხდება. არადა, ბევრმა ალბათ არც კი იცის, რომ ამ ქსოვილების გადამუშავებას და დაშლას 200 წლამდე სჭირდება. ხელოვნური და ქიმიური მასალების კიდევ ერთი საშიში გამოვლენა მიკროპლასტიკაა. ეს მცირე ნაწილაკები, რომლებსაც იაფფასიანი ქიმიური ქსოვილი შეიცავს, ყოველი გარეცხვისას გამოიყოფა და წყალთან ერთად მსოფლიო ოკეანეებსა და გარემოში ხვდება.

უფრო ძვირი, მაღალი ხარისხისა და მდგრადი მასალებია ბუნებრივი ბოჭკოები – ბამბა, კანაფი, სელი და ასევე რამდენიმე ინოვაციური ქსოვილი. ეკოლოგიური და ორგანული ქსოვილები ბუნებრივად, დანამატებისა და ქიმიკატების გამოყენების გარეშე მზადდება. ასეთი მასალისგან დამზადებული ნივთები დიდხანს ძლებს და ამიტომ ახლის ყიდვა არ არის საჭირო.

მდგრადი მოდის ეს-ეს ეს მთავარი მიზეზი სწრაფი მოდაა.

მდგრადი ბრენდები ფოკუსირებულია ხარისხზე, გამძლე მასალებისა და აქსესუარების გამოყენებასა და ეკომეგობრულ წარმოებაზე, მაშინ როცა სწრაფი მოდის ბრენდების მიერ წარმოებული ტანსაცმელი არ არის შექმნილი იმისთვის, რომ გამძლე იყოს და მისი მიზანია აიძულოს ხალხი უფრო და უფრო ხშირად იყიდონ. ეკოლოგიურად სუფთა ბრენდების არჩევით, რომლებიც უზრუნველყოფენ მათი პროდუქციის დროულობასა და ხარისხს, შეგვიძლია შევამციროთ, როგორც ნარჩენების რაოდენობა, რომელსაც წარმოვქმნით, ასევე შეძენილი ტანსაცმლის რაოდენობაც.

მდგრადი მოდა ასევე მოიცავს დასაქმებულთა უსაფრთხო და ეთიკურ პირობებს, ბუნებრივი რესურსების პასუხისმგებლობით მოხმარებას, ნარჩენების მინიმიზაციას ან აღმოფხვრას, წარმოების რეგიონის ეკონომიკის მხარდაჭერას, წარმოების შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალობას.

რეალურად, ბრენდი სრულიად მდგრადი რომ გახადეს, ეს ადვილი ნამდვილად არ არის, რადგან მთელი იმ სამუშაო კონცეფციის გადაკეთებაა საჭირო, რომელიც წლების განმავლობაში ვითარდებოდა. მნიშვნელოვანია რამდენიმე ასპექტის ერთდროულად კონტროლი:

- გამჭვირვალე მიწოდების ჯაჭვი
- ნახშირბადის გამონაბოლქვის კომპენსაციები

> კიდევ ერთი მიზანია — ნარნის წნოგიერების ამაღლება, რაც ეკოლოგიურად სუფთა მოხმარების ჰარტიკალში „მწვანე მომხმარებლის“ პოპულარიზაციის გზით უნდა განხორციელდეს.

- ელექტროენერგიის გამოყენების მინიმუმამდე შემცირება
- წყლისა და ქიმიკატების გამოყენების მინიმუმამდე შემცირება
- დასაქმებულთა უფლებების დაცვა
- ეკოლოგიურად სუფთა მასალების გამოყენება
- პლასტმასის გადამუშავება
- მეორეული მასალების გამოყენება

ჯერჯერობით, მოდის ინდუსტრიის კომპანიების უმეტესობა მზად არის ამ სიიდან მხოლოდ ერთი ან ორი პუნქტის განსახორციელებლად და, შესაბამისად, ტექსტილის ინდუსტრია ჩვენი პლანეტისთვის კვლავ ერთ-ერთ ყველაზე მავნე და საშიშ ინდუსტრიად ითვლება. თუმცა, მდგრადი მოდის მოძრაობის მიმდევრები თვლიან, რომ მოდის ინდუსტრიას აქვს ნათელი შესაძლებლობა იმოქმედოს განსხვავებულად, მიაღწიოს მოგებასა და ზრდას და ასევე შექმნას ახალი ღირებულება და უფრო ღრმა სიმდიდრე საზოგადოებისთვის და, შესაბამისად, მსოფლიო ეკონომიკისთვის. მოძრაობას მიაჩნია, რომ კომპანიებმა მენეჯმენტის დღის წესრიგში უნდა დააყენონ გარემოსდაცვითი, სოციალური და ეთიკური

საკითხები. ეს შეიძლება მოიცავდეს: მასალების სიცოცხლის ციკლის გახანგრძლივებას; ნარჩენების რაოდენობის შემცირებას; წარმოებისა და მოხმარების შედეგად გარემოზე მიყენებული ზიანის შემცირებას. კიდევ ერთი მიზანია—ხალხის ცნობიერების ამაღლება, რაც ეკოლოგიურად სუფთა მოხმარების პრაქტიკაში „მწვანე მომხმარებლის“ პოპულარიზაციის გზით უნდა განხორციელდეს. ეს საშუალებას მისცემს თავად კომპანიას მოიპოვოს მეტი მხარდაჭერა და მეტი მიმდევარი.

ᲛᲝᲓᲘᲡ ᲜᲐᲮᲨᲘᲠᲑᲐᲓᲘᲡ ᲜᲐᲙᲕᲐᲚᲔᲑᲘ

როდესაც 2020 წელი მასობრივი ხანძრებით დაიწყო და შემდეგ კორონავირუსის პანდემიაში გადაიზარდა, ბევრმა, უნებლიეთ, დაიწყო ფიქრი იმაზე, თუ რა ხდებოდა მათ გარშემო. ნახშირორჟანგის გამოყოფამ პიკს მიაღწია, პლანეტა გათბა და, ზოგიერთის თქმით, დაიწყო „თვითწმენდა“. მასობრივი ლოკდაუნი და პროცესების შეჩერება ზოგიერთ კომპანიას დაეხმარა, მათ მენეჯერებსა და დიზაინერებს ეფიქრათ და გადაეხედათ თავიანთი მუშაობის პრინციპებისთვის. ზოგიერთი ბრენდი უკვე დიდი ხანია

დიორის 2020 წლის გაზაფხული-ზაფხულის კოლექცია

პასუხისმგებლობით მოხმარების გზაზე დგას, მაგრამ მოდის ბოლო ჩვენებები ნამდვილად განსხვავდება ყველა წინასგან. მარია გრაცია კიურიმ დიორის შოუსთვის მცენარეები გამოიყენა, რომლებიც შემდეგ ილ-დე-ფრანსში გადაიტანეს და გაიზარდა.

Burberry-მ, Gucci-მ და Gabriela Hearst-მა თავიანთი შოუები ნახშირბად ნეიტრალურად აქციეს. მოდის კონგლომერატ Kering-ს, რომელშიც Saint Laurent, Alexander McQueen, Bottega Veneta, Balenciaga და მრავალი სხვა ბრენდი შედის, ეკუთვნის ინიციატივა, რომ მისი ყველა ბრენდის კოლექცია "ნახშირბადნეიტ-რალური" გახდეს, რაც იმას ნიშნავს, რომ კომპანიები და ბრენდები ტანსაცმლის წარმოების ან ჩვენებების გამართვის შედეგად ატმოსფეროში გაფრქვეულ ნახშირორჟანგს ნახშირბადუარყოფითი პროექტების განხორციელებით აანაზღაურებენ ანუ, ისინი ისეთ ინსტრუმენტებს გამოიყენებენ, რომლებიც ატმოსფერო-დან ნახშირბადის აირის შეწოვას უწყობს ხელს: დარგავენ ხეებს, მხარს დაუჭერენ ტყეების შენარჩუნებას, დანერგავენ ისეთ აღჭურვილობას, რომელიც ჰაერიდან მეთანის შთანთქმას უწყობს ხელს.

კომპანიები, რომლებიც მდგრადი მოდის ბიზნესს ავითარებენ, ცდილობენ შეამცირონ ნახშირბადის ნაკვალევი (სათბურის აირების ემისიების მთლიანი რაოდენობა) თავიანთი საქმიანობიდან, ეწინააღმ-დეგებიან ცხოველთა სისასტიკეს, უარს ამბობენ ნატურალური ბეწვის, ტყავის და ბუმბულის გამოყენებაზე, იყენებენ გადამუშავებისა და ხელახალი დამუშავების ტექნიკას და ეკოლოგიურად სუფთა შეფუთვაზე გადადიან. დღეს, მთელი რიგი საერთაშორისო სერტიფიკატები არსებობს, მათ შორის B Corp, Bluesign, Fair Trade USA, რომლებიც მომხმარებლებს საშუალებას აძლევს შეაფასონ მოდის ბრენდის მდგრადობა და არ გახდნენ გრინვოშინგის[1] მსხვერპლი.

ვინ ნაპოვიდგენს მდგრად მოდას?

დიზაინერი სტელა მაკარტნის ბრენდი მდგრად მოდაში ერთ-ერთი პირველი ძვირადღირებული ბრენდია, რომელმაც ქსოვილის ნარჩენები გამოიყენა. 2002 წელს, თავის სადებიუტო კოლექციაში, სტელა მაკარტნიმ უარი თქვა ნატურალური ტყავის, ბეწვისა და ბუმბულის გამოყენებაზე. დიზაინერი აქტიურად თანამშრომ-ლობს ცხოველთა დამცველ ორგანიზაცია PETA-სთან. მის ზოგიერთ პროდუქციას თან ახლავს ცხოველთა დამცველი ტექსტები. მაგალითად, ერთ-ერთი ქურთუკის სახელოზე, რომელიც მან შექმნა Adidas-ისთვის, დატანებულია ტექსტი: „შეეფერება ვეგეტარიანელ სპორტსმენებს". სტელა მაკარტნის ბრენდმა ასევე გამოუშვა ცალკე ხაზი, რომელიც შექმნილია ექსკლუზიურად ძირითადი კოლექციიდან ნარჩენებისა და ქსოვილების გამოყენებით.

სან-ფრანცისკოში დაფუძნებულ ბიოტექნოლოგიურ კომპანიასთან Bolt Threads-თან თანამშრომლო-ბით, მაკარტნის ბრენდი მდგრად მასალებზე გადავიდა და რეგენერირებული ქაშმირის, მდგრადი მატყ-ლის, მაღალი ხარისხის აბრეშუმისა და მიცელიუმის[2] ტყავის გამოყენებით კოლექციების შექმნა დაიწყო. არაკომერციული ორგანიზაცია Parley for the Oceans-თან (ნიუ-იორკი) პარტნიორობით სტელა მაკარტნიმ ოკეანის პლასტმასისგან დამზადებული ტანსაცმელი და ფეხსაცმელი გამოუშვა. 2018 წელს დიზაინერმა გაეროსთან შეთანხმებული ერთობლივი ინიციატივა გამოაცხადა, რაც გარემოზე მოდის ინდუსტრიის უარყოფითი გავლენის წინააღმდეგ ბრძოლას ეხებოდა.

2019 წელს მოდის კონგლომერატმა Kering-მა განაცხადა, რომ 2025 წლისთვის მიაღწევს ნახშირბადის სრულ ნეიტრალიტეტს. კორპორაცია იყენებს გარემოსდაცვითი მოგებისა და ზარალის (Environmental Profit



სტელა მაკარტნის კოლექცია, რომელიც ქსოვილების ნარჩენებისგან შეიქმნა

and Loss – EP&L) მეთოდოლოგიას, რომელიც ითვლის გარემოსთვის მიყენებულ მთლიან ზიანს. კომპანია ანაზღაურებს სათბურის აირების ემისიას გარემოსდაცვით ორგანიზაცია

EDD+[3] ინვესტიციებით, რომლებიც იცავს კრიტიკულ ტყეებს და ბიომრავალფეროვნებას და მხარს უჭერს ტყეში მცხოვრები თემების საარსებო წყაროს მდგრადობას.

პლასტმასის გადამუშავების ტენდენციას ისეთმა ბრენდებმა მიმართეს, როგორიცაა Calvin Klein, H&M, Burberry და მრავალი სხვა. კომპანიები აფინანსებენ პლასტმასის ბოთლების გადამუშავებას, რომლებიც დნობისას ეკოლოგიურად სუფთა პოლიესტერს იღებენ. ამ მასალას კი შემდგომში ტანსაცმლის შესაქმნელად იყენებენ. აქ საინტერესო ის ფაქტიცაა, რომ ეს ქსოვილი, მას შემდეგ რაც ჩვეულებრივი მაისურის ნაწილი გახდება, შეიძლება ხელახლა გადამუშავდეს და არა მეორე, არამედ მესამე სიცოცხლეც მიენიჭოს.

ᲠᲝᲜᲓᲝᲜᲨᲘ ᲓᲐᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲛᲔ ᲑᲠᲔᲜᲓᲛᲔ „PATAGONIA“ 1993 ᲬᲚᲘᲡ ᲕᲘᲠᲯᲘᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲨᲕᲐ ᲛᲐᲓᲐᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲑᲝᲗᲚᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲝᲚᲔᲥᲪᲘᲐ.

ყოველწლიურად მოდის ინდუსტრია 93 მილიარდ კუბურ მეტრ წყალს იყენებს, რაც სრულიად საკმარისია 5 მილიონი ადამიანის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

ლონდონში დაარსებულმა ბრენდმა „Patagonia“ 1993 წელს პირველად გამოუშვა გადამუშავებული ბოთლებისგან დამზადებული კოლექცია. 2011 წელს კომპანიამ დაიწყო ტანსაცმლისა და აქსესუარების შეკეთების პროგრამა „Common Threads“. 2021 წელს, Graviky Labs-თან (ინდოეთი) თანამშრომლობის ფარგლებში, ბრენდმა შექმნა კოლექცია AIR-INK ინოვაციური ტექნოლოგიის გამოყენებით, რამაც შესაძლებელი გახადა ჰაერიდან ბინძური ნაწილაკების იზოლირება, მათი გაწმენდა და პიგმენტად გადაქცევა. 2023 წელს კომპანიამ წარმოადგინა ჯინსის პერანგი, რომელიც დამზადებულია მთლიანად გადამუშავებული მასალისგან, მინარევებისა და ბუნებრივი ბოჭკოების გარეშე.

რა არის ნარჩენი მოდა?

Greenpeace-ის თანახმად, ჩვენ ყოველწლიურად დაახლოებით 92 მილიონ ტონაზე მეტ ტანსაცმელს ვყრით. მართლაც შოკისმომგვრელი ციფრია! თუმცა, აქ ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ტანსაცმლის მთელი ამ მოცულობის მხოლოდ მცირე ნაწილია უვარგისი შემდგომი გამოყენებისთვის. ძირითადად, ჩვენ კარადებს იმ ტანსაცმლისგან ვათავისუფლებთ, რომელიც აღარ გვჭირდება, რომელიც დაგვიპატარავდა ან რომელმაც, უბრალოდ, ვერ იპოვა თავისი ადგილი ჩვენს გარდერობში.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ პროცესში მხოლოდ მომხმარებლების ბრალეულობა არ იკვეთება. ზოგიერთი ბრენდი და ბუტიკი ასევე თავისუფლდება იმ ზედმეტი ქსოვილისა და ტანსაცმლისგან, რომელმაც ვერ იპოვა მყიდველი და ძალიან ძვირი ჯდება საწყობში შესანახად.

წრიული ან, როგორც მას ასევე უწოდებენ, ცირკულარული მოდა ამ პრობლემის გადაჭრის გზაა. არსებითად, აქ ნარჩენებისგან უნარჩენო წარმოების სისტემების შექმნა იგულისხმება, რომლებშიც მავნე გამონაბოლქვი და გარემოზე ზემოქმედება მაქსიმალურად იქნება შემცირებული. წრიული მოდის თავისებურება ისაა, რომ ის არა სამი, არამედ ოთხი ეტაპისგან შედგება. ეს ეტაპებია: გადასვლა განახლებად რესურსებზე, ეკოლოგიურად სუფთა და უფრო გამძლე ქსოვილების გამოყენება, მასალების გადამუშავება და ხელახალი გამოყენება.

განვიხილოთ წრიული მოდის თითოეული ეტაპი.

1. განახლებად რესურსებზე გადასვლა

გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამისა (UNEP) და ელენ მაკარტურის[4] ფონდის მიერ გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით:

- ყოველწლიურად მოდის ინდუსტრია 93 მილიარდ კუბურ მეტრ წყალს იყენებს, რაც სრულიად საკმარისია 5 მილიონი ადამიანის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

- მსოფლიოში ჩამდინარე წყლების დაახლოებით 20% ტექსტილის შეღებვისა და გადამუშავების შედეგად წარმოიქმნება.
- ტანსაცმლის დასამზადებლად გამოყენებული მთლიანი ბოჭკოს 87% იწვება ან ნაგავსაყრელზე იყრება. თუ ეს ტემპი შენარჩუნდა, ექსპერტთა ვარაუდით, 2030 წლისთვის მოდის ინდუსტრიიდან სათბურის აირების გამონაბოლქვი 50%-ზე მეტად გაიზრდება.

ელენ მაკარტურის ფონდის ინფორმაციით მოდის ინდუსტრია წელიწადში 1,2 მილიარდ ტონაზე მეტი სათბურის აირების გამოყოფაზეა პასუხისმგებელი (სხვათა შორის, ეს იმაზე მეტია, ვიდრე თვითმფრინავები და გემები აწარმოებენ იმავე პერიოდში!). უფრო მეტიც, ტანსაცმლის კლიმატური ნაკვალევის 80% მისი წარმოების დროს გამონაბოლქვზე მოდის. თუ ეს ტემპი შენარჩუნდა, ექსპერტთა ვარაუდით, 2030 წლისთვის მოდის ინდუსტრიიდან სათბურის აირების გამონაბოლქვი 50%-ზე მეტად გაიზრდება. ყოველწლიურად ნახევარი მილიონი ტონა პლასტმასის მიკრობოჭკო იყრება ოკეანეში, რაც 50 მილიარდი პლასტმასის ბოთლის ეკვივალენტია. მიკრობოჭკოების ამოღება შეუძლებელია წყლიდან და ამასთან დიდია მისი კვებით ჯაჭვში გავრცელების ალბათობა.

მომხმარებლების იმედგაცრუების თავიდან ასაცილებლად, ცნობილი ბრენდები, მათ შორის Gucci, Ralph Lauren, Osacr de la Renta და მრავალი სხვა, პირობას დებენ, რომ 2030 წლისთვის შეამცირებენ ნახშირბადის ნაკვალევს. ამის მისაღწევად, წარმოების ნაწილი გადავა განახლებადი ენერგიის წყაროების გამოყენებაზე, თუმცა სამწუხაროდ, სიტუაციის ძირეულად შესაცვლელად მხოლოდ ეს საკმარისი არ არის.

ეკოლოგიურად უფრო სუფთა მასალების გამოყენება

წრიული მოდის ინდუსტრიის მეორე საყრდენი ეკოლოგიურად სუფთა და უფრო გამძლე მასალების გამოყენებაა. ამ კონცეფციის გამოყენების ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული მაგალითია Levi's-ის ბრენდი, რომელიც აწარმოებს ახალ კოლექციებს ორგანული ბამბისგან და ინოვაციური ცირკულოზის მასალისგან, რომელიც შექმნილია გადამუშავებული ჯინსისგან.

რესურსების დაზოგვის კუთხით, Levi's-მა 2011 წლიდან 4,2 მილიარდი ლიტრი წყალი დაზოგა მიუხედავად იმისა, რომ მოდის ინდუსტრია წყლის რესურსების ერთ-ერთ მთავარ „მომხმარებლად" ითვლება. გარდა ამისა, Levi's ცდის ჯინსებს, ქურთუკებს და სხვა პროდუქტებს გამძლეობაზე, რათა ისინი უფრო დიდხანს ემსახურონ მფლობელებს. სასურველია, რომ ასეთი სოციალურად პასუხისმგებელი ბრენდების რიცხვი უფრო გაიზარდოს.

> მესამე ხელის ფილოსოფია მოგვითხოვს, რომ არ ვიყოთ სხვების მსგავსი და ვიყოთ განსხვავებული, არ შევეშინდეს ექსპერიმენტების და ძველი ტანსაცმელი სრულიად ახალ და ოригინალურ მოდელებად ვაქციოთ.

2. მასალების გადამუშავება

ვინ იფიქრებდა, რომ ხმელეთსა და ოკეანეში გაბნეული პლასტმასის, ლითონისა თუ სხვა სახის ნარჩენის გამოყენება მშვენიერი აქსესუარების შესაქმნელად გახდებოდა შესაძლებელი? მაგრამ მოდის სახლმა Prada-მ დაამტკიცა, რომ გადამუშავებული მასალებისგან ტანსაცმლისა და ჩანთების შექმნა ახალი ტრენდია. Prada Re-Nylon-ის კოლექცია შექმნილია სპეციალური მასალისგან, რომელიც ოკეანეში შეგროვებული პლასტმასის და სხვა ნარჩენების გადამუშავებით მიიღება. შედეგად „დაიბადა" მეგაპოპულარული Re-Edition 2000 ნეილონის ჩანთა და „პანამა" ქუდი, რომლებმაც მყისიერად დაიმკვიდრეს ადგილი მომხმარებლების სურვილების სიაში. ამით კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ საზღვრები მოდასა და მდგრად განვითარებას შორის თანდათან იშლება.

3. ხელახალი გამოყენება

და მაინც, ყველა განხილულ ტექნოლოგიებს შორის ყველაზე საინტერესო იყო და რჩება მასალების ხელახალი გამოყენება ან განახლება (upcycling), რომელიც ბოლო წლების ერთ-ერთი მთავარი ტრენდია. ჯერ კიდევ 2020 წელს, მოდის სამყაროში ცნობილმა ბრენდმა მიუ-მიუმ (Miu Miu) უნიკალური განახლებული (Upcycled) კოლექცია გაგვაცნო, რომელიც იმ უსახელო აღმოჩენებისგან შეიქმნა, რომლებიც დიზაინერებმა ვინტაჟური ტანსაცმლის ბაზრობებსა და მეორად მაღაზიებში მოიძიეს და აღმოაჩინეს მთელი მსოფლიოს მასშტაბით. თუმცა, მანამდე სტელა მაკარტნის ბრენდმა წარმოადგინა გადამუშავებული ნივთების კოლექ-

Re-Edition 2000 ნეილონის ჩანთა და „პანამა" ქუდი Prada Re-Nylon-ის კოლექციიდან

გუჩის კოლექცია გადამუშავებული მასალებისგან

ცია. Upcycling–კოლექციების მთავარი იდეის – ძველი ნივთების გამოყენება სრულიად ახალი ტანსაცმლის შესაქმნელად, რეპროდუცირება თითქმის შეუძლებელია.

ზოგიერთი ბრენდი ასევე ცდილობს გადაამუშაოს ნივთები მათი კოლექციიდან და შემდეგ ხელახლა გამოიყენოს იგივე ქსოვილები. თუმცა, ამ შემთხვევაში მდგრადი განვითარების გზიდან გადახვევის საშიშროება არსებობს, თუ დიდი რაოდენობით ელექტროენერგიისა და წყლის გამოყენება გახდება საჭირო.

ხელი მეგობარზე მესამე ხელის (THIRD HAND) ფილოსოფია?

ალბათ ყველამ კარგად ვიცით, რა არის მეორეული ტანსაცმელი და გადაყიდვა ანუ რესეილი (Resale). ეს ნივთების ხელახალი გაყიდვაა, რათა მათ მეორე სიცოცხლის შანსი მივცეთ. ამ კონცეფციისგან განსხვავებით, პირველი ხელის (first hand) დროს, როცა ჩვენ ნივთებს ბრენდირებულ ბუტიკებში ვყიდულობთ, რეალურად მათი პირველი მფლობელები ვხდებით. რაც შეეხება მესამე ხელს (third hand), ეს შედარებით ახალი ტერმინია. ერთი მხრივ, მისი გამოყენება შესაძლებელია განმეორებითი გადაყიდვის შემთხვევაში, რაც უკვე ასევე პოპულარული თემაა გადაყიდვებში. მაგალითად, თუ თქვენ კაბას მხოლოდ ერთხელ ჩასაცმელად ყიდულობთ, გამოყენების შემდეგ იგი გარდერობში წლობით კი არ უნდა დამალოთ, არამედ ახალ

კარგ პატრონს გადასცეთ. ეს შეიძლება ითქვას „სიკეთის კეთების ესტაფეტის“ დასაწყისია, როცა ერთსა და იმავე ნივთს რამდენიმე ადამიანის ერთდროულად გახარება შეუძლია.

მეორე მხრივ, მესამე ხელი ხელახალი გამოყენების (upcycling) შვილობილია, როცა თავად მყიდველები და არა ბრენდები პოულობენ უჩვეულო გზებს ძველი ნივთების არა მხოლოდ სიცოცხლის გახანგრძლივების მიზნით, არამედ მათი სრულიად ახალ ნივთად გადასაქცევად. ასე მაგალითად, მეორად მაღაზიებში შეძენილი ვინტაჟური კაბა შეიძლება ბლუზად გადაკეთდეს, ჯინსები – მინი ქვედაბოლოდ, ხოლო მძივები ჯინსის ქურთუკის დეკორაციად იქცეს.

მესამე ხელის ფილოსოფია მოგვიწოდებს, რომ არ ვიყოთ სხვების მსგავსი და ვიყოთ განსხვავებულები, არ შეგვეშინდეს ექსპერიმენტების და ძველი ტანსაცმელი სრულიად ახალ და ორიგინალურ მოდელებად ვაქციოთ. მართალია, შანელის ქურთუკის ან კრისტიან დიორის კაბის შეცვლის იდეა შეიძლება სკეპტიკოსებს მკრეხელურად მოეჩვენოთ, მაგრამ მიუ-მიუსა და სტელა მაკარტნის მაგალითები, ისევე როგორც ბევრი ახალგაზრდა ბრენდი, ადასტურებს, რომ მოდის ინდუსტრიის მოთამაშეები საერთოდ არ არიან მსგავსი ექსპერიმენტების წინააღმდეგნი.

ცნობილია, რომ მოდის ინდუსტრიის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა ჭარბი წარმოებაა, ხოლო გამოყენებული ქსოვილის რაოდენობის შემცირების უნარი, ასევე მისი ხელახლა გამოყენების შესაძლებლობა, დაეხმარება მას გაუმკლავდეს ამ გლობალურ და სერიოზულ პრობლემას, რომელიც უკვე დიდი ხანია მოდის მთელი საზოგადოების წინაშე დგას.

ბრენდი რომ მდგრადი გახდეს მარტივი საქმე არაა და უზარმაზარ სამუშაოს მოითხოვს. სამწუხაროდ, ზოგიერთი ბრენდი მხოლოდ თამაშობს „მდგრადობის“ კონცეფციაზე, რათა უკეთ გამოიყურებოდეს მომხმარებლების თვალში.

მაგრამ, საბედნიეროდ, დღეს მომხმარებლები უფრო ინფორმირებულნი არიან, მოხმარება უფრო გონივრული ხდება, წარმოება კი უფრო ეთიკური. მოთხოვნა ქმნის მიწოდებას. სამომხმარებლო ცნობიერების ცვლილება, ისევე როგორც ეკონომიკური სირთულეები, რომლებსაც მსოფლიო განიცდის და მასთან ერთად მოდის ინდუსტრიაც, სხვა გზას არ ტოვებს გარდა იმისა, რომ შეცვალოს ჩვეულებრივი სამუშაო მექანიზმები ახლით და უფრო ეკოლოგიურით.

შენიშვნები

1 გრინვოშინგი პროცესია, როდესაც კომპანიას მომხმარებელი მიზანმიმართულად შეჰყავს შეცდომაში და საკუთარ საქმიანობას ეკოლოგიურად სუფთად წარმოაჩენს, მაშინ, როცა ეს სინამდვილეში ასე არ არის.

2 მიცელიუმი – სოკოს ვეგეტატიური სხეული. შედგება წვრილი, ერთმანეთში გადახლართული ძაფებისაგან (ჰიფები). ვითარდება სუბსტრატში ან მის ზედაპირზე.

3 „+“ ნიშნავს ტყესთან დაკავშირებულ დამატებით აქტივობებს, რომლებიც იცავს კლიმატს, კერძოდ, ტყეების მდგრად მართვას და ტყის ნახშირბადის მარაგის შენარჩუნებასა და გაზრდას. REDD+ აქტივობების

4 ელენ მაკარტურის ფონდი (EMF) – ბრიტანელი იახტსმენის, მსოფლიო რეკორდსმენის ელენ მაკართურის მიერ გაერთიანებული სამეფოში რეგისტრირებული საქველმოქმედო ორგანიზაცია, რომელიც ხელს უწყობს წრიული ეკონომიკის განვითარებას.

ბიბლიოგრაფია

1. What is sustainable fashion: definition, examples and why it is now more important than ever – https://dresslemuse.com/blog/what-is-sustainable-fashion/
2. WHAT IS SUSTAINABLE FASHION AND WHY IS IT SO IMPORTANT – https://immago.com/sustainable-fashion-important/
3. FASHION FOR THE EARTH – https://www.earthday.org/campaign/sustainable-fashion/
4. https://www.levi.com/US/en_US/features/sustainability

მაია ბლიაძე
გეოგრაფიის დოქტორი, მასწავლებლთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გეოგრაფიის ექსპერტ-კონსულტანტი, ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი

საერთაშორისო მშვიდობის პარკები

„კონფლიქტებითა და დაპირისპირებებით სავსე სამყაროში მშვიდობა მომავლის ერთ-ერთი ქვაკუთხედია. მშვიდობის პარკები ამ პროცესში მნიშვნელოვან სტრუქტურულ ელემენტებს, სამშენებლო ბლოკებს წარმოადგენენ, არა მხოლოდ ჩვენს რეგიონში, არამედ პოტენციურად მთელ მსოფლიოში“.

ნელსონ მანდელა

ტრანსასაზღვრო დაცული ტერიტორიები და, განსაკუთრებით მშვიდობის პარკები იმის კარგი მაგალითია, თუ როგორ შეიძლება ერთმანეთს დაპირისპირებული ადამიანები, ეროვნებები, ეკონომიკურ-პოლიტიკური ინტერესებიც, ისე, რომ თავიდან ავიცილოთ მსხვერპლი, ვუზრუნველყოთ ბუნებრივი გარემოს დაცვა და ხელი შევუწყოთ მდგრადი განვითარებისა და მდგრადი მშვიდობის.

მდგრადი განვითარება ბუნებრივ გარემოს უდიდეს დიპლომატიურ-მედიატორულ პოტენციალს ანიჭებს. მსოფლიოს ქვეყნებს შორის თანამშრომლობა, როგორც საერთო ინტერესებისთვის ერთობლივი ქმედება, მდგრადი განვითარებისა და მდგრადი მშვიდობის საწინდარია. შესაბამისად, სახელმწიფოთა სწრაფვას მდგრადი განვითარებისკენ,რაც, აგრეთვე, ბუნებრივი გარემოსა და ბიომრავალფეროვნების დაცვაშიც ვლინდება, თუ მივაკუთვნებთ საერთო ინტერესებს, დასტურდება, რომ სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტის მოგვარების გზა სწორედ მდგრად განვითარებაზე გადის.

ტრანსასაზღვრო დაცული ტერიტორიები და, განსაკუთრებით მშვიდობის პარკები იმის კარგი მაგალითია, თუ როგორ შეიძლება მოგვარდეს მწვავე შეირაღებული დაპირისპირებები ისე, რომ თავიდან ავირიდოთ მსხვერპლი, ვუზრუნველყოთ ბუნებრივი გარემოს დაცვა და ხელი შევუწყოთ მდგრადი განვითარებას და მდგრად მშვიდობას. ტრანსსასაზღვრო დაცული ტერიტორიები მშვიდობის დამყარებისა და შენარჩუნების საუკეთესო ინსტრუმენტია.

ტრანსსასაზღვრო დაცული ტერიტორიები (TBPA) მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისთვის. ამავე დროს, მათ შეუძლიათ დიდი როლი შეასრულონ თანამშრომლობის ხელშეწყობასა და მშვიდობის დამყარებაში, რადგან ტრანსსასაზღვრო დაცული ტერიტორიების ეფექტური მართვა მოიაზრებს მხარეებს შორის დიალოგს, თანამშრომლობას და გამჭვირვალობას. ეს კი მოითხოვს მონაწილეობითი და მრავალმხრივი მენეჯმენტის პროცესების მშენებლობას, მათ შორის სამოქალაქო საზოგადოებისა და მეცნიერების ჩათვლით, და ცვალებადი ფაქტორებისა და კულტურული გარემოებების გათვალისწინებას.



ტრანსასაზღვრო დაცული ტერიტორიების გეოგრაფია

ტრანსასაზღვრო დაცულ ტერიტორიებზე სახელმწიფოებს მათ საზღვრებში მოქცეული მიწის სხვადასხვაგვარი გამოყენების შესაძლებლობა აქვთ. ამ ტერიტორიების სამი ძირითადი მიზანი - ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება, სოციალურ-ეკონომიკური განვითარება და მშვიდობისა და თანამშრომლობის კულტურის ხელშეწყობაა, თუმცა მათ ასევე შეუძლიათ:

- ხელი შეუწყონ ტრანსსასაზღვრო დაცული ტერიტორიების მნიშვნელობის გააზრებას, განსაკუთრებით იმის შესახებ, თუ როგორ ეხმარება და რა სარგებელი აქვს კონსერვაციას კონფლიქტების შემსუბუქების პროცესში.
- შეკრიბოს ინფორმაცია ტრანსსასაზღვრო კონსერვაციის საჭიროებებზე მთელი მსოფლიოს მასშტაბით, მათ შორის იმ ტერიტორიებზე, სადაც ტრანსსასაზღვრო კონსერვაციის ზონების ფორმირებაა შესაძლებელი.
- თანამშრომლობა იმ ქვეყნებთან და ორგანიზაციებთან, რომლებმაც უნდა გამოიკვლიონ მათი ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის გაღრმავების შესაძლებლობები, მათ შორის პარტნიორების ჩართულობით.
- ხელი შეუწყოს ახალი ტრანსსასაზღვრო კონსერვაციული ტერიტორიების შექმნას და გააძლიეროს არსებული რიგ რეგიონებში, პრიორიტეტი მიენიჭოს იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლად გამოცხადებულ ტერიტორიებს საპილოტე პროექტების ერთობლივი დიზაინის მხარდაჭერით, შესაძლებლობების გაძლიერებითა და ცოდნის გაზიარებით.
- გაავრცელოს საუკეთესო პრაქტიკის გაიდლაინები, ქცევის კოდექსი TBCA-ებზე და ა.შ. მათ შესახებ ცნობიერების ამაღლებისა და მნიშვნელობის გასააზრებლად.
- ხელი შეუწყოს მონაცემთა და ინფორმაციის გაცვლას, უზრუნველყოს გარე ექსპერტიზა, შესაძლებლობების განვითარება და ტექნიკური დახმარება ტრანსსასაზღვრო დაცული ტერიტორიების დაგეგმვისა და განხორციელებისთვის.

საერთაშორისო ორგანიზაციის „ბუნების კონსერვაციის საერთაშორისო კავშირის (https://www.iucn.org/) განმარტებით მშვიდობის პარკი „ტრანსსასაზღვრო დაცული ტერიტორიაა, რომელიც ფორმალურად

ბიომრავალფეროვნების, ბუნებრივი და მასთან დაკავშირებული კულტურული რესურსების დაცვისა და შენარჩუნების მიზნით იქმნება, მშვიდობის ხელშეწყობისა და თანამშრომლობისთვის. მშვიდობის პარკი“ არის სპეციალური აღნიშვნა, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას სამი ტიპის ტრანსსასაზღვრო კონსერვაციის ზონაში და ეძღვნება მშვიდობისა და თანამშრომლობის პოპულარიზაციას, აღნიშვნას და/ან ხსოვნას“. (IUCN, 2015).

IUCN-ის თანახმად, მშვიდოების პარკები შეიძლება რამდენიმე მიზანს ემსახურებოდეს:

- ისინი შეიძლება გახდნენ მშვიდობისადა მეგობრობის სიმბოლოები რეგიონში: მაგალითად, „Waterton-Glacier International Peace Park“ მშვიდობის პარკის კარგი მაგალითია, რომელიც კანადასა და აშშ-ს შორის ხანგრძლივი მშვიდობიანი ურთიერთობების აღსანიშნავად დაარსდა.
- ისინი ასევე შეიძლება დაეხმარონ მშვიდობისა და თანამშრომლობის განმტკიცებას: ეკვადორისა და პერუს მშვიდობის პარკი „Cordillera del Condor“ გვიჩვენებს, თუ როგორ შეუძლია ტრანსსასაზღვრო კონსერვაციის მცდელობებმა ხელი შეუწყოს მშვიდობის დამყარებას და პარტნიორებს შორის ურთიერთობების გაუმჯობესებას ერთობლივი მუშაობის გზით.
- და ბოლოს, მშვიდობის პარკი შეიძლება გამოყენებულ იქნას სამომავლოდ კორეის ნახევარკუნძულზე მშვიდობის ხელშეწყობისთვის.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ მშვიდობის პარკების დაარსება ეკოლოგიური დიპლომატიის ფორმაა, რომელიც სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება. „კონფლიქტების დროს ხდება გარემოს დეგრადაცია, რამაც რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, თავის მხრივ შეიძლება გამოიწვიოს თანამშრომლობა. როგორც კი კონფლიქტის მხარეები გააცნობიერებენ, რომ დაზარალებული გარემო და გაუარესებული ეკოლოგია ყველა მხარისთვის საზიანოა, ისინი უფრო მეტად ითანამშრომლებენ. ამ არგუმენტის ელეგანტურობა იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ ასევე შეგვიძლია გამოვიყენოთ ეკოლოგიური დიპლომატიის ინსტრუმენტები კონფლიქტების მოსაგვარებლად, მათ შორის ისეთებიც, რომლებსაც საერთო არაფერი აქვთ გარემოსთან“, – ამბობს სალიმ ალი, ვერმონტის უნივერსიტეტის პროფესორი.

მშვიდობის პარკები იძლევა გარემოს საერთო სუვერენიტეტს, რადგან ის ეფუძნება მეცნიერებას და შეიძლება იყოს დეპოლიტიზირებული, შეუძლია შექმნას სცენა თანამშრომლობის სხვა ფორმებისთვის უფრო რთულ სფეროებში, როგორიცაა მაგალითად, კონკურენცია ეკონომიკური რესურსებისთვის.

ეკოლოგიური დიპლომატია აერთიანებს გაერო-ს გარემოსდაცვითი და მშვიდობის დამყარების სფეროს სააგენტოებს. გარემოსდაცვითი მანდატის მქონე პლატფორმებს, როგორიცაა კლიმატის ცვლილების მთავრობათაშორისი პანელი და ბიომრავალფეროვნებისა და ეკოსისტემური სერვისების სამთავრობოთაშორისო სამეცნიერო პოლიტიკის პლატფორმა (IPBES), ახლა უკვე გააჩნიათ მშვიდობის მშენებლობის ირგვლივ მუშაობის სპეციფიკური პროგრამები. ამის საპირისპიროდ, გაეროს სამშვიდობო ოპერაციების დეპარტამენტის (DPKO) მანდატი ფართოვდება, ალის სიტყვებით, „ლურჯიდან მწვანეში“ – რაც გულისხმობს DPKO-ს მიერ პოსტკონფლიქტურ ზონებში ხეების დარგვას ისეთ ადგილებში, როგორიცაა ლიბერია, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პარტნიორობით.

მშვიდობის პარკების იდენტიფიკაცია და შექმნა თანამშრომლობითი იურისდიქციების მიერ უნდა მოიცავდეს მხოლოდ იმ ტერიტორიებს, სადაც შეთანხმებული მართვის მიზნები ცალსახად აღიარებს როგორც დაცულ, ასევე კონფლიქტურ ზონას.

მშვიდობის პარკების კონკრეტული მიზნები შეიძლება მოიცავდეს შემდეგ ასპექტებს:

- ბიომრავალფეროვნების, ეკოსისტემური სერვისებისა და ბუნებრივი და კულტურული ფასეულობების გრძელვადიანი თანამშრომლობით კონსერვაციის მხარდაჭერას საზღვრებს მიღმა;
- ლანდშაფტის დონეზე ეკოსისტემის მართვის ხელშეწყობა მიწათსარგებლობის ინტეგრირებული ბიორეგიონული დაგეგმვისა და მართვის გზით;
- ნდობის, ურთიერთგაგების, შერიგების და თანამშრომლობის ჩამოყალიბება ქვეყნებს, თემებს, სააგენტოებსა და დაინტერესებულ მხარეებს შორის;
- დაძაბულობის თავიდან აცილება და/ან გადაჭრა, მათ შორის ბუნებრივი რესურსების ხელმისაწვდომობით;
- შეიარაღებული კონფლიქტის მოგვარების ან/და შერიგების ხელშეწყობა შეიარაღებული კონფლიქტის შემდეგ;
- ბიომრავალფეროვნებისა და კულტურული რესურსების მართვის უნარებისა და გამოცდილების გაზიარება, მათ შორის ერთობლივი კვლევისა და ინფორმაციის მენეჯმენტი;
- უფრო ეფექტური და ეფექტიანი თანამშრომლობის მართვის პროგრამების ხელშეწყობა;
- ეროვნული სუვერენიტეტის შესაბამისი ბუნებრივი რესურსების ხელმისაწვდომობისა და სამართლიანი და მდგრადი გამოყენების ხელშეწყობა;
- კონსერვაციის უპირატესობების გაძლიერება და სარგებლის გაზიარების ხელშეწყობა საზღვრებს გარეთ.

ამჟამად, მშვიდობის პარკის დაარსებისთვის სამი კრიტერიუმის დაკმაყოფილებაა საჭირო:

1. დაცული ტერიტორია საზღვრის მახლობლად იმ არეალში უნდა მდებარეობდეს, რომელიც საჭიროებს ბუნების კონსერვაციას;
2. სახელმწიფოებს უნდა ჰქონდეთ პოლიტიკური მზაობა და სურვილი, რომ ითანამშრომლონ საზიარო ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისთვის;
3. აუცილებელია საგარეო დახმარების არსებობა: საერთაშორისო სააგენტოები და არასამთავრობო ორგანიზაციები მთავარ ელემენტებს წარმოადგენენ მშვიდობის პარკების ჩამოყალიბების პროცესში. ძირითადად, სწორედ ისინი ეხმარებიან ქვეყნებს ფინანსურად და ტექნიკურ საკითხებში.

ასევე მეტად მნიშვნელოვანია ადგილობრივი საზოგადოებების ჩართულობაც, ხოლო ისინი, ვინც უშუალოდ ცხოვრობენ ამ დაცულ ტერიტორიებზე ან მიმდებარე არეალში, პირდაპირ უნდა მონაწილეობდნენ მშვიდობის პარკების მართვაში.

სახელმწიფოთა შორის მშვიდობის პარკის ჩამოყალიბებაზე შეთანხმების მიღწევის შემდეგ, საჭიროა იმ ლეგალური და მმართველობითი ჩარჩოს გათვალისწინება, რომელიც მათი ჩამოყალიბების მიზნებს, მართვასა და პასუხისმგებელ ორგანოებს განსაზღვრავს. მშვიდობის პარკის დიზაინი შესაძლებელია ფორმალიზებული იქნეს ტრანსსასაზღვრო ლეგალური შეთანხმებებით, რომლებიც აყალიბებს მრავალმხრივ ინსტიტუციურ სტრუქტურებს, უზრუნველყოფს მანდატებს და განსაზღვრავს ამ ტიპის დაცული ტერიტორიების მიზნებს მათი განხორციელების მექანიზმებთან ერთად. ეს შეთანხმებები ასევე განსაზღვრავს თანამშრომლობის დონეებს (მაგალითად, ადგილობრივი თუ ეროვნული დონე), რაც, ასევე, წარმოაჩენს მონაწილე მხარეებს (მაგალითად, ადგილობრივ დონეზე მონაწილე მხარე შეიძლება იყოს უშუალოდ ამ ტერიტორიის მკვიდრი მოსახლეობა, ხოლო ეროვნულ დონეზე – სამინისტროები). ურთიერთგაგების მემორანდუმი (Memorandum of Understanding – MoU) ყველაზე გავრცელებულ ლეგალური ჩარჩოა, რომლის ფარგლებშიც, მხარეები ერთად მუშაობის მზადყოფნას, ასევე, ზეეროვნულ და რეგიონულ ორგანოებთან

თანამშომლობას საზიარო ეკოსისტემების მართვის საკითხებში გამოხატავენ. ურთიერთგაგების მემორანდუმის გაფორმების შემდეგ მონაწილე მხარეების მიერ იწყება გარემოს დაცვის, კონსერვაციისა და მშვიდობის მშენებლობის პროექტების ინიცირება.

კონსერვაციის ეფექტურობის ზრდით, თანამშრომლობის პრეცენდენტის ჩამოყალიბებით, ბუფერული ზონების ფორმალიზებითა და საერთაშორისო საზღვრების გასწვრივ პოლიტიკის ჰარმონიზაციით, მშვიდობის პარკები ამცირებს დავებს და ამგვარად, აუმჯობესებს სახელმწიფოთა შორის არსებულ დაძაბულ ურთიერთობებს.

ტერიტორიის ფართობის მიხედვით მშვიდობის პარკები არსებობს პატარა, საშუალო და დიდი. დიდი პარკებს მიეკუთვნება მაგალითად, ამისტადის საერთაშორისო პარკი კოსტა რიკასა და პანამას შორის (Parque Internacional de La Amistad), მადერას დელ კარმენი აშშ-სა და მექსიკას შორის (Maderas del Carmen), ხუნჯერაბი ჩინეთსა და პაკისტანს შორის, ბალკენათის ალბანეთსა და კოსოვო/მონტენეგროს შორის და სხვ..

მართალია, ოფიციალურად, პირველი მშვიდობის პარკი XIX ს-ში ჩამოყალიბდა, თუმცა მისი იდეა ბევრად უფრო ადრე ჩაისახა. 1780 წელს საფრანგეთის მეფესა და ბასელის პრინცს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც მშვიდობიანი ურთიერთობების დამყარებასსთან ერთად, ასევე, დაცული ტერიტორიების გაერთიანებასა და ერთობლივ მართვას გულისხმობდა. XIX ს- დან დაცულ ტერიტორიებს კონსერვაციონისტების ძალისხმევით ახალი ფუნქცია მიენიჭა, რაც ეკოლოგიისა და გარემოს დაცვითი ასპექტის გარდა, ასევე პოლიტიკურ განზომილებასაც მოიცავდა.

ამ პერიოდში, სხვადასხვა სახელმწიფოს საზღვარზე არაერთი დაცული ტერიტორია დაარსდა, რომელთაც მსგავსი ეკოსისტემა ჰქონდათ, მაგრამ მართვის სისტემა – განსხვავებული, რაც მათ ფუნქციონირებას აფერხებდა და კონსერვაციის პროცესზეც ცუდად მოქმედებდა. სწორედ ამ პრიოდიდან გაჩნდა ე.წ. მშვიდობის პარკების იდეა, რაც სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობის გაზრდის მიზნით მოსაზღვრე დაცული ტერიტორიების ერთობლივ მართვას გულისხმობდა.

ვატერტონ-გლასიერის მშვიდობის პარკი კანადის ტერიტორიაზე მდებარე უოტერტონ-ლეიკსის ეროვნულ პარკსა და აშშ-ის ტერიტორიაზე მდებარე გლესიერის ეროვნულ პარკს აერთიანებს. იგი მშვიდობის პირველი პარკია მსოფლიოში და ორ ქვეყანას შორის მეგობრობისა და მშვიდობის სიმბოლოდაა მიჩნეული. ორივე პარკი იუნესკოს მიერ გამოცხადებულია ბიოსფერულ ნაკრძალებად და 1995 წლიდან მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა სიაშია შეტანილი.

დღეს მშვიდობის პარკების მრავალი მაგალითი არსებობს. პირველი ტრანსსასაზღვრო დაცული ტერიტორია შვედეთისა და ნორვეგიის სამშვიდობო მოძრაობის მიერ 1914 წელს, შვედეთსა და ნორვეგიას შორის მშვიდობის 100 წლის აღსანიშნავად დაარსდა. 1959 წელს ტერიტორიას ეწოდა მოროკულიენი.

1925 წელს მშვიდობის პარკის დაარსება პოლონეთსა და ჩეხოსლოვაკიას შორის სასაზღვრო კონფლიქტის მოგვარების მიზნით გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით პიენინის მთებში იგეგმებოდა. თუმცა, ამ ქვეყნებმა პარკის დაარსება 1936 წლამდე ვერ მოახერხეს, ამიტომაც პირველ მშვიდობის პარკად 1932 წელს კანადასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის შექმნილი „ვატერტონ-გლასიერის მშვიდობის პარკი“ ითვლება, რომელიც მშვიდობისა და მეგობრობის ხანგრძლივი ისტორიის აღსანიშნავად და როგორც ბუნებრივი, ისე კულტურული კავშირების ხაზგასასმელად შეიქმნა.

კორდილერა დელ კონდორი

ვატერტონ-გლასიერის საერთაშორისო მშვიდობის პარკი და მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლი შეერთებულ შტატებსა და კანადას შორის საზღვრის გასწვრივ ჩრდილოეთ კლდოვან მთებზეა გადაჭიმული. მსოფლიოში ოფიციალურად პირველი „საერთაშორისო მშვიდობის პარკი“, მოიცავს თვალწარმტაცი თოვლიან მთებსა და კლდებს, მაღალმთიან ტბებსა და მყინვარებისგან წარმოქმნილ მდინარეებს. მყინვარული რელიეფის ულამაზეს ფორმებს, შემონახულ ნამარხებს და სხვა გეოლოგიური მახასიათებლები გამორჩეულ ობიექტებს. პარკის ტერიტორიაზე წარმოდგენილია უძველესი კედარის ტყეები, ალპური ტუნდრა და ვრცელი ბუჩქნარი ზონა, როემლიც უზრუნველყოფს მრავალფეროვან ბუნებრივ ჰაბიტატს ხმელეთის 300-ზე მეტი სახეობის ცხოველისთვის. ამ მთებში ბინადრობს მრავალი საფრთხის წინაშე ან გადაშენების პირას მყოფი სახეობა, მათ შორის გრიზლი, ნაცრისფერი მგელი, ფოცხვერი, მელოტი არწივი. ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტის „გვირგვინად“ წოდებული ეს ტერიტორია მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული და უნიკალური ბუნებრივი ჰაბიტატია.

საერთაშორისო მშვიდობის პარკმა გადამწყვეტი როლი შეასრულა ეკვადორ-პერუს კონფლიქტის „მწვანე“ დასასრულში. სასაზღვრო დავა ეკვადორსა და პერუს შორის ათწლეულების განმავლობაში გრძელდებოდა კორდილიერა დელ კონდორის მთიან რეგიონში. ბიომრავალფეროვნებით მდიდარი ეს რეგიონი დავის საგანი, ჯერ კიდევ, XIX ს-ში გახდა და მრავალწლიანი დაპირისპირებების შემდეგ, 1995 წელს ამ ორ ქვეყენას შორის დავა კონფლიქტში გადაიზარდა. შეერთებული შტატები, არგენტინა, ბრაზილია და ჩილე ცდილობდნენ სამშვიდობო ხელშეკრულების მიღწევას.

მას შემდეგ, რაც სახელმწიფოები ვერ შეთანხმდნენ საზღვრის გატარებაზე, აშშ-ს იმდროინდელმა პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა პირადად დაარწმუნა ეკვადორისა და პერუს ლიდერები, მოელაპარაკებინათ

არაპოლიტიკური პარტნიორობა EcoPeace Middle East, რომელსაც ისრაელელი, პალესტინელი და იორდანიელი თანადირექტორები ხელმძღვანელობენ ერთობლივად ცდილობენს მდინარე იორდანის გაწმენდას.

სასაზღვრო ზოლზე და დაეცვათ ტყიანი ტერიტორია. მართალაც, მათ აღნიშნული ტერიტორია ბუნების კონ-სერვაციის ზონად გამოაცხადეს და როგორც ეკვადორმა ასევე, პერუმ იმ ტერიტორიაზე ჯერ კონსერვაციის კორიდორი დაარსეს, ხოლო 2004 წელს ისინი მშვიდობის პარკად გადაიქცა. მოგვიანებით, გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარებით მათ საერთო გარემოსდაცვითი მართვის სისტემის შექმნა შეძლეს, რამაც კონფლიქტის გარემოსდაცვითი მდგრადი მეთოდებით მოგვარებასთან ერთად, კიდევ უფრო მეტად გაამყარა სახელმწიფოთაშორისი კეთილმეზობლური ურთიერთობები. ამჟამად, ეკვადორისა და პერუს საერთო საზღვარზე მდებარე კორდილერა დელ კონდორის მთიანი სისტემის ირგვლივ არსებული ტერიტორია მშვიდობის პარკის წარმატებულ მაგალითადაა მიჩნეული.

წითელი ზღვის საზღვაო მშვიდობის პარკი შეიქმნა 1994 წელს ისრაელსა და იორდანიას შორის სამშ-ვიდობო ხელშეკრულების ფარგლებში, რომლის მიზანი ორივე ქვეყანის საზღვრებში მარჯნის რიფების ერთობლივი დაცვაა.

საერთაშორისო მშვიდობის პარკების დაარსება ყველაზე მოულოდნელ ადგილებშია შესაძლებელი, მაგალითად, დემილიტარიზებულ ზონაში კორეის ნახევარკუნძულზე ან ბერინგის ზღვაში რუსეთსა და შეერთებულ შტატებს შორის.

იმის გამო, რომ პირველი მშვიდობის პარკები ძალიან წარმატებული გამოცდილება აღმოჩნდა, გარე-მოსდამცველები და მშვიდობის ექსპერტები გვთავაზობენ უფრო მეტი ასეთ პარკების დაარსებას მთელი მსოფლიოს მასშტაბით, რადგან ისინი ხელს უწყობენ თანამშრომლობას და მშვიდობის არსებობას ქვეყნებს შორის და ეკოსისტემების შენარჩუნებას, რომლებიც არ ცნობენ ეროვნულ საზღვრებს. TBPA-ის მონაცე-

მებით მათი რიცხვი 1990 წლიდან მოყოლებული უპრეცედენტო ტემპით იზრდება: 1998 წელს მსოფლიოს 136 ქვეყანაში 59 მშვიდობის პარკი იყო. 2001 წელს, 169, ხოლო 2017 წელს მათმა რიცხვმა 230-ს გადააჭარბა.

მშვიდობის პარკების ყველაზე მგზნებარე მხარდამჭერებიც კი აღიარებენ, რომ ისინი ვერ შეძლებენ თანამედროვე მსოფლიოში არსებული ყველა პრობლემის გადაწყვეტას, მაგრამ ისინი შეიძლება დიდი გადაწყვეტილების პატარა ნაწილად განიხილებოდნენ. მშვიდობის პარკები უფრო მეტია, ვიდრე ერებს შორის კეთილგანწყობის გამოხატულება—ისინი აქტიურად გამოიყენება როგორც კონფლიქტის გადასაჭრელად და კონსერვაციის უზრუნველსაყოფად, რადგან ავალდებულებენ მონაწილე ქვეყნებს დათანხმდნენ ახალი ნაკრძალის დაარსებასა და ერთობლივად მართვაზე. ბოლო ათი წლის განმავლობაში სხვადასხვა ქვეყანაში ათზე მეტი მშვიდობის პარკი შეიქმნა იქ არსებული კონფლიქტის მოსაგვარებლად, რაც საშუალებას აძლევს ადრე დაპირისპირებულ და მეომარ სახელმწიფოებს ერთობლივად ითანამშრომლონ ტერიტორიის მართვაში.

საერთაშორისო თანამშრომლობის კიდევ ერთი წარმატებული მაგალითია „ევროპის მწვანე სარტყელი, რომელიც 12500 კმ-ზეა გადაჭიმული და იმ ტერიტორიაზე, სადაც ოდესღაც „რკინის ფარდა“ ყოფდა აღმოსავლეთსა და დასავლეთს.

ევროპის „მწვანე სარტყელი“ ყოფილი „რკინის ფარდის“ გზას მიჰყვება, სამ ძირითად ნაწილად იყოფა და სხვადასხვა ქვეყნის საზღვარზე მდებარე ეროვნულ პარკებს, ბუნებრივ პარკებს, ბიოსფერულ რეზერვებსა და ტრანსსასაზღვრო დაცულ ტერიტორიებს, ასევე დაუცველ ღირებულ ჰაბიტატებს აერთიანებს.



ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ

1. https://www.cbd.int/peace/about/peace-parks
2. World Heritage Information: https://whc.unesco.org/en/list/354
3. Glacier National Park: https://www.nps.gov/glac/planyourvisit/goingtothesunroad.htm
4. Canada's Waterton Lakes National Park: https://www.pc.gc.ca/en/pn-np/ab/waterton/
5. https://peace.maripo.com/p_parks.htm
6. https://legendsandlegaciesofafrica.org/peaceparks.php
7. https://www.getaway.co.za/environment/conservation-environment/what-is-a-peace-park-10-transfrontier-conservation-areas-to-celebrate/
8. https://www.dlyj.ac.cn/EN/10.11821/dlyj201810006 https://www.nps.gov/articles/000/waterton-glacier-international-peace-park-world-heritage-site.htm

ქეთევან ქობალია
პედაგოგიკის დოქტორი
მასწავლებელთა პროფესიული
განვითარების ეროვნული ცენტრის
ფიზიკური განათლების
ექსპერტ-კონსულტანტი

ჯანმრთელობის ხელშეწყობი სკოლები

დასასრული

> მნიშვნელოვანია იმ ფაქტორების მეთოდების უნარი, რომლებიც მევლინეს ახდენს ადამიანის ჯანმრთელობასა და მის კეთილდღეობაზე.

ჯანმრთელობის წიგნიერება (HEALTH LITERACY)

ჯანმრთელობის წიგნიერება წარმოადგენს ჯანმრთელობის განათლების ძირითად კომპონენტს და დაკავშირებულია ჯანმრთელობის განვითარების ისეთ სფეროსთან, როგორიცაა ინდივიდუალური უნარების განვითარება. ჯანმრთელობის წიგნიერებას დადებითი გავლენა აქვს ჯანმრთელობასა და მისი მდგომარეობის თვითშეფასებაზე. როდესაც ჯანმრთელობის წიგნიერება ინტეგრირებულია სკოლის პოლიტიკასა და პრაქტიკაში, მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება ისწავლონ და გამოიყენონ ჯანმრთელობის გამყარებისათვის საჭირო უნარების ფართო სპექტრი.

ჯანმრთელობის წიგნიერება, რომელსაც ბევრი საერთო აქვს „სასიცოცხლო უნარების კონცეფციასთან", შეიძლება განისაზღვროს როგორც უნარი, რომელიც ხელს შეუწყობს ჯანმრთელობასთან მიმართებაში გააზრებული გადაწყვეტილებების მიღებას. ასევე, მნიშვნელოვანია იმ ფაქტორების გამოყენების უნარი, რომლებიც გავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობასა და მის კეთილდღეობაზე. ამის მისაღწევად მოსწავლეებს უნდა შეეძლოთ ჯანმრთელობის წიგნიერების ფართო სპექტრის უნარების განვითარება, მათ შორის:

- ჯანმრთელობასთან და კეთილდღეობასთან დაკავშირებული **თეორიული ცოდნა**. ეს მოიცავს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების,

პრინციპების, კონცეფციებისა და მოდელების დასახელების, აღწერისა და დამახსოვრების უნარს. თეორიული ცოდნა გადაეცემა მასწავლებლებთან ან თანაკლასელებთან დისკუსიით, რეალური შემთხვევების შესწავლით;

- **პრაქტიკული ცოდნა და უნარები**, რომლებიც ნაწილობრივ მომდინარეობს მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილებიდან. პრაქტიკული უნარ-ჩვევები მოითხოვს, რომ მოსწავლეებმა შეძლონ თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება. ეს უნარი ვითარდება უწყვეტი პროგრესული და თანმიმდევრული ექსპერიმენტული სწავლებით კლასში და მის გარეთ. უნარები შეიძლება სპეციფიკური იყოს ჯანმრთელობისთვის, როგორიცაა პირადი ჰიგიენის დამოუკიდებლად მართვის უნარი, ჯანმრთელობაზე ინფორმაციის მოძიების უნარი;
- **კრიტიკული აზროვნება** – გულისხმობს ცოდნას, როგორც დინამიკურ და არასტაბილურ ფენომენს, ასევე სამყაროს კვლევითი აღქმის მიღების უნარს. მოსწავლეებს სჭირდებათ მხარდაჭერა, რათა შეისწავლონ ჯანმრთელობის საკითხები სხვადასხვა პერსპექტივიდან - როგორც პასუხისმგებელმა მოქალაქეებმა და პასუხისმგებელმა მომხმარებლებმა. ამ გზით ისინი ეძებენ ლოგიკურ კავშირებს, წყვეტენ პრობლემებს, მართავენ დისკუსიებს მიმდინარე საკითხების სასარგებლოდ ან წინააღმდეგ და აფასებენ სამედიცინო ინფორმაციის სანდოობას ისეთი მეთოდების გამოყენებით, როგორიცაა ინტერაქტიული წყვილი, ჯგუფური მუშაობა და თანამშრომლობა.

- **თვითშემეცნება** არის საკუთარი თავის განსჯის უნარი, რაც საშუალებას აძლევს ადამიანს იფიქროს ჯანმრთელობის საკითხებზე პირად კონტექსტში და გაიგოს საკუთარი სურვილები, ძლიერი და სუსტი მხარეები, ღირებულებები და დამოკიდებულებები. თვითშემეცნება შეიძლება განვითარდეს სწავლის ისეთი მეთოდით, როდესაც მოსწავლეები აფასებენ სასწავლო გეგმის შინაარსს საკუთარი ცხოვრების პერსპექტივიდან და კრიტიკულად განიხილავენ საკუთარ აზროვნებასა და ქცევას. ეს ეხმარება მოსწავლეებს სხვების გაგებაში, თუ როგორ აფასებენ მათ სხვა ადამიანები. თვითშემეცნება ძალზე მნიშვნელოვანია თვითმართვისა და თვითეფექტურობის განვითარებისთვის.
- **მოქალაქეობა** არის ეთიკური წესით მოქმედების უნარი, რაც გულისხმობს მონაწილეობის მიღებას საერთო კეთილდღეობისა და დემოკრატიის მიღწევაში, იმ დიალოგში ჩართვას, სადაც სხვადასხვა მხარეს განსხვავებული თვალსაზრისი აქვს ამა თუ იმ საკითხზე. სკოლებში ჯანდაცვის მოქალაქეობის განვითარება მოითხოვს განათლებას, რომელშიც მოსწავლეებს წაახალისებენ იფიქრონ საკუთარი თვალსაზრისის მიღმა და განიხილონ თავიანთი ქმედებების შესაძლო შედეგები საკუთარი თავისთვის, სხვებისთვის და მთლიანად საზოგადოებისთვის. ჯანდაცვის მოქალაქეობის უნარების განსავითარებლად, მოსწავლეებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა აქტივობებში, რომლებიც ავითარებს მათ სხვებთან თანამშრომლობის უნარს, განსხვავებული შეხედულებების პატივისცემას, ისარგებლონ შესაძლებლობებით და გადაჭრან გამოწვევები ჯანმრთელობის ხელშეწყობისა და შენარჩუნების მიზნით.

I-II კლასებში (6-8 წლის ასაკი), აქცენტი ხშირად კეთდება ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებულ ფაქტორებსა და ჯანმრთელობის ძირითადი უნარების პრაქტიკის უშუალო გარემოზე (ცხრილი 1). მოსწავლეებს აინტერესებთ მათ გარშემო არსებული სამყარო და უკვე განვითარებული აქვთ მოქალაქეობის გარკვეული უნარები. თუ გამოყენებული იქნება ისეთი მიდგომა, როგორიცაა ჩართულობა და მონაწილეობის მიღების წახალისება, მოსწავლეები იაქტიურებენ ისეთ საკითხებში, როგორიცაა ჯანმრთელობის განვითარება და კეთილდღეობის გაუმჯობესება.

III-VI კლასებში (8-11 წლამდე) მოსწავლეები მზად არიან უფრო სიღრმისეული და რთული კითხვებისთვის. ჯანმრთელობის წიგნიერება ასახავს მოსწავლეთა უნარს გააცნობიერონ საკუთარი ზრდა და განვითარება. საჭიროა უფრო რთული სააზროვნო უნარების განვითარება და მეტი აქცენტის გაკეთება კრიტიკული აზროვნების უნარებსა და ეთიკურ საკითხებზე. ანალოგიურად, მოსწავლეები უნდა წახალისდნენ, რომ დაფიქრდნენ იმაზე, თუ როგორ მოქმედებს მათი გადაწყვეტილებები და მოქმედებები სხვა ადამიანებსა და გარემოზე.

VII-IX კლასებში (13-15 წლამდე) მოხდება უფრო პრიორიტეტული კომპეტენციების (მაგ., გაუმჯობესებული აზროვნების უნარ-ჩვევების) გაფართოება, გაღრმავება, ასევე ჯანმრთელობის ახალი კომპეტენციების სწავლება. მოსწავლეებს სჭირდებათ მხარდაჭერა, რათა მათ განივითარონ უფრო მეტი ინტერესი საზოგადოების საკითხებისადმი. ამ ეტაპზე ჯანმრთელობის სხვადასხვა ფენომენთან დაკავშირებული ძირითადი ეთიკური საკითხები უნდა განიხილებოდეს, მდგრადი განვითარება რჩება ცენტრალურ თემად. ამ დონეზე მეტი შესაძლებლობა უნდა მიეცეს მოსწავლეების ჩართვას ჯანმრთელობის ხელშეწყობის აქტივობების იდენტიფიცირებაში, დაგეგმვაში, ორგანიზებასა და განხორციელებაში.

საინფორმაციო აქტივობების მაგალითები

მაგალითი 1. ჯანმრთელობის სხვადასხვა პერსპექტივის კატეგორიზაცია

მიზნები: ხელი შეუწყოს მოსწავლეებს ჯანმრთელობის ცნების აღწერისა და სხვადასხვა პერსპექტივის კატეგორიზაციას საერთო და განსხვავებულ ნიშნებზე დაყრდნობით (თეორიული ცოდნის გაღრმავებისთვის და კრიტიკული აზროვნების განვითარებისთვის).

- დახატეთ ბავშვი ფლიპჩარტის ფურცლის ცენტრში.
- მიეცით მოსწავლეებს ქაღალდი ჩანაწერების გასაკეთებლად. სთხოვეთ დამოუკიდებლად იმუშაონ და დაასრულონ წინადადება: „ბავშვი ჯანმრთელია, როცა...“. თითოეულმა მოსწავლემ უნდა დაწეროს მინიმუმ სამი განსხვავებული წინადადება, თითოეული ცალკე წებოვან ფურცელზე.
- დაყავით მოსწავლეები ხუთკაციან ჯგუფებად. სთხოვეთ წაიკითხონ მათ მიერ დაწერილი ყველა წინადადება და შეაგროვონ ჩანაწერები მსგავსი განმარტებებით ფლიპჩარტზე. თითოეულ ჯგუფს უნდა მიეცეს თემა (მაგ. ფიზიკური ჯანმრთელობა, ფსიქიკური ჯანმრთელობა, სოციალური კეთილდღეობა, რეპროდუქციული ჯანმრთელობა და ა. შ.).
- თითოეული ჯგუფი კლასს წარუდგენს თავის ნამუშევარს.
- განიხილეთ ჯანმრთელობის სხვადასხვა ასპექტი, მათ შორის საერთო და განსხვავებული საკითხები. დისკუსიაში ჩართეთ კულტურული განსხვავებები.

> თუ მაგალითად ინფორმაციული ინფორმაციის ჩასმულობა და მონაწილეობის მიღების ნახალისება, მოსწავლეები იაქტიურებენ ისეთ საკითხებში, როგორიცაა ჯანმრთელობის განვითარება და კეთილდღეობის გაუჯობესება.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ: ეს სავარჯიშო შეიძლება გაკეთდეს ფოტოების გამოყენებით. ამ შემთხვევაში, მოსწავლეებს უნდა სთხოვოთ აირჩიონ რამდენიმე მოწოდებული ფოტოდან ერთ-ერთი, აღუწერონ სხვებს ჯანმრთელობის რა ასპექტია წარმოდგენილი ფოტოზე და დაჯგუფონ ფოტოები მსგავსებისა და განსხვავებების მიხედვით, შემდეგ დაასახელონ თითოეული კატეგორია.

მაგალითი 2. ჯანმრთელობა

მიზნები: გაუმჯობესდეს მოსწავლეთა უნარი აღწერონ და ახსნან ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სხვადასხვა ცნება (თეორიული ცოდნის გაღრმავება).

მოამზადეთ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სიტყვების/ცნებების ნაკრები, რომლებიც გინდათ, რომ ბავშვებმა აღწერონ და სხვებს აუხსნან (მაგ. ფიზიკური ჯანმრთელობა, ფსიქიკური ჯანმრთელობა, სკოლის მედდა, ჯანმრთელობის ხელშეწყობა). დაყავით კლასი მცირე ჯგუფებად (თითოეული 2-3

მოსწავლე). მიეცით თითოეულ ჯგუფს სიტყვების ბარათების ერთი ნაკრები, რომელსაც ისინი თანაბრად დაყოფენ ჯგუფის წევრებს შორის სიტყვების დათვალიერების გარეშე. მიეცით თითოეულ მონაწილეს ერთ-ნაირი დრო (მაგალითად, 30-60 წამი, სიტყვების რაოდენობის მიხედვით), რათა მან აუხსნას ერთი სიტყვის მნიშვნელობა სხვა მონაწილეებს სიტყვის ჩვენების ან გამოყენების გარეშე. როდესაც დრო ამოიწურება, გუნდი იღებს ერთ ქულას თითოეული სწორად გამოცნობილი სიტყვისთვის. ჯგუფი, რომელიც ყველაზე მეტ ქულას დააგროვებს, იმარჯვებს.

მაგალითი 3. სავარჯიშო რუკაზე: ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის კონცეფცია

მიზნები: გაუმჯობესდეს მოსწავლეების გაგება ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის კონცეფციის შესახებ (თეორიული ცოდნის გაღრმავება) და განუვითარდეთ კრიტიკული აზროვნება და მოქალაქეობა.

მიეცით მოსწავლეებს დავალება წაიკითხონ სკოლის მთავარი გვერდი ინტერნეტში. შემდეგ ისინი აჯა-მებენ და აფასებენ სკოლის პოლიტიკას, ხედვასა და ღირებულებებს, ჯანდაცვის წიგნიერების სასწავლო გეგმას ან ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის კონკრეტულ სერვისებს. დაყავით კლასი ოთხ ჯგუფად და მიეცით თითოეულ ჯგუფს ჯანმრთელობის ხელშემწყობი სკოლის ერთი ძირითადი ასპექტი შესასწავლად, მაგალითად:



- სკოლის პოლიტიკა;
- სასწავლო პროგრამა;
- ხედვა და ღირებულებები;
- ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის სერვისები.

სთხოვეთ I ჯგუფს შეაფასოს, თუ როგორ არის წარმოდგენილი ჯანმრთელობა და კეთილდღეობა მოცემულ სფეროში (მაგ. სასწავლო გეგმაში) და რა აკლია მას, ხოლო II ჯგუფს შეაფასოს, თუ როგორ შეიძლება განვითარდეს ეს სფერო, რათა ის უფრო ხელსაყრელი გახდეს ჯანმრთელობის სხვა ასპექტების ხელშეწყობისა და გაუმჯობესებისთვის.

- ჯგუფები აკეთებენ მოხსენებას კლასის წინაშე;
- განიხილეთ და შეაჯამეთ შედეგები კლასთან;
- როგორ განიხილავს ჩვენი სკოლა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის განვითარებას ვებგვერდის მიხედვით?
- რა აკლია?
- რისი გაუმჯობესება შეიძლება?
- ამოირჩიეთ მოსწავლეთა გუნდი, რომელიც შეაჯამებს კარგ პრაქტიკულ იდეებს სკოლის უკეთესი მუშაობისთვის და წარუდგენს თავიანთ ანგარიშს სკოლის ხელმძღვანელობას.

მაგალითი 4. ისტორიები ფოტოებში: უსაფრთხო და ბედნიერი სკოლა

მიზნები: დაუჭიროს მოსწავლეებს მხარი იმაში, რომ მათ დაასახელონ ფაქტორები, რომლებიც სკოლის უსაფრთხოებას უწყობს ხელს (თეორიული ცოდნის ამაღლება); მოხდეს ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორების იდენტიფიცირება (კრიტიკული აზროვნების განვითარებისთვის); შემუშავდეს კონკრეტული გეგმები ცვლილებების განხორციელების, მოქმედებისა და შეფასების მიზნით (მოქალაქეობის განვითარება).

- სთხოვეთ მოსწავლეებს, დაათვალიერონ სკოლის ტერიტორია და სურათები გადაუღონ იმ ადგილებს, რომლებიც მათ ყველაზე უსაფრთხოდ ეჩვენებათ, სადაც მოსწავლეების უმეტესობა თავს ბედნიერად გრძნობს. მათ უნდა მოიფიქრონ მოქმედების შესაძლო გეგმა, რომელიც ხელს შეუწყობს სკოლის უსაფრთხოების განვითარებას.
- შექმენით მცირე ჯგუფები, რომლებიც ერთმანეთს გაუზიარებენ თავიანთ იდეებს სკოლის გარემოს გასაუმჯობესებლად.
- კლასის დონეზე განიხილონ მოსწავლეებმა, თუ რომელი იდეა და ქმედება არის მნიშვნელოვანი?
- სკოლის მენეჯმენტს წარუდგინეთ გეგმა და ვადები შემდგომი განხილვისა და შერჩეული პრაქტიკის განხორციელებისთვის.

მაგალითი 5. სკოლის გარემოს შეფასება: მინისტრი რომ ვიყო...

მიზნები: მოსწავლეების მიერ სკოლის კეთილდღეობის საკითხების გააზრების უზრუნველყოფა (თეორიული ცოდნის გაზრდა); მოსწავლეებში იმ ფაქტორების გამოვლენის უნარის განვითარება, რომლებიც აუმჯობესებენ ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას სკოლაში (მოქალაქეობის ხელშეწყობა); არსებული პრაქტიკის შეფასება და ახალი იდეების შემუშავება (კრიტიკული აზროვნებისა და მოქალაქეობის განვითარება); მოსწავლეების მიერ მონაწილეობის მიღება მათ სკოლაში ცვლილებების გატარებაში (მოქალაქეობისა და აქტიური უნარების გასავითარებლად).

სთხოვეთ მოსწავლეებს დამოუკიდებლად იმუშაონ შემდეგ აქტივობაზე: წარმოიდგინეთ, რომ განათლების მინისტრი ხართ. თქვენ ეწვევით სკოლებს და გადაწყვეტთ, არის თუ არა არსებული გარემო (1) სრულიად ჯანსაღი და ბედნიერების მომტანი, (2) მეტ-ნაკლებად ჯანსაღი და ბედნიერების მომტანი, (3) არაჯანსაღი და სასოწარმკვეთი. შეადგინეთ გეგმა თქვენი სკოლის ვიზიტისა და შემდგომი საქმიანობისთვის შემდეგ კითხვებზე პასუხის გაცემით:

- სკოლის რომელ სტრუქტურებს მოინახულებდით?
- რას მიაქცევდით ყურადღებას შესაფასებლად?
- რა ცვლილებებს ურჩევდით, თუ თქვენი შეფასება აჩვენებს, რომ სკოლის გარემო არ არის ჯანსაღი ან ბედნიერი?
- როგორ დაიწყებდით ცვლილების პროცესს? კლასთან ერთად განიხილეთ იდეები.

მაგალითი 6. მთელი სკოლის მიდგომა სასკოლო გარემოსადმი: როგორ უწყობს ხელს ან აფერხებს ჩვენი სკოლა მოსწავლეთა ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას?

მიზნები: ხელი შეუწყოს მოსწავლეების უნარს აღწერონ ჯანმრთელობის განვითარების სხვადასხვა პერსპექტივა (თეორიული ცოდნის ამაღლება); მოსწავლეებმა გააანალიზონ სკოლის გარემოს გავლენა ჯანმრთელობაზე და იმუშაონ იმ ცვლილებებზე, რომლებიც უნდა განხორციელდეს უკეთესი სასკოლო გარემოს შესაქმნელად (მოქალაქეობის და აქტიური უნარების განვითარება).

ეს აქტივობა შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა გაკვეთილზე, ასევე, კლასგარეშე პროექტის ფარგლებში.

- აჩვენეთ და აუხსენით მოსწავლეებს ჯანმრთელობის ხელშემწყობი სკოლის მოდელი (სურათი 1). სთხოვეთ მოსწავლეებს განიხილონ თითოეული ასპექტი. საჭიროების შემთხვევაში მიაწოდეთ დამატებითი ინფორმაცია და წაახალისეთ კითხვების დასმა და დისკუსია.



სურათი 1

- დაყავით მოსწავლეები სამკაციან ჯგუფებად. თითოეულ ჯგუფს ევალება მოამზადოს პლაკატი, რომელიც აჩვენებს მოდელის ერთი ასპექტის პოზიტიურ და უარყოფით გავლენას ჯანმრთელობაზე. პოსტერის კომპოზიცია შეიძლება თავად მოსწავლეებმა აირჩიონ; მათ შეუძლიათ გამოიყენონ ფოტოსურათები, ნახატები, ტექსტი, ვიდეო (თუ პოსტერი ელექტრონულია). იდეა არის იმის ჩვენება, თუ როგორ უწყობს ხელს ან აფერხებს მათ საკუთარ სკოლაში შერჩეული ასპექტი ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას. ასევე, სთხოვეთ მოსწავლეებს წარმოიდგინონ, როგორ მოეწონებოდათ, თუ მათი სკოლა დაკავშირებული იქნებოდა ერთ კონკრეტულ ასპექტთან და შემდეგ დაასახელონ ძირითადი მსგავსება და განსხვავება არსებულ სიტუაციასა და მათ ხედვას შორის სკოლის შესახებ.
- გუნდური მუშაობის შედეგების წარმოსაჩენად გაიმართოს გამოფენა. მოაწყეთ ფორუმები მოსწავლეებისთვის, პერსონალისთვის, მშობლებისთვის და დაინტერესებული მხარეებისთვის, რათა მათ განიხილონ, თუ როგორ შეიძლება განხორციელდეს შემოთავაზებული ცვლილებები სკოლის გარემოს გასაუმჯობესებლად და როგორ შეიძლება ამან სარგებელი მოუტანოს სკოლას.

მაგალითი 7. ჯანმრთელობისთვის ზომების მიღება

მიზნები: ხელი შეეწყოს მოსწავლეებს სცენარის დაგეგმვაში და მისწრაფებაში, რომ გადაწყდეს პრობ-ლემები მოცემულ პირობებში (პრაქტიკული უნარების გასავითარებლად).

- მოამზადეთ სპეციალური ფორმა (იხ. ნიმუში);
- თითოეულ მოსწავლეს მიეცით ორი განსხვავებული ფორმა შესავსებად;
- დაყავით მოსწავლეები სამკაციან ჯგუფებად, მიეცით მათ საშუალება გაუზიარონ ერთმანეთს თავიანთი იდეები და დაამატონ ახალი იდეები თითოეულ ფორმაში;
- კლასთან ერთად განიხილეთ იდეები და მოქმედების შესაძლებლობები.

ფორმის ნიმუში

1. **პეტრემ ფეხი მოიტეხა და სამი კვირა არ დადიოდა გაკვეთილებზე. ის ახლა სკოლაში დაბრუნდა. როგორ შეიძლება ის იყოს ჯანმრთელი და ბედნიერი სკოლის სათამაშო მოედანზე შესვენების დროს?**

   პეტრეს შეუძლია .....

   მე შემიძლია დავეხმარო მას .....

   მასწავლებელს შეუძლია .....

   სკოლას შეუძლია .....

2. **გიორგის დედა ცოტა ხნის წინ გარდაიცვალა. სკოლაში ის ზოგჯერ სევდიანად გამოიყურება. როგორ შეგიძლიათ მხარი დაუჭიროთ მას?**

   კლასს შეუძლია .....

   მე შემიძლია .....

   მასწავლებელს შეუძლია .....

   სკოლას შეუძლია .....

3. **ანას და ვანოს ხშირად დასცინიან თანაკლასელები. რა შეიძლება მოვიმოქმედოთ ამის საწინააღმ-დეგოდ?**

   მე შემიძლია .....

   კლასის მასწავლებელს შეუძლია .....

სკოლის დირექტორს შეუძლია .....

ჩემი კლასის მოსწავლეებს შეუძლიათ .....

4. **აქ არის იმ ადამიანების სია, რომლებიც დაგეხმარებიან იყოთ ჯანმრთელი და ბედნიერი. დაასრულეთ წინადადებები და დაამატეთ სხვა ადამიანები სიაში:**

ჩემს მასწავლებელს შეუძლია დამეხმაროს .....

ჩემს კლასს შეუძლია დამეხმაროს .....

სკოლის დირექტორს შეუძლია დამეხმაროს .....

ჩემს მეგობრებს შეუძლიათ დამეხმარონ .....

ჩემს ოჯახს შეუძლია დამეხმაროს .....

მაგალითი 8. ახალი ისტორიის შეფასება დიალოგებში

მიზნები: გავზარდოთ მოსწავლეთა უნარი შეაფასონ არსებული პრაქტიკა და განავითარონ ახალი იდეები (კრიტიკული აზროვნების გაუმჯობესება და მოქალაქეობის განვითარება); შესაძლო გაუმჯობესების წახალისება (მოქალაქეობის განვითარება).

- მოსამზადებლად აირჩიეთ ერთი თემა მოსწავლეებთან ერთად შესაფასებლად.
- მიეცით მოსწავლეებს დრო, რომ შექმნან საკუთარი ისტორია მოცემულ თემაზე საკუთარი გამოცდილების შესახებ.
- კლასში მოათავსეთ მაგიდები სხვადასხვა ფერის ქაღალდით. დარწმუნდით, რომ საკმარისი ადგილია ოთახში და გარეთ გადაადგილებისთვის.
- დაყავით მოსწავლეები ხუთ-ათკაციან ჯგუფებად, თითოეულ ჯგუფში უნდა იყოს თითო ზრდასრული ფასილიტატორი. მასტერკლასს ორი საათი დასჭირდება.
- მოსწავლეები უზიარებენ თავიანთ ისტორიებს, კითხვებისა და დიალოგის საშუალებით ჯგუფი განიხილავს ისტორიებს, პოულობს მსგავსებებსა და განსხვავებებს. მოსწავლეები ქმნიან ფლეშ ბარათებს საკვანძო სიტყვების და წინადადებების გამოყენებით ან/და კედელზე დასაკიდ ქაღალდზე ნახატებით.
- პროცესის გასაადვილებლად მნიშვნელოვანია იყოთ სენსიტიურები და მხარდამჭერი სტუდენტების ყველა შემოთავაზების მიმართ და გამოიყენოთ ისეთი კითხვები, რომლებიც დაეხმარებათ მოსწავლეებს ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ საკითხებზე მსჯელობაში. დარწმუნდით, რომ მასწავლებლები და მოსწავლეები იყენებენ კითხვების ყველა შემდეგ ვარიანტს:
  - „რა?“ (აღწერილობა);
  - „რატომ“ (ახსნა);

- „მერე რა?“ (განზოგადება);
- „რა არის ახლა?“ (მოქმედება).

- თუ პროცესი შენელდება ან მოსწავლეებს ყურადღება გაეფანტებათ, გააკეთეთ მცირე შესვენებები ფიზიკური აქტივობისთვის, როგორიცაა გუნდური აქტივობები ან თამაშები.
- კედელზე ჩამოკიდებული ფურცლებით მოსწავლეები ანაწილებენ და განიხილავენ თითოეული კატეგორიის ყველაზე მნიშვნელოვან ელემენტებს. ეს მიიღწევა დიალოგით, სათაურების არჩევით და თითოეული სათაურის ქვეშ ბარათების განთავსებით.
- გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეთა დასკვნები და რეფლექსია ჩანაწერების სახით ფიქსირდება. შენიშვნებს ადგენს ერთი მოხალისე მოსწავლე, მოსწავლეების წყვილი ან მასწავლებელი. ისინი მოსწავლეების კარნახით ჩაწერენ შენიშვნებს. გარდა ამისა, შესაძლებელია დასკვნების ჩაწერა.

ბიბლიოგრაფია

1. European standards & indicators for health promoting schools. 2019. https://www.schoolsforhealth.org/sites/default/files/editor/Teachers%20resources/european_standards_and_indicators_on_hps_en.pdf
2. Materials for teachers. Learning about health and health promotion in schools. Key concepts and activities. 2019. https://www.schoolsforhealth.org/sites/default/files/editor/Teachers%20resources/materials-for-teachers-2019-english.pdf
3. SHE school manual 2. A methodological Guidebook to become a health promoting school. 2019. https://www.schoolsforhealth.org/sites/default/files/editor/health-promoting-school/she_school_manual_2.0.pdf

ძლიერი პაროლის მნიშვნელობა და შესაბამისი ალგორითმები

ვალერიან ალანია
საჯარო მმართველობის დოქტორი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორი

> **თანამედროვე კომპანიები მნიშვნელოვან ჩასაჩს ხარჯავენ კიბერშეტევებისგან თავდასაცავად.**

დღევანდელ ციფრულ ეპოქაში ძლიერი პაროლები აუცილებელია პერსონალური ინფორმაციის დასაცავად და ონლაინ ანგარიშებზე არაავტორიზებული წვდომის თავიდან ასაცილებლად. იქიდან გამომდინარე, რომ კიბერშეტევები გახდა ტექნოლოგიურად უფრო დახვეწილი და გავრცელებული, სულ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება ძლიერი პაროლების შექმნას და პაროლის უსაფრთხოების არსებული საუკეთესო პრაქტიკების თუ პროტოკოლების დაცვას.

თითოეული ჩვენგანი კომპიუტერებთან მუშაობის პროცესში ვასრულებთ პირად ან სამსახურებრივ საქმეს. თავის მხრივ, ჩვენი კომპიუტერები დაკავშირებულია ქსელთან, სერვერებთან, ელექტრონულ სისტემებსა და ინტერნეტთან, თუმცა უსაფრთხოებასა და დაცულობაზე შეიძლება ხშირად არც კი გვიფიქრია. ციფრული სამყაროსა და ციფრული ბიზნესის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა არის სწორედ კიბერუსაფრთხოება, რაც ინტერნეტ ტექნოლოგიების სწრაფი განვითარების ფონზე, წარმოადგენს სულ უფრო მნიშვნელოვან და აუცილებელ სფეროს, რომელსაც ასევე უნდა ჰქონდეს განვითარების სწრაფი ტემპი შენარჩუნებული.

თანამედროვე კომპანიები მნიშვნელოვან რესურსს ხარჯავენ კიბერშეტევებისგან თავდასაცავად, კერძოდ, ნერგავენ სხვადასხვა ტექნიკური კონტროლის მექანიზმებსა და სტანდარტებს. თუმცა, კიბერუსაფრთხოების კუთხით ყველაზე სუსტრგოლად ითვლება ადამიანი, რომლის ცნობიერება უსაფრთხოების მიმართ არის ძალზედ დაბალი, რაც წარმოადგენს მნიშვნელოვან ფაქტორს ჰაკერებისთვის. ამიტომ მნიშვნელოვანია, ორგანიზაციებს გააჩნდეს კიბერჰიგიენის

და მაინც რატომ არის მნიშვნელოვანი ძლიერი პაროლი ონლაინ სივრცეში ჩვენი ანგარიშების თუ პერსონალური მონაცემების დაცვისთვის?

კულტურა და მუდმივად ხდებოდეს თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლება კიბერსაფრთხეების შესახებ. სწორედ, კიბერჰიგიენის მთავარ შემადგენელ კომპონენტს წარმოადგენს პაროლის უსაფრთხოება, მისი მუდმივი გენერირება და არსებული პროტოკოლების გათვალისწინება.

აქვე მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ კიბერჰიგიენის კულტურის დანერგვის პროცესში საჭიროა თითოეულ თანამშრომელს კარგად ჰქონდეს გააზრებული იმ ინფორმაციის დაცვის აუცილებლობა, რომლის დამუშავებაც მას უწევს, კარგად ესმოდეს კიბერსივრცეში არსებული საფრთხეებისა და რისკების მნიშვნელობა, მათი გამომწვევი მიზეზები და ის თავდაცვის გზები, რითაც შეძლებს კიბერსაფრთხეების თავიდან აცილებას. თუმცა უნდა ითქვას, რომ ჰაკერების „ხაფანგს“ ყოველდღიურად ვხვდებით და კიბერდანაშაულის მსხვერპლი შეიძლება გახდეს ნებისმიერი ჩვენგანი.

ზოგადად, კიბერშეტევების ყველაზე პოპულარულ არხებად მოიაზრება კიბერშეტევის შემდეგი ვექტორები:

- ელექტრონული ფოსტა
- სოციალური ქსელები
- არასანდო ვებ გვერდები
- პირატული პროგრამები
- სუსტი პაროლები
- დაუცველი ინტერნეტი და Wi - Fi
- მობილური აპლიკაციები

ჩამოთვლილი არხების გამოყენებით ჰაკერები ყველაზე ხშირად ახერხებენ ჩვენს კომპიუტერებში შეღწევას და როგორც პირად, ასევე ორგანიზაციისთვის ყველაზე მნიშვნელოვან აქტივზე – ინფორმაციაზე წვდომას.

და მაინც რატომ არის მნიშვნელოვანი ძლიერი პაროლი ონლაინ სივრცეში ჩვენი ანგარიშების თუ პერსონალური მონაცემების დაცვისთვის?

ძლიერი პაროლი არის ის, რომლის გამოცნობა ან გატეხა ძნელია უხეში ძალის შეტევებით. უხეში ძალის შეტევები გულისხმობს სიმბოლოების სხვადასხვა კომბინაციის ცდას, სანამ არ მოიძებნება სწორი პაროლი. სუსტი პაროლი, როგორიცაა „პაროლი“ ან „123456“, შეიძლება ადვილად გამოიცნოს, რაც ჰაკერებს გაუადვილებს ანგარიშზე წვდომას.

სუსტი პაროლები წარმოადგენს უსაფრთხოების მნიშვნელოვან რისკს, რაც უკავშირდება მონაცემებზე ადვილად ხელმისაწვდომობას და ინფორმაციული აქტივის ხელყოფას. თავის მხრივ, ძლიერი პაროლების გამოყენება მნიშვნელოვანია, რადგან ისინი ხელს უწყობენ პერსონალურ ინფორმაციაზე და ონლაინ ანგარიშებზე არაავტორიზებული წვდომის თავიდან აცილებას. ეს განსაკუთრებით

მნიშვნელოვანია ისეთი სენსიტიური ინფორმაციის შემცველი ანგარიშებისთვის, როგორებსაც წარმოადგენს:

- საბანკო-საფინანსო ანგარიშები;
- სადაზღვევო პოლისები;
- სოციალური ქსელების ანგარიშები.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს ის გარემოება, რომ სხვადასხვა სოციალურ ქსელში, სისტემებში შესასვლელად თუ ანგარიშებში გამოვიყენოთ სხვადასხვა პაროლი, რათა ერთი სისტემის გატეხამ არ გამოიწვიოს სხვა სისტემების ავტომატური კომპრომეტირება.

ძლიერი პაროლის გენერირებისთვის დაგეხმარებათ პაროლების მენეჯერი. ეს არის სისტემა, რომელიც თავისით ადგენს ყველა პირობის გათვალისწინებულ რთულ პაროლს, რომელიც ზეპირად შეიძლება არც იცოდეთ, თუმცა პროგრამა ამას თავად იმახსოვრებს. სისტემაში ავტორიზაციის, ერთ-ერთი მთავარი მექანიზმია ასევე ორ-დონიანი ავთენტიფიკაცია. მსგავსი ტიპის ავთენტიფიკაცია გვიცავს ისეთი გავრცელებული შეტევისაგან, როგორიც არის ე.წ. „ფიშინგის“ შემთხვევები.

და მაინც რა არის ძლიერი პაროლი და როგორ უნდა შევქმნათ ის?

აუცილებლად უნდა ვიცოდეთ, რომ ჰაკერებისთვის ჩვენს ინფორმაციაზე წვდომის ყველაზე მოკლე გზა არის არსებული სუსტი პაროლები. ზოგადად, პაროლი გარკვეულწილად არის პირველი დაცვის ბარიერი და მექანიზმი ჩვენს ციფრულ გარემოში. პაროლი არის ლათინური ანბანის ასოების, ციფრების და სპეციალური სიმბოლოების ერთობლიობა, რომელიც გამოიყენება სხვადასხვა სისტემაში ავტორიზაციისთვის, პირადი თუ კომპანიის ინფორმაციაზე წვდომების მართვისთვის და სხვა. კერძოდ, უფრო კონკრეტულად:

1. გამოვიყენოთ სიმბოლოების ნაზავი: უსაფრთხო და ძლიერი პაროლი უნდა შეიცავდეს დიდი და პატარა ლათინური ასოების, რიცხვებისა და სიმბოლოების ნაზავს. ეს უფრო ართულებს ჰაკერებისთვის პაროლების გამოცნობას უხეში ძალის შეტევებით;
2. მოვერიდოთ ადვილად გამოსაცნობ ინფორმაციას: ბევრი ადამიანი კვლავ იყენებს ადვილად გამოსაცნობ პაროლს. მოვერიდოთ ისეთი ინფორმაციის გამოყენებას, როგორიცაა თქვენი სახელი, დაბადების თარიღი ან ჩვეულებრივი სიტყვები. ამ ინფორმაციის მარტივად მიღება შესაძლებელია სოციალური მედიის ან სხვა ონლაინ წყაროების საშუალებით;
3. მნიშვნელოვანია პაროლის სიგრძე: რაც უფრო გრძელია პაროლი, მით უფრო ძლიერია ის. რეკომენდებულია გამოვიყენოთ პაროლის სიგრძე მინიმუმ 8 სიმბოლო, მაგრამ იდეალურ შემთხვევაში, პაროლი უნდა იყოს 12 ან მეტი

აუცილებლად უნდა ვიცოდეთ, რომ ჰაკერებისთვის ჩვენს ინფორმაციაზე წვდომის ყველაზე მოკლე გზა არის არსებული სუსტი პაროლები.

> საინტერესოა, ერსებული კვლევების მიხედვით, რა დროში შეიძლება გატყდეს პაროლი როგორც სუსტი, ისე ძლიერი.

სიმბოლო. ეს რეკომენდაცია ეფუძნება კვლევას, რომელიც აჩვენებს, რომ გრძელი პაროლების გატეხა უფრო რთულია;

4. უნდა მოვერიდოთ ერთი და იგივე პაროლების ხელახლა გამოყენებას სხვადასხვა ანგარიშებისთვის. თუ ჰაკერი მოიპოვებს წვდომას ერთ ანგარიშზე, მას შეუძლია წვდომა ჰქონდეს ყველა ანგარიშზე, რომელიც იყენებს იმავე პაროლს. გამოიყენეთ უნიკალური პაროლი თითოეული თქვენი ანგარიშისთვის;
5. იფიქრეთ პაროლის მენეჯერის გამოყენებაზე: პაროლის მენეჯერს შეუძლია თქვენთვის ძლიერი პაროლების შექმნა და მათი უსაფრთხოდ შენახვა. ეს გამორიცხავს მრავალი პაროლის დამახსოვრების აუცილებლობას და უზრუნველყოფს, რომ თითოეული პაროლი იყოს ძლიერი და უნიკალური;
6. რეგულარულად უნდა განახლდეს პაროლები: მაქსიმალური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად კარგი იდეაა თქვენი პაროლების განახლება რამდენიმე თვეში ერთხელ. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ანგარიშებისთვის, რომლებიც შეიცავს სენსიტიურ ინფორმაციას.

ზემოთ მოყვანილი პუნქტები შეიძლება გამოვსახოთ ცხრილში, კერძოდ:

	როგორი უნდა იყოს ძლიერი პაროლი და როგორ შევქმნათ ის?
1	პაროლის სიგრძე მინიმუმ 8 სიმბოლო, მაგრამ იდეალურ შემთხვევაში, პაროლი უნდა იყოს 12 ან მეტი სიმბოლო
2	უნდა იყოს კომპლექსური: ■ 0-დან 9-მდე ციფრები ■ A-დან Z-მდე დიდი ლათინური ასოები ■ a-დან z-მდე პატარა ლათინური ასოები ■ სპეციალური სიმბოლოები – ! @ # $ % ^ & * ( ) .....
3	შევცვალოთ პერიოდულად, ყოველ ორ – სამ თვეში!!!

უსაფრთხოების ისეთმა დამატებითმა ზომებმა, როგორიცაა მრავალფაქტორიანი ავთენტიფიკაცია, შეიძლება კიდევ უფრო გააძლიეროს პაროლის უსაფრთხოება. მას შემდეგ, რაც კიბერშეტევები უფრო დახვეწილი და გავრცელებული გახდა, უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ოდესმე, პაროლის უსაფრთხოების არსებული საუკეთესო პრაქტიკების, პროტოკოლებისა და პოლიტიკების დაცვა. მოცემულ პროცესში სულ უფრო დიდი როლი ენიჭება, როგორც ინტერნეტის თითოეულ მომხმარებელს, ისე ორგანიზაციის მაღალი რგოლის მენეჯმენტს, გადაწყვეტილების მიმღებ პირებს.

აქვე საინტერესოა, არსებული კვლევების მიხედვით, რა დროში შეიძლება გატყდეს პაროლი როგორც სუსტი, ისე ძლიერი, რაც გამოსახულია ქვემოთ მოცემულ ცხრილში

#	სიგრძე	პატარა ასოები	+ დიდი ასოები	+ სპეციალური სიმბოლოები და + ციფრები
1	6 სიმბოლო	10 წუთი	10 საათი	18 დღე
2	7 სიმბოლო	4 საათი	23 დღე	4 წელი
3	8 სიმბოლო	4 დღე	3 წელი	463 წელი
4	9 სიმბოლო	4 თვე	178 წელი	44,530 წელი

ბოლოს უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ The National Institute of Standards and Technology (NIST)-მა გამოაქვეყნა პასვორდის ახალი პოლიტიკის პროექტი, რაც ითვალისწინებს შემდეგ ცვლილებებს:

ძლიერი პაროლის შემადგენელი სიმბოლოების ნაზავი, რაც მოიცავს დიდ და მცირე ლათინურ ასოებს, სპეციალურ სიმბოლოებს, ციფრები აღარ უნდა გამოიყენონ, რადგან ასე შედგენილ ძლიერ პაროლებს ხშირ შემთხვევაში მომხმარებლები რთულად იმახსოვრებენ და ისინი დააქვთ ე. წ. „სტიკერებზე", რაც უსაფრ-თხოების თვალსაზრისით ყოვლად მიუღებელია. გარდა ამისა, ხშირია შემთხვევები როცა მომხმარებელი უკვე არსებულ პაროლს ამატებს სიმბოლოს და თავისი გადასახედიდან თავს უსაფრთხოდ გრძნობს, თუმცა, ესეც მიუღებელია.

იგივე NIST პოლიტიკის პროექტის მიხედვით, პაროლი ძლიერი პაროლით რეგულარული ცვლილება არ არის საჭირო, ის შეიძლება შეიცვალოს არსებულ ინციდენტზე რაიმე სახის ეჭვის არსებობის შემთხვევაში.

ეს ჯერ პროექტის დონეზეა და მისი გამოქვეყნება იგეგმება ამა წლის ოქტომბრის თვეში.

ბიბლიოგრაფია

1. Svanadze, Vladimer. 2024. "Cybersecurity Policy, Strategy of Management and Recommendations." ISBN 978-9941-8-4455-3, Business and Technology University;
2. Svanadze, Vladimer; Iavich, Maksim and Gnatyuk, Sergiy. 2024. "Challenges and Solutions for Cybersecurity and Information Security Management in Organizations." Cybersecurity Providing in Information and Telecommunication Systems (CPITS 2024) Vol – 3654, ISNN 1613 – 0073, February 2024;
3. Svanadze, Vladimer. 2023. "Cybersecurity Policy and Strategy of Management." PhD diss., Georgian Technical University (GTU), Tbilisi, 2024;
4. Svanadze, Vladimer and Gotsiridze, Andro. 2015. ""Cyber Defence: Main Players of Cyberspace. Police, Strategy and new Challenges of Cybersecurity." The Defence of Ministry, 2015;
5. Dibley, Joe. 2024. "NIST Password Guidelines." Netwrix, 2024;
6. Schrader, Dikk. 2023. "The Ultimate Guide to Password Best Practices: Guarding Your Digital Identity." Netwrix, 2023;
7. Svanadze, Vladimer and Iavich, Maksim. 2024. "Impact of Internet Fragmentation on the Unity, Security, and Stability of Global Internet." Cybersecurity Providing in Information and Telecommunication Systems (CPITS 2024) Vol – 3654, ISNN 1613 – 0073, February 2024.



დავით წიღაკე
ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების ფაკულტეტის სტუდენტი

კიბერსაფრთხეების გამოწვევა: რანსომვეარი

> ბოლო წლებში რანსომვეარის მეშვეობით განხორციელებული შეტევები ინდივიდებისა თუ ორგანიზაციების წინააღმდეგ თანდათანობით უფრო და უფრო ხშირდება.

რანსომვეარის მიმოხილვა

რანსომვეარი არის მავნე პროგრამული უზრუნველყოფის ერთ-ერთი ტიპი, რომელიც მსხვერპლს უზღუდავს თავის ინფორმაციასთან (data) წვდომას მანამ, სანამ გამოსასყიდი არ იქნება გადახდილი. კიბერშეტევა ხშირად იყენებს პროგრამული უზრუნველყოფის სისუსტეებს ან მომხმარებელთა, ადამიანთა გაუთვითცნობიერებელ ქცევებს, რათა სისტემაში შეღწევა და სენსიტიური ინფორმაციის „მძევლად“ გამოყენება შეძლოს. მის ერთ-ერთ მთავარ მახასიათებელს, წარმოადგენს გამოსასყიდის კრიპტოვალუტაში, მაგალითად, ბიტკოინის მეშვეობით გადახდის მოთხოვნა, რაც შესაბამისი საგამოძიებო უწყებებისთვის მიმღების, ანუ გამომძალველის ვინაობის დადგენას ართულებს.

ბოლო წლებში რანსომვეარის მეშვეობით განხორციელებული შეტევები ინდივიდებისა თუ ორგანიზაციების წინააღმდეგ თანდათანობით უფრო და უფრო ხშირდება. მაგალითისთვის, კოვიდ-19-ის პანდემიისას კიბერკრიმინალებმა გლობალური კრიზისი გამოიყენეს, რათა რანსომვეარის სხვადასხვა ფორმის შეტევა განეხორციელებინათ და არალეგალური ფინანსური სარგებელი მიეღოთ. მაგალითად, მავნე ანდროიდ აპლიკაცია მობილურისთვის – CovidLock – რომელიც მომხმარებლებს თავს „წარუდგენდა“, როგორც ლეგიტიმური ხელსაწყო კოვიდ-19-ის სიახლეებისა და მისი გავრცელების არეალის მონიტორინგისთვის, თუმცა მას შემდეგ, რაც მომხმარებლები მას თავიანთ მობილურ მოწყობილობაზე დააყენებდნენ („დააინსტალირებდნენ“), აპლიკაცია მომხმარებლებს წვდომას

უზღუდავდა თავიანთ სურათებთან, მობილურ კონტაქტებთან და სოციალურ მედიასთან, რომლის აღდგენისთვისაც ადამიანებს ჰაკერებმა ბიტკოინის მეშვეობით გამოსასყიდის გადახდა მოსთხოვეს, წინააღმდეგ შემთხვევაში კი მათი პირადი ინფორმაციის გასაჯაროებით ემუქრებოდნენ.

რანსომვეარი ძირითადად სამი ტიპის არსებობს: Scareware, locker და crypto.

Scareware იყენებს pop-up რეკლამებს ან ყალბ გაფრთხილებებს, რათა მომხმარებლები დააჯეროს თავიანთი მოწყობილობის „ინფიცირებაში", პროგრამული უზრუნველყოფის დაზიანებაში, რის შემდგომაც არწმუნებს მათ იმ პროგრამული უზრუნველყოფის გადმოწერასა და დაყენებაში. მიუხედავად იმისა, რომ Scareware არ აზიანებს პროგრამულ უზრუნველყოფას იგი იყენებს შიშს და მომხმარებელთა დაბნეულობასა თუ გაუთვითცნობიერებლობას ტექნოლოგიებთან, რათა თავისი მისია შეასრულოს, ანუ მომხმარებლებს თანხა გამოსძალოს.

Locker-ი რანსომვეარის უფრო აგრესიული ფორმაა, რომელიც კომპიუტერის კრიტიკულად მნიშვნელოვანი ფუნქციების ან კონკრეტული ფაილების დაბლოკვას/შიფრაციას ახდენს, თუმცა არის შესაძლებლობა, რომ მისგან თავის დაღწევა მომხმარებელმა ანტივირუსის ან/და მოწყობილობის გადატვირთვის (rebooting) მეშვეობით შეძლოს.

Crypto-ს ტიპის რანსომვეარი კი ყველაზე საშიშ და საფრთხის შემცველ ფორმას წარმოადგენს. იგი შიფრავს სენსიტიურ ინფორმაციას და თითქმის შეუძლებელს ხდის მათი შიფრაციის გასაღების გარეშე დეშიფრაციას, ანუ მომხმარებლისთვის ამ ინფორმაციასთან წვდომის აღდგენა თითქმის შეუძლებელია. Crypto რანსომვეარი ხშირად იყენებს AES ან RSA შიფრაციის ტექნიკებს, რომლებიც დღესდღეობით შიფრაციის მოწინავე მეთოდებს წარმოადგენს და, რომელთა „გატეხაც" თითქმის შეუძლებელია.

სხვადასხვა ტიპის რანსომვეარის არსებობა გამოკვეთს კიბერკრიმინალების განვითარების და მათი მეთოდების დახვეწის ტენდენციას და მათგან წარმოშობილი საფრთხეების მნიშვნელობას, როგორც ინდივიდებისთვის, ასევე, ბიზნესებისა თუ ქვეყნის კრიტიკული ინფრასტრუქტურისთვის, რაც კიბერუსაფრთხოებას მზარდ მნიშვნელობას ანიჭებს და ამ მიმართულებით ექსპერტების აუცილებლობაზე მეტყველებს.

რანსომვეარი CIA ტრიადასთან მიმართებაში

CIA [1] ტრიადა წარმოადგენს ინფოსეკის ანუ ინფორმაციული უსაფრთხოების 3 საფუძვლის ერთობას, რომელთა ერთობლივი თუ ცალკეული დარღვევა წარმოადგენს ინფორმაციული უსაფრთხოების დარღვევის ინდიკატორს.

CIA ტრიადა იშიფრება, როგორც:

C (Confidentiality) – კონფიდენციალურობა, რაც გულისხმობს იმას, რომ ინფორმაციასთან წვდომა მხოლოდ ავტორიზებულ პირებს უნდა გააჩნდეთ.

I (Integrity) – მთლიანობა, რაც გულისხმობს, რომ ინფორმაცია შენახული უნდა იყოს თავისი ავთენტური სახით, ანუ არ უნდა მოხდეს ინფორმაციის არაავტორიზებული პირების მიერ ცვლილება, წაშლა ან დაზიანება.

A (Availability) – ხელმისაწვდომობა, რაც გულისხმობს ინფორმაციასთან ავტორიზებული პირებისთვის დროულ და სანდო წვდომის შესაძლებლობას მისი გამოყენებისა თუ დამუშავებისთვის.

რა თქმა უნდა, რანსომვეარის ტიპის შეტევისას საქმე გვაქვს CIA ტრიადის ერთი ან რამდენიმე საფუძვლის დარღვევასთან.

მაგალითისთვის, რანსომვეარის ტიპის ერთ-ერთი პირველი შეტევისას, PC Cyborg Trojan ასევე ცნობილი, როგორც The AIDS Trojan, რომელიც 1989 წელს ფლოპი დისკების მეშვეობით განხორციელდა მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის (WHO)-ს 1989 წლის AIDS კონფერენციაზე. ფლოპი დისკები მარკირებული იყო როგორც—"AIDS Information Introductory Diskettes". მას შემდეგ, რაც კონფერენციის მონაწილეებმა ფლოპი დისკი თავიანთ კომპიუტერებს „მიუერთეს"/დაუკავშირეს, PC Cyborg Trojan-მა მოახდინა ფაილთა შიფრაცია და მონიტორზე გამოიტანა შეტყობინება, რომელიც დეშიფრაციის გასაღების სანაცვლოდ 189 დოლარის ჰაკერისთვის გაგზავნას ითხოვდა კონკრეტულ საფოსტო მისამართზე. ამ შეტევის დროს არ დასტურდება, არც რაიმე სახის ინფორმაციის წაშლა, დაზიანება ან რაიმე სახით შეცვლის ფაქტი და არც ინფორმაციასთან არაავტორიზებულ პირთა წვდომა, თუმცა, რა თქმა უნდა, აღნიშნული შეტევის წყალობით ინფორმაციული უსაფრთხოების უხეში დარღვევა დაფიქსირდა, რადგან კონფერენციის მონაწილეებს არ ჰქონდათ წვდომა თავიანთივე კომპიუტერებთან და ფაილებთან, შესაბამისად დაირღვა ხელმისაწვდომობის პრინციპი.

ტექნოლოგიურ პროგრესთან ერთად, რანსომვეარმაც განიცადა ევოლუცია, რის შემდეგაც არა მხოლოდ ერთ ხელმისაწვდომობის პრინციპს არღვევდა, არამედ მონაცემთა მთლიანობასაც. ასეთი შეტევის მაგალითია [3] 2017 წელს განხორციელებული NotPetya attack-ი, რომელიც უფრო კონკრეტულად კლასიფიცირდა როგორც "Wiper"-ი, თავდაპირველად აღნიშნული შეტევა აკმაყოფილებდა რანსომვეარის ყველა მახასიათებელს, ინფორმაციასთან ხელმისაწვდომობის შეწყვეტას, გამოსასყიდის გადახდის მოთხოვნას ბიტკოინის მეშვეობით, თუმცა მის მთავარ მიზანს, მაინც მონაცემთა წაშლა წარმოადგენდა Master boot Record-ზე (MBR) ინფორმაციის გადაწერის საშუალებით, რამაც სისტემა უფუნქციო გახადა და ინფორმაცია შეუქცევადად გაანადგურა. NotPetya წარმოადგენს რანსომვეარის უტილიზაციის იმ შემთხვევას, როცა ჰაკე-

რის მიზანს რეალურად ინფორმაციის წაშლა წარმოადგენდა, თუმცა მას ამავდროულად ფინანსური სარგებლის მიღება სურს, რასაც ინფორმაციის პირდაპირ წაშლით ვერ მიაღწევდა, ამიტომაც მოხდა ტრადიციულ რანსომვეარზე ახალი ფუნქციონალის „დაშენება“, რომელიც ინფორმაციის ნებისმიერ შემთხვევაში წაშლას მოახდენდა.

ინფორმაციის გასაჯაროების მუქარა ღაზარალებულისთვის ახალ საფრთხეებს წარმოშობს.

თუმცა, რანსომვეარმა ამით არ შეწყვიტა ევოლუცია და ჰაკერებმა ინფორმაციული უსაფრთხოების დარღვევის ახალ გზებს მიაგნეს, მაგალითად REvil [4] ასევე ცნობილი, როგორც Sodinokibi არის რანსომვეარის მეშვეობით თანხის გამომძალველთა ჯგუფი, რომლებიც 2019 წლიდან დღემდე ცდილობენ თანხის გამოძალვას ბიზნესებისა თუ კერძო პირებისთვის, აღნიშნული ჯგუფი ცნობილია იმით, რომ ისინი არამხოლოდ ინფორმაციასთან წვდომის შეჩერებით ან მისი დაზიანების მუქარით შემოიფარგლება, არამედ ამ ინფორმაციის გასაჯაროებითაც და შავ ბაზარზე გაყიდვითაც იმუქრება, რასაც ხშირად ასრულებს კიდეც, მაგალითისთვის Grubman Shire Meiselas & Sacks Attack (2020) ან Kaseya Attack (2021). რა თქმა უნდა, ინფორმაციის გასაჯაროების მუქარა დაზარალებულისთვის ახალ საფრთხეებს წარმოშობს, რადგან თუ უბრალოდ დაშიფრული ინფორმაციის აღდგენა back-up ის საშუალებით, შედარებით მარტივად იყო შესაძლებელი, გასაჯაროებული ან შავ ბაზარზე გაყიდული სენსიტიური ინფორმაციისგან დამდგარი ზიანი წარმოუდგენლად დიდია და შესაძლოა ხშირ შემთხვევაში კომპანიისთვის აღნიშნულ ინფორმაციასთან წვდომის სამუდამოდ დაკარგვა ან/და მისი შეუქცევადად დაზიანება უფრო ნაკლებ საზიანოც კი იყოს, ვიდრე

აღნიშნული ინფორმაციის გასაჯაროება. ასევე თითქმის წარმოუდგენელია, გასაჯაროებული სენსიტიური ინფორმაციიდან დამდგარი ზიანის დათვლა, რადგან საქმე ხშირ შემთხვევაში გვაქვს ასობით ადამიანის სხვადასხვა პირად სენსიტიურ ინფორმაციაზე, რომელიც შემდგომ შეიძლება იდენტობის მოპარვისთვის, ფინანსური თაღლითობისთვის ან სხვა საზიანო ქმედებებისთვის იქნეს გამოყენებული წლების განმავლობაში, შესაბამისად ეს ზიანიც ჯაჭვური ეფექტით დაკავშირებულია ინფორმაციის პირვანდელ კომპრომიზაციასთან. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ Revil-ი თავად წარმოადგენს მტკიცებულებას იმისა, რომ გამომძალველთა ნდობა დაუშვებელია ნებისმიერ შემთხვევაში, რადგან დაფიქსირდა შემთხვევები, როცა მათ სენსიტიური ინფორმაცია მიუხედავად გამოსასყიდის გადახდისა, მაინც გაავრცელეს და გაყიდეს შავ ბაზარზე.

ზემოთ მოყვანილი ქეისებიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ CIA ტრიადასთან მიმართებაში რანსომვეარი ყველაზე დიდ საფრთხეს ხელმისაწვდომობას უქმნის, რადგან მის დამახასიათებელ მთავარ ფაქტორს სწორედ ხელმისაწვდომობის შეზღუდვა წარმოადგენს გამოსასყიდის მიღების მიზნით, ხოლო ინფორმაციის მთლიანობისა ან/და კონფიდენციალურობის დარღვევა წარმოადგენს მსხვერპლისთვის დამატებით „მოტივაციას", რადგან იმ შემთხვევაში თუ მსხვერპლს არ გააჩნია მისთვის ღირებული ინფორმაციის back-up ვერსია მისთვის ამ ინფორმაციის წაშლა შესაძლოა წარმოუდგენელი ფინანსური ან ემოციური ზიანის ტოლფასი იყოს, ხოლო იმ შემთხვევაში თუ ინფორმაციის მხოლოდ წაშლა დიდ საფრთხეს არ წარმოქმნის კონკრეტული ფაქტორების გათვალისწინებით ინფორმაციის გასაჯაროების ან გაყიდვის მუქარა შესაძლოა წარმოადგენდეს დამატებით ბერკეტს ჰაკერებისთვის ფინანსური სარგებლის მისაღებად ან ფინანსური სარგებლის გამოსასყიდისგან დამოუკიდებლად მიღების საშუალებასაც კი.

რეკომენდაციები

1. რეგულარულად მოახდინეთ ინფორმაციის სარეზერვო ასლების შექმნა, მათი მეშვეობით შესაძლებელია ინფორმაციასთან წვდომის აღდგენა გამოსასყიდის გადახდის გარეშეც. [5]
2. სისტემის მუდმივი განახლება—მოძველებულ პროგრამულ უზრუნველყოფებში არსებული სისუსტეების გამოყენება ხშირად ხდება სისტემის ინფილტრაციისთვის, რისგანაც უახლესი უსაფრთხოების უზრუნველყოფები ბევრად უკეთ დაგიცავთ.
3. ორგანიზაციებმა თუ თავად ინდივიდუალურმა მომხმარებლებმა, უნდა სცადონ უკეთ გაერკვნენ ტექნოლოგიებში, და არ მიიღონ გაუთვითცნობიერებელი გადაწყვეტილებები, უნდა დარწმუნდნენ ინფორმაციის ვალიდურობაში, მისი მომწოდებლის ლეგიტიმურობაში.
4. მრავალდონიანი ავთენტურობის მეთოდების (MFA) გამოყენებას, შეუძლია ინდივიდებისა თუ ორგანიზაციების არაავტორიზებული წვდომისგან დაცვა.

შენიშვნები

1 Ransomware: Recent advances, analysis, challenges and future research directions https://pmc.ncbi.nlm.nih.gov/articles/PMC8463105/

ბიბლიოგრაფია

1. (NIST) Special Publication (SP) 800-12 Rev 1, An Introduction to Information Security.
2. The Authoritaritative International Publication on Computer Virus Prevention, Recognition And Removal, ISSN 0956-9979, January 1990.
3. What Petya/NotPetya Ransomware Is and What Its Remidiations Are by Sharifah Yaqoub A. Fayi, January 2018, Information Technology – New Generations (pp.93-100).
5. A history of Revil by Jon DiMaggio, January 2022 National Cyber Security Centre (NCSC), "Mitigating Malware and Ransomware Attacks," 2022.

www.tpdc.ge